საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ოთარ ტაბიძე

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1968

15--
15+1 : 15
ტ 154

ნაშრომში ნაჩვენებია ბიჰევიორიზმის არსებითი კავშირი სხვადასხვა ფილოსოფიურ თეორიებთან (მექანიცისტური მატერიალიზმი, პრაგმატიზმი, ლოგიკური პოზიტივიზმი, ოპერაციონიზმი). ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკის შემდეგ ავტორი ავითარებს პოზიტიურ შეხედულებას, ცდილობს განსაზღვროს ქცევის მეცნიერების კანონიერი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.

1—5—7
161—1968 ადგ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფსიქიკურის ბიჰევიორისტული თეორია ჩვენი საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და სწრაფად გავრცელდა მკვლევართა შორის. ბიჰევიორისტული თვალსაზრისი გადატანილ იქნა სხვა მეცნიერებებშიც (ენათმეცნიერება, სოციოლოგია). წინამდებარე ნაშრომის მიზანია აჩვენოს ბიჰევიორიზმის არსებითი კავშირი სხვადასხვა ფილოსოფიურ თეორიებთან და კრიტიკულად განიხილოს ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის შესაძლებლობის დასაბუთება ამ თეორიების მიერ. სხვა მეცნიერებების სფეროში ბიჰევიორიზმს ეს კრიტიკა უშუალოდ არ შეეხება, თუმცა მას ამ მხრივაც შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელობა. ენისა და სოციალურის ბიჰევიორისტული გაგება ფსიქოლოგიზმის შედეგია და ამ მეცნიერებებში ცნობილი სხვა ფსიქოლოგისტური ცდებისაგან იმით განსხვავდება, რომ ფსიქიკურის ბიჰევიორისტულ ინტერპრეტაციას ემყარება. ამიტომ ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების ნათელყოფა და მისი კრიტიკა ამავე დროს ემსახურება სხვა მეცნიერებათა სფეროზე ბიჰევიორისტული თვალსაზრისის გადატანის მართებულობის საკითხის გადაჭრასაც.

ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია ფართოდ გავრცელდა ამერიკასა და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ქვეყნებში საერთოდ. წარმოიშვა მისი სახესხვაობები. უოტსონის რადიკალური მექანიცისტური ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის გვერდით და მის საპირისპიროდ გაჩნდა ახალი ტიპის ბიჰევიორისტული თეორიული მიმდინარეობა, რომელსაც „ნეობიჰევიორიზმის“ სახელით აღნიშნავენ. ეს მიმართულება საკმარისადაა გავრცელებული დღესაც როგორც მძლავრი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიური მიმდინარეობა. ამის გამო მისი ფილოსოფიური საფუძვლების ცხადყოფა და კრიტიკა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

არის ერთი გარემოებაც, რომელიც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის და გადაუდებელ ამოცანად აქცევს ასეთ კრიტიკას. საქმე იმაშია, რომ ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის გავლენის სფერო ლოკალურად როდია განსაზღვრული ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოქმედებით: იგი

იქნებ სხვაგანაც და ამა თუ იმ სახით თავს იჩენს ჩვენშიც. საბჭოთა ქვეყანაში ფსიქოლოგიის მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ბიჰევიორიზმის გავლენა სხვადასხვაგვარი იყო; ბიჰევიორისტული ტენდენცია დღესაც არ შეიძლება დაძლეულად ჩაითვალოს საბჭოთა ფსიქოლოგთა შორის. აშკარად გამოხატულ ბიჰევიორიზმს. გასაგებია, არსებობის პირობები არ შეიძლებოდა ჰქონოდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიურ თეორიას ემყარება. მაგრამ მექანიცისტური მატერიალიზმისაკენ ვადახრა ფაქტიურად ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიისაკენ ეწეოდა არაერთ საბჭოთა ავტორს.

ამავე დროს ჩვენში დღესაც ჩამორჩენილია ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური თეორიისა და მისი ფილოსოფიური საფუძვლების მეცნიერული კრიტიკის საქმე. ბიჰევიორიზმის კრიტიკა წლების განმაელობაში წარმოდგენილი იყო ან როგორც მხოლოდ იმის მითითება, თუ როგორ ემსახურება ამგვარი თეორია ბურჟუაზიული მმართველი წრეების ინტერესებს, ან როგორც მხოლოდ იმის განცხადება, თუ რამდენად არ შეესაბამება იგი ჩვენს მსოფლმხედველობას.

პირველის მაგალითია მ. იაროშევსკის ადრინდელი სტატია[1], მეორე სახის კრიტიკა კი წარმოდგენილია საბჭოთა ავტორთა სახელმძღვანელოების უმრავლესობაში და სხვა ნაშრომებში, სადაც ფსიქოლოგიის საკითხთა გადაჭრის ბიჰევიორისტული გზის უარყოფას ეხება საქმე. ორივე სახის კრიტიკა არსებითად სწორი, საჭირო და აუცილებელი იყო. მაგრამ ისინი უმთავრესად არ ეყრდნობოდნენ ნამდვილი; ზუსტი მეცნიერული დასაბუთების საფუძველს, რის გამო არც შინაარსეული სისავსით გამოირჩეოდნენ და წინასწარი ზოგადი განცხადების ხასიათს უფრო ატარებდნენ, ვიდრე ნამდვილი მეცნიერული კრიტიკისა. მართლაც, შეუძლებელია მეცნიერული კრიტიკა დაკმაყოფილდეს იმ ზოგადი ფილოსოფიური მსჯელობის უბრალო ტრანსპოზიციით ბიჰევიორიზმის მაგალითის მიმართ, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა არ ცნობს სამყაროს მექანიცისტურ გაგებას და რეალურ ძალას ანიჭებს ფსიქიკას, ცნობიერებას. მით უმეტეს არასაკმარისად უნდა იქნეს ჩათვლილი ეს კრიტიკა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ბიჰევიორისტული თეორიები თვითონვე, გარკვეული აზრით, უარყოფენ მექანიციზმს, ან მისი დასაბუთების ცდას იძლევიან. ეს კი მოითხოვს ამ თეორიების დასაბუთების მეცნიერულ განხილვას და არა მათს ხელაღებით უარყოფას.

---

[1] М. Г. Ярошевский, Буржуазные психологи США в борьбе за ликвидацию сознания, „Вопросы философии", № 3, 1948.

კრიტიკის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ბიჰევიორიზმის გავლენის გავრცელებისა და მისი გარკვეული წარმატებების ფაქტი. ბიჰევიორისტული თვალსაზრისი ფართოდ გავრცელდა, ამ თვალსაზრისით შესრულებული გამოკვლევების გარკვეული მეცნიერული ღირებულება ეჭვს არ იწვევს. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ კიბერნეტიკა ბიჰევიორისტული მიმართულების კვლევათა ერთგვარ მწვერვალს წარმოადგენს. ეს ფაქტი სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ ბიჰევიორიზმს ხელაღებით უარვყოფდით და მის პოზიტიურ მომენტებს არ გავითვალისწინებდით. ბიჰევიორიზმის პოზიტიური მომენტი არა მარტო საკითხის დაყენებაში უნდა ვეძიოთ, არამედ ისეთი კვლევის დაფუძნების ცდაშიც, რომელიც სინამდვილის სრულიად გარკვეული მხარის შემეცნებას უზრუნველყოფს, თუ მის ბიჰევიორისტულ ინტერპრეტაციას უკუვაგდებთ.

ჩვენი ნაშრომის პირველი მიზანი ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის თეორიის კრიტიკაა. ყოველ კრიტიკას თავისთავადი ღირებულება აქვს, მაგრამ მისი საბოლოო დანიშნულება მაინც სწორი თეორიის დადგენაა. ჩვენი საბოლოო მიზანიც, რასაც ეს კრიტიკა ემსახურება, ქცევის შესახებ სწორი მეცნიერული თეორიის კონტურების მოხაზვა იყო. კრიტიკული ანალიზით მოვიპოვებთ მსჯელობებს, რომლებიც ასაბუთებენ საკითხზე ბიჰევიორისტული პასუხის მცდარობას. ეს საფუძველს აძლევს სწორ თეორიას, მაგრამ მისი შექმნისათვის სრულიადაც არაა საკმარისი. ბიჰევიორიზმის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკის ნიადაგზე ქცევისმეცნიერების შესაძლებლობისა და სხვა მეცნიერებებთან მისი მიმართების დადგენის ფილოსოფიური დაფუძნების ცდა მოცემულია ნაშრომის უკანასკნელ თავში.

თავი პირველი

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია და მისი სახესხვაობანი

ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. რომ არაფერი ვთქვათ მისი ჩამოყალიბების პროცესში წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობაზე, იმის შემდეგაც, რაც ეს ფსიქოლოგიური თეორია სრული სახით იქნა წარმოდგენილი, თვითონ მის შიგნით წარმოიშვა და განვითარდა რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორია. ისე რომ ხშირად ძნელდება ამ თეორიათა შორის ისეთი საერთოს დაძებნა, რაც მათ ერთ მიმართულებას მიაკუთვნებდა. სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ ბიჰევიორისტული თეორიის ზოგიერთ წარმომადგენელს თვითონ ბიჰევიორისტების ბანაკში ბევრი არ მიიჩნევს ბიჰევიორისტად და ბიჰევიორიზმის მოწინააღმდეგედაც კი თვლის.

მიუხედავად ამისა, ამ თეორიებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი, რომელიც არსებითია ბიჰევიორისტულ აზრთა წყობისათვის. ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური თეორია, მიუხედავად მისი მრავალმხრივი განშტოებისა, ერთიანი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — ერთი, თეორიაა და მისი კრიტიკაც ამ ერთის კრიტიკა უნდა იყოს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გავითვალისწინოთ და კრიტიკის საგნად არ ვაქციოთ თეორიის განსხვავებული მოდუსები; მაგრამ წინამდებარე ნაშრომში ჩვენი უშუალო მიზანი ბიჰევიორიზმის არსის კრიტიკაა და ბიჰევიორიზმის სახესხვაობათა განხილვას მხოლოდ ამ ამოცანისადმი დაქვემდებარებული მნიშვნელობა ეძლევა.

განსხვავებული ბიჰევიორისტული თეორიების არსებობის ფაქტი მათი ერთიანობის მიკვლევის ამოცანის წინაშე გვაყენებს. უნდა დაიძებნოს ის ერთი, რაც ამ თეორიებს აერთიანებს. მაგრამ ეს შეუძლებელია წმინდა ემპირისტულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყველა თეორიას, რომელთაც აღნიშნავენ სახელით „ფსიქოლოგია“ და მსაზღვრელად მიაწერენ ზედსართავ სახელს „ბიჰევიორისტული“, და შევეცდებით ამ ფსიქოლოგიური თეორიებისათვის საერთო ნიშანი გამოვყოთ, ამ გზით ამოცანას ვერ გადა-

ვეურით, რადგანაც ჩვენ გვაინტერესებს არა ტერმინოლოგიური საკითხი (როგორ იხმარებოდა მეცნიერების ისტორიაში ტერმინი „ბიჰევიორიზმი"), არამედ საკითხი ბიჰევიორიზმის არსის შესახებ. ეს საკითხი კი გულისხმობს ბიჰევიორიზმის როგორც სხვა ფსიქოლოგიურ თეორიათაგან განსხვავებულის სპეციფიკური ნიშნების მითითებას. ამ ტერმინის მოხმარება ისტორიულად ერთმნიშვნელოვანი და ყოველთვის ასეთი შინაარსის შემცველი რომ ყოფილიყო, მაშინ აქ გასარკვევიც არაფერი გვექნებოდა. მაგრამ ეს ასე არ იყო. მაგალითად, ბევრი ბიჰევიორიზმს არ მიაკუთვნებდა 30-იან წლებში შექმნილ თეორიებს. რომლებიც სავსებით აკმაყოფილებდნენ იმ ახალი თეორიის ნიშნებს, რომელსაც ბიჰევიორიზმი უწოდეს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ტერმინი „ბიჰევიორიზმი" კრიტიკოსთა მიერ მოხმარებული იყო ბიჰევიორიზმის მხოლოდ რადიკალურ-მექანიცისტური მოდუსის აღსანიშნავად. მაგრამ, პირველ რიგში აუცილებელი იყო ტერმინი, რომელიც ბიჰევიორიზმის სახეთა შორის განსხვავებას კი არ აღნიშნავდა, არამედ თვითონ ბიჰევიორიზმის ზოგად ცნებას, რომელიც განსხვავდებოდა სხვა ფსიქოლოგიური თეორიებისაგან და ისტორიულადაც ახალი წარმოქმნილი იყო. რა თქმა უნდა, ტერმინი „ბიჰევიორიზმი" შეიძლებოდა როგორც ერთი, ისე მეორე მნიშვნელობის აღსანიშნავად ყოფილიყო მოხმარებული (ეს წმინდა ტერმინოლოგიური საკითხია), მაგრამ არსებითი იყო თვითონ ბიჰევიორიზმის ზოგადი ცნების გამოყოფა, ხოლო მისი სახეების აღნიშვნა სწორედ როგორც სახეებისა.

თავის მხრივ, ტერმინოლოგიური მოთხოვნები გვავალებს ტერმინი „ბიჰევიორიზმი" იმ მნიშვნელობით ვიხმაროთ, როგორც იგი მეცნიერების ისტორიაში იხმარებოდა. ლოგიკურ-შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური მოთხოვნების შეთავსება შესაძლებელია, რადგანაც ეს ტერმინი ისტორიულადაც უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ბიჰევიორიზმის ზოგადი ცნების აღსანიშნავად იყო გამოყენებული. როცა ბიჰევიორიზმზე ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს ეს საკმარისად ერთმნიშვნელოვნად მოხმარებული ტერმინი.

ამ ცნებაში, მიუხედავად ამისა, არის მთელი რიგი არსებითი მომენტებისა, რომლებიც გარკვევას მოითხოვენ. ყოველი ბუნებრივი ტერმინი, კიდევაც რომ მისი შინაარსი საკმარისად არ იყოს გაცნობიერებული. არაცნობიერად მაინც შეიძლება გულისხმობდეს სრულიად გარკვეულ აზრს, რის გამოც იგი ზუსტად (ან სიზუსტის გარკვეული ხარისხით) მოიხმარება, როგორც ამაზე მიუთითა ლაიბნიცმა და რასაც ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგებიც ადასტურებს. ბუნებრივ და ტექნიკურ (მეცნიერულ) ტერმინებს შორის განსხვავება ამ მხრივ აბსოლუტური არაა, მეცნიერებაში მოხმარებული ტერმინები

(თუ ტერმინთა სისტემა) ცნობიერი რეფლექსიის შედეგია, მაგრამ ლატენტური, გამოუაშკარავებელი შინაარსისაგან მთლად თავისუფალი არაა. სწორედ ამის გამო აქვს აზრი მეტყველების ანალიზს. მოცემული ტერმინების, მსჯელობების და მათი სისტემის ლატენტური შინაარსის გამოაშკარავების გზით თვითონ ამ მსჯელობების ჭეშმარიტება თუ არა, ის მაინც დადგინდება, რაც აზრიანს ხდიდა მეტყველებას. ჩვენს ამოცანასაც მეტი არაფერი შეადგენს, როცა ბიჰევიორიზმის ცნების ამგვარ ანალიზს მივმართავთ. დამატებით აქ მხოლოდ ის მომენტი იგულისხმება, რომ ეს ანალიზი ბიჰევიორიზმის ისეთი ნიშნების გამოაშკარავებისაკენაა მიმართული, რომელნიც სხვა თეორიებისაგან ბიჰევიორიზმის არსებით განსხვავებაზე მიუთითებენ.

ამ თვალსაზრისით გავითვალისწინოთ ბიჰევიორიზმის ისტორიული განვითარების მოკლე მონახაზი. ბიჰევიორიზმი ჩვენი საუკუნის ათიან წლებში გაფორმდა როგორც გარკვეული ფსიქოლოგიური თეორია, მაგრამ მისი წარმოშობა გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო. ამ დროს ყალიბდება რამდენიმე ბიჰევიორისტული დებულება, ექსპერიმენტულ კვლევაზე დაყრდნობით ფორმდება ფსიქოლოგიური კონსტრუქციები, რომლებიც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის შენობის აგებას ემსახურებიან. ასეთი იყო უ. ჯემსის გამოკვლევები ემოციებისა და მეხსიერების შესახებ. ჯემსი ცდილობდა დაემკვიდრებინა ბუნებისმეტყველური თვალსაზრისი ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგს, ამბობდა იგი, საკვლევი არაფერი დარჩებოდა, მისი ობიექტი დროსა და სივრცის ნიშნებს რომ არა ფლობდეს და, ამრიგად, არ წარმოადგენდეს „ერთერთ ობიექტს ობიექტთა სამყაროში"[2]. ჯემსის ბიოლოგიური ფსიქოლოგიური თვალსაზრისი ბიჰევიორიზმს ამზადებდა. თვითონ უოტსონი მიუთითებს[3] თორნდაიკის გამოკვლევათა როლზე. თავის ნაშრომში „Animal Intelligence" (1898 წ.) თორნდაიკი ცხოველთა ფსიქოლოგიაში გამოკვლევებისათვის თავისებურად იყენებს ცდისა და შეცდომის მეთოდს და ამზადებს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ კონსტრუქციას, რომელიც ბიჰევიორიზმში იქნა ათვისებული შეგუებითი ქცევის, დასწავლის (Learning) კარდინალური საკითხის გადაჭრის მიზნისათვის. თორნდაიკმა შემოიტანა სტიმული — რეაქციის მოდელი, რაზეც დააფუძნა თავისი ფსიქოლოგიური თეორია — კონექციონიზმი. კონექციონიზმი ფსიქიკას განიხილავს როგორც ქცევას, რომლის არსებითი მექანიზმია გამღიზიანებელზე ორგანიზმის რეაქცია. ცოცხალი არსების ყოველი მოქმედება ამ სქემაში თავსდება. სწავლა და აზროვნება გაგებულია როგორც შეგუებითი მოქმედებები და

---

[2] W. James, Principles of Psychology, v. 1, Lond., 1901, p. 183.

[3] Дж. Уотсон, Психология, как наука о поведении, 1926, стр. XIV.

ისინი ემყარებიან გამღიზიანებლის ზემოქმედებასა და მასზე ორგანიზმის პასუხს. თუმცა საქმის ვითარება ამით არ ამოიწურება. ცოცხალი არსების პასუხი ან აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას (ე. ი. ორგანიზმი ჯილდოვდება), ან არ აკმაყოფილებს (ორგანიზმი ისჯება) და ამის მიხედვით საპასუხო რეაქციას (კავშირს სტიმულსა და რეაქციას შორის: S—R) ორგანიზმი ან შეინარჩუნებს და გაიფიქსირებს, ან უკუაგდებს, რომ ახალი პასუხები მოსინჯოს. სანამ შემთხვევით არ წააწყდება მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ რეაქციას, რომელიც შემდეგ გაფიქსირდება. ასეთია ცდისა და შეცდომის თორნდაიკისეული თეორია. ეს თეორია ცდილობს ისეთი ფსიქიკური პროცესიც კი, როგორიცაა აზროვნება, ობიექტურ ბიოლოგიურ შეგუებად გაიგოს. თუმცა თვითონ თორნდაიკი ცნობიერების ფაქტსა და მის როლს არ უარყოფს. ცდისა და შეცდომის მექანიზმში მას არსებით მომენტად შეაქვს „ჯილდო“ და „დასჯა“ და ხაზს უსვამს არა უბრალოდ რეაქციის შედეგის სარგებლიანობას, არამედ ამის ცნობიერებასაც (სარგებლიანობა-უსარგებლობის ცნობიერების ადგილი ადამიანის სწავლის ექსპერიმენტებში შეიძლება დაიკავოს სიმბოლურმა „დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობამ“—ექსპერიმენტატორის სიტყვიერმა ცნობამ სწორად შესრულდა დავალება თუ არა)[4]. აზროვნების ისეთი პროცესი, როგორიცაა განზოგადება, თორნდაიკმა ჩვევის გადატანის მექანიზმით ახსნა (ჩვევის გადატანის „იდენტურ ელემენტთა თეორია“). ბიჰევიორიზმში ათვისებულ იქნა ჩვევის გადატანის ცნება და მას შეგუების, სწავლის და აღზრდის პროცესთა ახსნის ბევრისმომცველი ფუნქცია დაეკისრა[5]. თორნდაიკის ეს ობიექტურ-ფსიქოლოგიური კონსტრუქციები ბიჰევიორიზმს ამზადებდა, თუმცა თვითონ თორნდაიკი ზემოთ მითითებულ პუნქტში ბოლომდე დარჩა ბიჰევიორიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ფართოდ იქნა ათვისებული პავლოვის პირობითი რეფლექსის ცნებაც. ზოგიერთი ბიჰევიორისტი იქამდეც კი მიდის, რომ ბიჰევიორიზმის დამფუძნებლად პავლოვს მიიჩნევს. არსებითად აქამდე დაიყვანებოდა პავლოვის თეორიის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია, რომელმაც ჩვენში 50-იან წლებში იჩინა თავი. პავლოკმა სამართლიანად განდევნა ფიზიოლოგიიდან არაფიზიოლოგიური ამხსნელი ცნებები, რომლებიც ცნობიერების ნიშანს ფლობდნენ. მაგრამ ეს იყო

---

[4] E. L. Thorndike, A. Theory of the Action of the After-effect of a Connection upon it, Psychological Rev., 1933. 40; Э. Торндайк. Процесс учения человека. М., 1935.

[5] ო. ტაბიძე, ჩვევის გადატანის ცნების ადგილი პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში, „სკოლა და ცხოვრება“ № 7, 1962; ო. ტაბიძე, ჩვევის გადატანის ნიშნის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგად. მეცნ. განყოფ. მოამბე, № 3, 1963.

ფიზიოლოგიური, ან ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური, თეორია და არა ფსიქოლოგია. ფიზიოლოგიურზე ფსიქიკურის დაყვანის თეორია, რომელიც ბიჰევიორიზმისათვისაა დამახასიათებელი, პავლოვს არ შეუქმნია.

ბიჰევიორიზმის ჩამოყალიბებული პროგრამა მოგვცა უოტსონმა.[6] აქედან მოკიდებული, ბიჰევიორიზმი სწრაფად და ფართოდ ვრცელდება. თავს იჩენს არსებითი ხასიათის დავა ბიჰევიორიზმის გაგების საკითხზე. ჩნდება სხვადასხვა მიმართულების ბიჰევიორისტული თეორიები, რომლებიც ორ ჯგუფს შეადგენენ: პირველი რადიკალური ბიჰევიორიზმის სახელითაა ცნობილი, მეორეს ნეობიჰევიორიზმს უწოდებენ. თუ რადიკალური ბიჰევიორიზმი, რომელსაც მიეკუთვნება თეორიის ფუძემდებელი უოტსონიც, სრულიად უარყოფს ცნობიერებას, და ქცევას ყოველგვარი ცნობიერი ფსიქიკური საზრისის გარეშე განიხილავს, ნეობიჰევიორიზმი ცდილობს ასეთი საზრისის მხედველობაში მიღებას იმ მიზნით, რომ სრულყოფილად გაითვალისწინოს ქცევის მთელი მრავალფეროვნება, თუმცა აქაც შენარჩუნებულია ბიჰევიორიზმის ძირითადი ნიშანი — ეპიფენომენალიზმი. ნეობიჰევიორისტული თეორიები ლაპარაკობენ ზოთხოვნილებებზე, ქცევის მიზანზე, გაგებაზე და მსგავს ცნებებზე, მაგრამ ისინი უარყოფენ ამ ცნებათა არაობიექტივისტურ გაგებას (ტოლმენის „მიზნობრივი ბიჰევიორიზმი“.). სტიმული-რეაქციის გამარტივებული ზოდელის ნაცვლად შემოაქვთ შუამდებარე ცვლადის (Intervening Variable) კომპონენტით გართულებული სქემა. ფსიქიკურის ობიექტური შემცველის როლში ახლა უკვე ეს შუამდებარე ცვლადი გამოდის.

ბიჰევიორიზმი იღებს ფსიქოლოგიის სხვა გავრცელებული თეორიების მონაპოვარსაც, რის შედეგადაც წარმოიშობა ქცევის გეშტალტური ბიჰევიორისტული გაგება, სიღრმისფსიქოლოგიური ბიჰევიორიზმი, დესკრიფციული ბიჰევიორიზმი, განწყობის ბიჰევიორისტული თეორია და სხვ.

ობიექტური მოვლენების მათემატიკური გამოსახვა სპეციალურ სიძნელეებს არ შეიცავს, ამიტომ ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიურ კვლევაში მძლავრად იჭრება მათემატიკა, როგორც მოვლენათა ურთიერთკავშირის გამოსახვის გადამწყვეტი საშუალება. მათემატიზაცია ზაქსიმუმს აღწევს პოზიტივისტური საფუძვლის მქონე ბიჰევიორისტულ მიმართულებებში, რომელნიც კაუზალური მიმართების ადგილზე მოვლენათა შორის მათემატიკურ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას აყენებენ. მათემატიკური მოდელით ქცევის გამოსახვისათვის

---

[6] J. B. Watson, Psychology as the Behaviorist views it. Psychological Review. 1913, 20.

არსებითი მნიშვნელობის მინიჭება იქამდე მიდის, რომ იქმნება თეორიები, რომლებიც. გარკვეული აზრით, ბიჰევიორიზმისაგან გადახრას აწარმოებენ. ამ შეხედულების მიხედვით, ფსიქოლოგიას საქმე აქვს მათემატიკური ობიექტური მოდელით გამოსახვად მოვლენებიან, ხოლო რა იქნება გამოსახული, ობიექტური ქცევა თუ ცნობიერი მოქმედება, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

აქ სრულიად შეუძლებელია და ჩვენი მიზნებისათვის არცაა საჭირო დავახასიათოთ ბიჰევიორისტულ თეორიას შიგნით წარმოშობილი ყველა განშტოება. ბიჰევიორიზმის მითითებული სახესხვაობები სრულიად საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ბიჰევიორიზმმა საკმაო მოქნილობა გამოიჩინა რათა შეგუებოდა ასეთ განსხვაკებულ მიმართულებებს. ეს იმასაც მოასწავებს, რომ ბიჰევიორიზმის არსებითი ნიშნები შეუძლებელია მიგნებული იქნეს ამ თვალსაზრისებიდან. მაგალითად, შეუძლებელია ბიჰევიორიზმს გეშტალტის სპეციფიკის უარყოფა მივაწეროთ და გეშტალტფსიქოლოგიის პოზიციებიდან გავაკრიტიკოთ იგი. ბიჰევიორიზმის არსი განშტოებათა სპეციფიკით არ შეიძლება დადგინდეს. ყველა სახესხვაობისათვის ეს არსებითი ნიშნები საერთოა.

ბიჰევიორიზმი არც იმ ნიშნით შეიძლება დავახასიათოთ, რომ იგი ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად არ თვლის კულტურას, სოციალურ სინამდვილეს და რაიმე სხვა საზრისის მქონე სინამდვილეს. არსებობს ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის მიმართულებები და დარგები, რომლებიც ამ სინამდვილეს იკვლევენ.

სულ სხვაა ბიჰევიორიზმის ისეთი კრიტიკა, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ ბიჰევიორიზმი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ვერ წვდება გეშტალტის, გაგების, სოციალურის, თუ სხვა ამგვარ ცნებებს. ეს კრიტიკა შესაძლებელია და საჭირო. მაგრამ იგი შესაძლებელია მხოლოდ ბიჰევიორიზმის არაის წვდომის შემდეგ და მის საფუძველზე. ბიჰევიორიზმის არსი კი სხვაგან უნდა ვეძებოთ.

რა არსებითი ნიშნებით ხასიათდება ბიჰევიორიზმი როგორც ერთიანი ფსიქოლოგიური თეორია? რა არის ამ თეორიის მიხედვით ფსიქოლოგიის კვლევის საგანი და როგორია მისი შესწავლის მეთოდი?

ძირითადი დებულება, რომელსაც ბიჰევიორიზმი იცავს. შემდეგია: ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია ქცევა, კვლევის მეთოდი კი — ობიექტური დაკვირვება.

ეს თეზისი, რომელსაც, უდავოდ, ყველა ბიჰევიორისტული თეორია იცავს, გულისხმობს რამდენიმე მომენტს. ამ მომენტთა ანალიზი აუცილებელია, რათა ბიჰევიორიზმის ძირითადი თეზისის აზრი ბო-

ლომდე იქნას გაგებული. სწორედ აქაა ზოგიერთი ის გაურკვევლობა, რომელზეც ზემოთ მივუთითებდით.

პირველი მომენტი ნეგატიური ხასიათისაა. ძირითადი თეზისი გულისხმობს, რომ ფსიქოლოგიის საგანი არაა ცნობიერება და ცნობიერი ფსიქიკური. ფსიქოლოგია არამარტო „უსულოდ", არამედ „ცნობიერების გარეშეც" — ასეთია ბიჰევიორიზმის ცნობილი დევიზი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერება და ცნობიერების მოვლენები არამარტო არ შეადგენენ ფსიქოლოგიის ერთადერთ საგანს, არამედ საერთოდ ფსიქიკურის რაიმე არსებითი დახასიათებისათვისაც არ გამოდგებიან. ცნობიერების ფაქტის არსებობის უარყოფა, ცხადია, არავის შეუძლია, მაგრამ ბიჰევიორიზმის ეს დებულება იმას ამტკიცებს, რომ ცნობიერების ფაქტი და ყველაფერი, რაც ცნობიერების პრედიკატით ხასიათდება, არ შედის მეცნიერების ფარგლებში. ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება არ შეიძლება ცნობიერებას ეხებოდეს. ეპიფენომენალიზმის ეს დებულება სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ბიჰევიორისტულ თეორიებში, მაგრამ შენარჩუნებულია ყველა მათგანში.

სწორი არაა ის გავრცელებული შეხედულება, რომ ბიჰევიორიზმი ცნობიერების არავითარ მომენტს არ იღებს მხედველობაში. ბიჰევიორიზმის თეორიათა განსხვავება ხშირად სწორედ ამ მომენტების გაგებაში განსხვავებას ემყარება. ამ თეორიების გათვალისწინება გვიკარნახებს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ცნობიერების ორი პრობლემა, და მათი გადაჭრის განსხვავებული ცდები თვითონ ბიჰევიორისტული მიმდინარეობის შიგნით. პირველი ეხება ცნობიერებას როგორც ფსიქიკურის შემეცნების პირობას, ცნობიერებას, რომელიც ფსიქიკური სამყაროს კარიბჭესთან დგას, მეორე კი — ცნობიერებას როგორც ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტს. არსებობს ორივე პრობლემის გადაჭრის ცდები ბიჰევიორიზმის პოზიციებიდან.

არის თუ არა ცნობიერება ფსიქიკურ სამყაროში შესვლისათვის აუცილებელი პირობა? ბიჰევიორიზმისათვის და მისი დამფუძნებელი პოზიტივისტური ფილოსოფიური თეორიებისათვის უცხოა საკითხის ისეთ პლანში დაყენება, სადაც ერთმანეთისაგან იქნებოდა გარჩეული ცნობიერების გნოსეოლოგიური და ემპირიული სუბიექტი. ეს თეორიები შემეცნების ემპირიულ დაფუძნებას ეხებიან. შემდეგი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიჰევიორიზმის პოზიტივისტური თეორიების განხილვისას მსჯელობები შეეხება სწორედ ასეთ გაგებას.

ბიჰევიორიზმის პასუხი ამ კითხვაზე გარკვეულია: ცნობიერება არაა ქცევის, ფსიქიკურის შემეცნების პირობა. მაგრამ ბიჰევიორიზმ-

ში გამოიყოფა ორი შეხედულება. ერთი რადიკალურად უარყოფს ცნობიერების ყოველგვარ მნიშვნელობას (უოტსონი), მეორე კი მის მხოლოდ მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას უკუაგდებს, სხვა სფეროში კი (მაგალითად, ესთეტიკურში) მის როლს ცნობს (სტივენსი). ამ შეხედულების მიხედვით შეიძლება ცნობიერება შემეცნების წინ დავუშვათ, მაგრამ მას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება თვითონ შემეცნებისათვის. იგი მხოლოდ იმისათვის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მისგან გავთავისუფლდეთ. ცნობიერება არის ეპიფენომენი, რომლის არსებობა მნიშვნელობას მოკლებულია მეცნიერების მეთოდოლოგიისათვის.

მეორე პრობლემა ეხება ცნობიერებას, როგორც ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტს. სწავლობს თუ არა ფსიქოლოგია ცნობიერების მოვლენებს, არის თუ არა ქცევის ნიშანთა შორის ცნობიერება? ბიჰევიორიზმის პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია, მაგრამ თუ კითხვას დავაზუსტებთ და ცნობიერების ორ მომენტს გავთიშავთ ერთმანეთისაგან, მაშინ განსხვავებულ პასუხებს მივიღებთ, და სწორედ ეს განასხვავებს ბიჰევიორიზმის ორ ძირითად მიმდინარეობას — რადიკალურ ბიჰევიორიზმს და ნეობიჰევიორიზმს. ცნობიერების მოვლენის ცნობილი ანალიზი ერთმანეთისაგან გამოყოფს ცნობიერობას და ცნობიერების შინაარსს. თვითონ ცნობიერების შინაარსთა შორის გამოიყოფა ორი განსხვავებული ბუნების რიგი, ერთია დამოუკიდებელი ობიექტური შინაარსები, მეორე კი—შინაარსთა ისეთი რიგი, რომელიც ცნობიერებასთან კავშირის გარეშე გაუგებარი იქნებოდა. ასეთია, მაგალითად, მიზანი როგორც ცნობიერების შინაარსი. მიზნის ცნება, როგორც ქვემოთაც იქნება ნაჩვენები, აუცილებლად გულისხმობს ცნობიერების ნიშნს, რადგანაც მხოლოდ ამ უკანასკნელმა იცის მომავლის წინასწარმოცემულობა (წარმოდგენა, მოაზრება). რასაკვირველია, ეს მსჯელობები ჩვენ აქ მოვიყვანეთ არა ფსიქოლოგიის საგნის რთული და მრავალი ასპექტის შემცველი პრობლემის გადაჭრის მიზნით, მაგრამ ფსიქიკური მოვლენების ცნობიერობასთან ასეთი კავშირი შეუძლებელია გათვალისწინებული არ იქნეს. ყოველ შემთხვევაში, ბიჰევიორიზმის მიმართულებათა განსხვავება ამ ნიშნით დგინდება. საკითხი ახლა ასეთ ფორმულირებას იღებს: თვლის თუ არა ბიჰევიორიზმი ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ცნობიერობას და ცნობიერობასთან არსობრივად დაკავშირებულ შინაარსს? ცნობიერობას ფსიქოლოგიის საგნად ბიჰევიორიზმის არცერთი სახეობა არ მიიჩნევს, მაგრამ განსხვავებული შეხედულებებია ცნობიერობასთან არსობრივად დაკავშირებული შინაარსის (ქცევის ცნობიერი ფსიქიკური საზრისის) შესახებ. რადიკალური ბიჰევიორიზმი მას უარყოფს და ცნობიერების ობიექტურ შინაარსთან აიგივებს, ნეობიჰევიორიზ-

მი (მიზნობრივი ბიჰევიორიზმი, ოპერაციონისტული ბიჰევიორიზმის სახეები) კი ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად სწორედ მას აღიარებს. ნეობიჰევიორიზმი ლაპარაკობს ქცევის ისეთ მონაწილე ფაქტორებზე (შუამდებარე ცვლადები), რომლების შინაარსიც ცნობიერებასთან არსებით კავშირშია (მიზანი, გაგება, შეგნება, აღქმა და სხვ.). ამიტომ იყო, რომ ნეობიჰევიორიზმი აზრიანი (ფსიქიკური საზრისის მქონე) ქცევის შესწავლაში ფაქტიურად გარკვეულ წარმატებებს აღწევდა. მაგრამ ნეობიჰევიორიზმი თავის თ ე ო რ ი ა შ ი უარყოფს ამ შინაარსების არსებით კავშირს ცნობიერებასთან, რის შემწეობითაც ახერხებს ბიჰევიორიზმის ფარგლებში დარჩენას. რამდენად არის შესაძლებელი ასეთი გაგება, ეს ქვემოთ იქნება გარკვეული, აქ კი ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებდა, თუ როგორაა გაგებული ცნობიერების საკითხი ბიჰევიორიზმში.

ბიჰევიორიზმის ძირითადი თეზისის მეორე მომენტი პოზიტიურ მხარეს ეხება: ფსიქოლოგიის საგანია ობიექტური (ობიექტურად დაკვირვებადი) ქცევა. თუ ამასთან დაკავშირებით გავითვალისწინებთ, რაც ეპიფენომენალისტური დებულების შესახებ ითქვა, თითქოს მიღწეული იქნება ბიჰევიორიზმის არსებითი დახასიათება (განსაზღვრება). მაგრამ ქცევის ცნებაში ჯერ კიდევ დასაზუსტებელია ზოგიერთი მომენტი. ქცევის ცნება შეიძლება ყოველი ფსიქოლოგიური მიმდინარეობის არსენალში ვნახოთ. მათგან ბიჰევიორიზმს განასხვავებს ქცევის თავისებური გაგება. იგი ქცევაში გულისხმობს არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ ობიექტურად დაკვირვებადი ბუნების მოქმედებას. პირველ რიგში ესაა სხეულებრივი ცვლილებები, რომელთაც ფიზიკური გარემო იწვევს. მაგრამ რა იგულისხმება ტერმინში „ობიექტური"? როგორც ითქვა, ეს სხეულებრივი ცვლილებებია, მაგრამ ბიჰევიორიზმი ისეთ ობიექტურზეც ლაპარაკობს, როგორიცაა დიფერენციაციის ობიექტური ოპერაცია და მნიშვნელობა (ინფორმაცია). რით განსხვავდება ფსიქოლოგია დანარჩენი მეცნიერებებისაგან, რომლებიც ასევე ობიექტურს სწავლობენ? შესასწავლი საგნის საერთო ობიექტური ხასიათი, ბიჰევიორიზმის აზრით, მეცნიერების სანუკვარ ერთიანობას უზრუნველყოფს, მეცნიერებათა შორის განსხვავება კი იმაშია, რომ ისინი სხვადასხვაგვარ ობიექტურს სწავლობენ. ქცევა ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ობიექტურია. ბიჰევიორიზმი შეუძლებელია სრული მექანიცისტური რედუქციონიზმი იყოს, იგი ფსიქოლოგიის მეცნიერების პრეტენზიას აცხადებს, და, მაშასადამე, შეუძლებელია ფიზიკურიზაგან (და საერთოდ ობიექტურისაგან) ქცევის განმასხვავებელ რაიმე ნიშანზე არ მიუთითებდეს. ქცევის სპეციფიკა ბიჰევიორიზმის სხვადასხვა მიმართულებაში სხვადასხვაგვარადაა გაგებული: უოტსონისათვის ესაა ობიექტური სპეციფიკური ორგანიზაცია (სტიმული-

რეაქცია), შემდგომი თეორიებისათვის ამ სპეციფიკას ქმნის ქცევის ბიოლოგიური ხასიათი (რაც, გარკვეული აზრით, არც უოტსონისათვის იყო უცხო) ან ფსიქიკური საზრისის მქონე ობიექტური — ობიექტური მნიშვნელობა (ინფორმაცია). სტიმული-რეაქციის მარტივი და გართულებული სქემა, პირობითი რეფლექსების შექმნის (conditioning) სხვადასხვაგვარი გაგება, ობიექტური ფუნქციონალური დამოკიდებულება ქცევის მომენტებს შორის, თვითრეგულაცია (მართვა) უკუკავშირის ნიადაგზე — ეს ბიჰევიორისტული მოდელები ქცევის ობიექტური დახასიათების სხვადასხვა ცდებს წარმოადგენენ. თავისი განვითარების ისტორიაში ბიჰევიორიზმმა სცადა თითქოს ყოველგვარი სპეციფიკური შინაარსის მქონე ცნების გამოყენება, ოღონდ იგი მათ აუცილებლად დაცლიდა არაობიექტური-მომენტებისაგან.

ბიჰევიორიზმის ძირითადი თეზისი, ჩვენი აზრით, მესამე მომენტსაც შეიცავს. ქცევა, რამდენადაც გამორიცხულია უკიდურესი მექანიცისტური რედუქციონისტული თვალსაზრისით მისი დახასიათება, გაგებულია როგორც ორგანიზმის მოქმედება, რომელიც გარკვეულ (შეგუებით) მიზანს ემსახურება. ამიტომ ქცევის შეფასების კრიტერიუმი ქცევის შედეგია. ეს ვოლუნტარისტული, ინსტრუმენტალისტური დებულება შეადგენს ბიჰევიორიზმის ძირითადი თეზისის მესამე მომენტს. არსებითი მნიშვნელობა აქვს ქცევის შედეგს, კორელაციას სტიმულსა და რეაქციას შორის, რომელიც ქცევის მიზნობრივი (შეგუებითი) ამოცანების თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული. თუ ეს კავშირი დადგინდა, ქცევის შესწავლის საქმეც დამთავრებულად ჩაითვლება. კავშირის შუამდებარე მოვლენების კვლევა თავისთავად მნიშვნელობას მოკლებულია. მიუღებელია ობიექტური შუამდებარე ცვლადიც, თუ კი უამისოდაც მოხერხდებოდა კორელაციის დადგენა სტიმულსა და რეაქციას შორის. შუამდებარე ცვლადის ცნების შემოტანა არ უარყოფს ბიჰევიორიზმის დებულებას ქცევის შედეგის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ. ობიექტურ ოპერაციებად გაგებული ფსიქიკური, რომელსაც შუამდებარე ცვლადის ცნება გამოხატავს, მნიშვნელობას იპოვებს ქცევის შედეგთან მისი ფუნქციონალური დამოკიდებულების გამო. ინფორმაციის და მისი გადამუშავების ცნებაც ასევე უნდა იქნეს გაგებული.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მექანიციზმი, რედუქციონიზმი და ბიჰევიორიზმი

მექანიციზმი წარმოადგენს ფილოსოფიურ თეორიას, რომელიც არსებრივადაა დაკავშირებული ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიასთან და

სინამდვილეშიც, ისტორიულადაც, დიდი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში. ბიჰევიორიზმის მამამთავარი უოტსონი თავისი ფსიქოლოგიური თეორიის დასაბუთებისას უმთავრესად მექანიცისტური ფილოსოფიური თვალსაზრისით ხელმძღვანელობს. მექანიციზმი, უწინარეს ყოვლისა, ონტოლოგიური თეორიაა, რომელიც ერთადერთ სინამდვილედ მექანიკურ (წმინდა ფიზიკურ) სამყაროს ან მის მოვლენათა სფეროს მიიჩნევს. სამყაროს სურათის მექანიცისტური განსაზღვრა უკვე შეიცავს ფსიქიკურის, და ამის შესაბამისად ფსიქოლოგიის მეცნიერების, ადგილის განსაზღვრასაც: ფსიქიკური ფიზიკურის ბუნების მქონედაა წარმოდგენილი, იგი ფიზიკურზე უნდა იქნეს დაყვანილი.

მექანიცისტური მსოფლგაგება შემეცნების თეორიაშიც აისახება. ბთელი სინამდვილის შემეცნება მექანიკური (ფიზიკური) მოვლენებისა და მათი კანონზომიერებების წვდომამდე დაიყვანება. ისტორიულად მექანიციზმი მატერიალიზმთან იყო დაკავშირებული („მექანიცისტური მატერიალიზმი"), მაგრამ ზედსართავის „მექანიცისტური" მხოლოდ მატერიალიზმისათვის მიწერის ტრადიცია, რაც, როგორც ცნობილია, ჰეგელის ავტორიტეტის გავლენის შედეგია, სწორი არაა. არსებობს მექანიცისტური მატერიალიზმიც და მექანიცისტური იდეალიზმიც. ეს განსხვავება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა გაგებული ფიზიკურის ბუნება. ახალ მექანიცისტურ-იდეალისტურ თეორიებს წარმოადგენენ ლოგიკური პოზიტივიზმი თავისი „ფიზიკალიზმით" და ოპერაციონიზმი თავისი „ობიექტურად დაკვირვებადი ოპერაციებით". მაგრამ ეს თეორიები თავისთავად მხოლოდ შემეცნების თეორიების პრეტენზიებით გამოდიან და არა ონტოლოგიისა, რის გამოც წინამდებარე თავში მათ არ განვიხილავთ: აქ ჩვენ მხოლოდ მექანიცისტური ონტოლოგიური თეორიების საკითხი გვაინტერესებს.

სინამდვილის მრავალფეროვანება შემეცნების დღევანდელ ეტაპზე ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: არსებობს არაორგანული სამყარო, მისი არსებობა მარადიულია, იგი დამოუკიდებელი სახითაც გვეძლევა და განვითარების ყოველი შემდგომი მაღალი საფეხურის შემადგენლობაშიც აუცილებლად იგულისხმება. თვით არაორგანულ სამყაროშივე იქმნებიან გარკვეული მთლიანობები, ფიზიკური გეშტალტები (უმარტივესი ფიზიკური ორგანიზაციები და ისეთი ურთულესი მთლიანი, როგორიცაა ადამიანის ფიზიკური ორგანიზაცია). მაღალი საფეხური აუცილებლად შეიცავს ქვემდებარე „ფენას" (მოცემულ შემთხვევაში — არაორგანულს, რომელსაც ასეთი ორგანიზაცია არ ახასიათებს), მაგრამ წარმოადგენს მ ე ტ ს, ვიდრე მისი ეს შემადგენელი მხარეა. ეს საფეხურობრივი, „ფენობრივი" იერარქია კვლავ მაღლა მიემართება ასეთი თანამიმდევრობით: სიცოცხლის დაბალი და

მაღალი ფორმები, ფსიქიკური უნარის მქონე ცოცხალი არსებები, ფსიქიკის დონე, გონითის (სოციალური ცნობიერების) მქონე არსებები და მათი სპეციფიკური ორგანიზაციები. ყოველი მაღალი საფეხურის არსებობა აუცილებლად გულისხმობს ყველა მის დაბლა მყოფს, მაგრამ აუცილებლადვე შეიცავს მათზე დაუყვანად თავისებურებას, რომლის შემეცნებისათვის საკმარისი არაა შემადგენელი მხარეების შესწავლა. მაგალითად, გონითის ა რ ს ე ბ ო ბ ა შეუძლებელი და გაუგებარი იქნებოდა, თუ იგი არ დაეყრდნობოდა ფსიქიკას, რომელიც თავის მხრივ სიცოცხლეს ემყარება, და ა. შ., მაგრამ გონითი არ დაიყვანება არაგონითს ფსიქიკურზე, სიცოცხლეზე და ა. შ. (სპეციალურად ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის უკანასკნელი თავი).

მექანიციზმს ეს მრავალფეროვანი სინამდვილე უნაშთოდ დაჰყავს ფიზიკურზე, არ ცნობს ფიზიკურის ზევით მდებარე თვისობრიობებს და მათს სპეციფიკურ შემეცნებადობას. მექანიციზმის შეფასებისათვის აუცილებელია მისი ზოგადი, გვარობითი ნიშანი გამოვყოთ. საკითხი, რომელიც აქ ჩვენს წინაშე დგას, მექანიციზმის სპეციფიკის გათვალისწინებას კი არ გულისხმობს, არამედ მის ამ ზოგად ნიშანს შეეხება. საკითხის განხილვის ნამდვილი თეორიული დონე აუცილებლად მოითხოვს ზოგადი საკითხის კერძოში აღრევის შეცდომისაგან განთავისუფლებას.

ეს საერთო ნიშანია მაღალი საფეხურის თავისებურების იგნორირება, მისი დაყვანა, რედუქცია, შემადგენელი ჰხარეების თავისებურებებზე. თეორიებს, რომლებიც ამ ნიშნით ხასიათდებიან, შეიძლება ვუწოდოთ ო ნ ტ ო ლ ო გ ი უ რ ი რ ე დ უ ქ ც ი ო ნ ი ზ მ ი. მექანიციზმი უკიდურესი რედუქციონიზმია. მას ყველაფერი საბოლოო ინსტანციამდე — არაორგანულ ფიზიკურამდე დაჰყავს. თვითონ მექანიციზმშიც გამოიყოფა სრულიად უკიდურესი რედუქციონიზმი, რომელიც უარყოფს ფიზიკურ გეშტალტებსაც და არამთლიანობითი ხასიათის ელემენტარულ ფიზიკურზე დაიყვანს ყველაფერს (ასეთ თვალსაზრისს დღეს არავინ იზიარებს). მაგრამ არსებობს რედუქციონიზმის სხვა, არარადიკალური სახეები. ასეთია ბიოლოგიზმი ფსიქოლოგიაში, რომელიც ცნობს სიცოცხლის სპეციფიკას, მაგრამ უარყოფს ფსიქიკურის თავისებურებას. ასეთივე რედუქციონისტულია თეორია, რომელიც ცხოველურ ფსიქიკამდე დაიყვანს ადამიანის მთელი სოციალური ფსიქიკურის შინაარსს. ონტოლოგიური რედუქციონიზმი, საერთოდ, განსხვავდება ონტოლოგიური თეორიისაგან, რომელიც ცნობს ახალი თვისობრიობების შემცველ მთლიანობათა იერარქიული საფეხურების არსებობას და აფუძნებს შესაბამის შემეცნების თეორიას. ხოლო თეორიებს, რომლებიც ახალ თვისობრივ საფეხურს ცნობენ,

მაგრამ უარყოფენ მისი შემადგენელი ფენების როლს, რედუქციონიზმი უპირისპირდება.

რედუქციონიზმის პრობლემა ერთი პრობლემაა, ამიტომ მექანიციზმის, ბიოლოგიზმის და გონითის-რედუქციონიზმის არსის განხილვისას მათ შორის განსხვავებებისაგან აბსტრაჰირება მოითხოვება. შესაძლებელია, გადმოცემის მიზნით, ერთერთი კერძო შემთხვევა ავიღოთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას მხოლოდ ილუსტრატიული მნიშვნელობა აქვს, რომ იგი მხოლოდ წარმომადგენელია თავისი გვარისა, ე. ი. არსებითად მხოლოდ თავისი გვარობითი ნიშნითაა აღებული. ჩვენ ასეთ წარმომადგენლობის ფუნქციას აქ მექანიციზმს ვანიჭებთ, მითუმეტეს, რომ ბიჰევიორიზმის პირველ საფუძველს იგი შეადგენდა და ჩვენში ბიჰევიორიზმის შემოტანის ცდების შესაძლებლობაც მასთანაა დაკავშირებული.

ჩვენ გვაინტერესებს საკითხი, შესაძლებელია თუ არა მექანიციზმის (როგორც რედუქციონიზმის) დაფუძნება, რაც ბიჰევიორიზმს განაპირობებდა. რედუქციის მთლიან პრობლემას კი ეხება ნაშრომის უკანასკნელი თავი.

საბჭოთა ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში, თუ ბოლოდროინდელ გამოკვლევებს არ მივიღებთ მხედველობაში, ბიჰევიორიზმის კრიტიკას თითქმის მხოლოდ მექანიციზმის ონტოლოგიურ გაგებას უკავშირებდნენ. დღეს ამით დაკმაყოფილება დაუშვებელი გამარტივება იქნებოდა. უკვე ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან ბიჰევიორიზმი ცდილობს მექანიციზმი შემეცნების თეორიის პოზიციებიდან დაასაბუთოს (ლოგიკური პოზიტივიზმი, ოპერაციონიზმი). მის მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს ინტერსუბიექტური, კომუნიკაბელური (სხვა დამკვირვებლებისათვისაც დემონსტრირებადი) ცოდნის დაფუძნება და არგუმენტაციაც აქედან ამოდის. ამიტომ კრიტიკაც დღეს ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. თუმცა, როგორც ნაჩვენები იქნება, ბიჰევიორიზმის ეს შემეცნებისთეორიული დასაბუთებაც საბოლოოდ ისევ მექანიცისტური ონტოლოგიიდან იღებს სათავეს.

არის ერთი გარემოებაც, რომელიც მექანიციზმის კრიტიკას უფრო აქტუალურს ხდის. მარქსისტული ფსიქოლოგია ებრძვის მექანიციზმს; დიალექტური მატერიალიზმი, მექანიცისტური მატერიალიზმისგან განსხვავებით, არ უარყოფს ცნობიერების და ფსიქიკის რეალობას. იგი უარყოფს ცნობიერებისა და ფსიქიკურის პირველადობას, მათს დამოუკიდებელ სუბსტანციურ ხასიათს, მაგრამ ფსიქიკა გაგებულია როგორც მატერიის თვისება; ფსიქიკის მქონე მატერიალური არსება ახალი თვისობრიობაა, რომელიც არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მის საფუძვლად მდებარე წმინდა ფიზიკურ პროცესებზე.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა ფსიქოლოგთა შორის ისტორიულად არაერთხელ იჩინა თავი ფსიქიკის მექანიცისტურ-მატერიალისტურმა გაგებამ. გავიხსენოთ რეფლექსოლოგია და რეაქტოლოგია (20-30-იან წლებში), პავლოვის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მოძღვრებაზე ფსიქოლოგიის რედუქცია (50-იან წლებში), ფსიქოლოგიის დაყვანა მართვის თეორიამდე (60-იან წლებში), კიბერნეტიკის წარმატებებით გამოწვეული პირველი გატაცების პერიოდში. ამის მიზეზი შეიძლება შემდეგში ვეძებოთ:

1. მარქსიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს ფსიქოლოგიის საფუძველმდებელი დებულებები, მაგრამ გადასაჭრელი იყო ფსიქოლოგიის მეცნიერების აგების კონკრეტული ამოცანა. ახალი ფსიქოლოგიის ქმნადობის სიძნელეები, გასაგებია, ისეთ ცდებსაც წარმოშობდა, სადაც შენარჩუნებული იყო მატერიალისტური გაგება. მაგრამ ფაქტიურად მხედველობაში არ იყო მიღებული ფსიქიკის თვისობრივი განსხვავება წმინდა მატერიალური (ფიზიოლოგიური) მოვლენებისაგან. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში საქმეს ვერ შეელიდა სიტყვიერი განცხადების დართვა, რომ ფსიქიკა გულისხმობს და ფსიქოლოგია უნდა დაეყრდნოს ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთიანობას, ან რომ ფსიქიკა ახალი თვისობრიობაა და იგი დაუყვანადია წმინდა მატერიალურ პროცესებამდე. 2. ფსიქიკის მატერიალური საფუძვლების კვლევა, სრულიად გარკვეული აზრით, ფსიქოლოგიური კვლევაცაა, თუმცა მან არ შეიძლება შეცვალოს თვითონ ფსიქოფიზიკური მთლიანისა და ფსიქიკურის კვლევა (როგორც ეს გარკვეულია ქვემოთ, სადაც მთლიანისა და მასში შემავალი მხარეების ურთიერთობის საკითხია განხილული). ფსიქიკის საფუძვლად მდებარე პროცესთა კვლევის წარმატება, ფსიქიკო-ფიზიკური მთელის ერთი გარკვეული მხარის ცხადყოფა, შეიძლება იწვევდეს ამ მხარის უკანონო უნივერსალიზაციას, მთელი ფსიქიკის მასზე დაყვანას.

მექანიციზმის ნიადაგზე ფსიქოლოგიის აგების პრინციპები გაცილებით ადრე იქნა მითითებული, ვიდრე ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია წარმოიშობოდა. ასეთ პრინციპებს შეიცავდა უძველესი ატომისტური ფილოსოფიური თეორიები. კლასიკურად კი ლამეტრის ცდა ითვლება. ერთადერთი სუბსტანცია არის მატერია, ადამიანიც თავისი სულით მხოლოდ მატერიალურ ორგანიზაციას—მანქანას წარმოადგენს, ამტკიცებს ლამეტრი თავის ნაშრომში „ადამიანი-მანქანა"[7]. ფსიქოლოგიის მექანიცისტური დაფუძნების თვალსაზრისით ლამეტრის ნააზრევში ორი მომენტი უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან: ფსიქიკის მატერიალური საფუძვლების კვლევა და ამ საფუძვლებზე ფსი-

---

[7] Ламеттри, Избранные сочинения, М.-Л., 1925, стр. 231.

ქიკურის დაყვანის თეორია. ლამეტრიმ აჩვენა ფსიქიკის მატერიალური საფუძვლების კვლევის ნაყოფიერება. დასახელებულ ნაშრომსა და გამოკვლევაში „ადამიანი — მცენარე" ლამეტრი მიუთითებს ადამიანის სხეულის ანალოგიებზე ცხოველსა და თვითონ მცენარესთან აგებულებისა და ფუნქციების მხრივ, რაც ფსიქიკურის საფუძველს ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამ ანალოგიათაგან დღეს გულუბრყვილო ჩანს, ადამიანის სხეულებრივ მსგავსებას ცხოველთან და მცენარესთან ლამეტრი მაინც აშკარად აჩვენებს. მაგრამ ლამეტრიმ ვერ გადაჭრა საკითხი, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ასეთ კვლევას ფსიქოლოგიისათვის და მცდარი მექანიცისტური რედუქციონისტური თეორია განავითარა. აღნიშნული ანალოგიები და სულიერი მდგომარეობის სხეულებრივზე დამოკიდებულების ფაქტები ლამეტრის ერთადერთი არგუმენტებია ამ რედუქციის დასაბუთებაში. იგი არ უწევს ანგარიშს, რომ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების ფაქტები უცნობი, როდი იყო სხვა მოაზროვნეებისათვისაც (მაგალითად, დეკარტისათვის, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელებზე), რომლებიც, მიუხედავად ამისა, ფსიქიკურის ბუნების თავისებურებას ცნობდნენ, რადგანაც ეს ფაქტები ამ თავისებურების უარყოფისათვის არ გამოდგება. თავის ამ ეპიფენომენალიზმს ლამეტრი სრულიად ურეფლექსიოდ ათავსებს ისეთ შემეცნების თეორიასთან, რომელიც ცნობიერების ცნებით ოპერირებს. ცნობიერების ფაქტები ლამეტრის საერთოდაც არ უარუყვია, იგი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ეს ფაქტები ბოლომდე აიხსნება მექანიკური პროცესებით. მაგრამ მას არც დაუყენებია ადრიდანვე კარგად ცნობილი საკითხი, გამოდგება თუ არა ცნობიერების მატერიალური პირობების შემეცნების შესაძლებლობის დასაბუთება ცნობიერების თავისებურების (და, მაშასადამე, მისი სპეციფიკური შემეცნების) უარყოფისათვის.

როგორც ვხედავთ, ლამეტრიმ არა მარტო ვერ დაასაბუთა მექანიცისტური ფსიქოლოგია, არამედ მას არც დაუყენებია საკითხი, რომლის გადაჭრაც აუცილებელი იყო ამ მიზნისათვის.

უოტსონს ეკუთვნის ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ხორცშესხმა, მისი მთავარი ლოზუნგის წამოყენება და გარკვეულ ფილოსოფიურ საფუძვლებზე მითითება. როგორც ცნობილია, უოტსონის ბიჰევიორიზმი პრაგმატიზმის და მექანიციზმის გავლენებს აერთიანებდა. რა შეძლება ითქვას მექანიციზმთან მისი დამოკიდებულების შესახებ? არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყოდით, რომ უოტსონი პირდაპირ იცავს მექანიციზმს და ფსიქიკას ფიზიკურ მოვლენებთან აიგივებს: ასეთი შეხედულება ბიჰევიორიზმი არ იქნებოდა, რადგანაც იგი არ იქნებოდა საერთოდ ფსიქოლოგია, ვერ მიუთითებდა რაიმე ნიშანზე, რითაც ფსიქოლოგიური კვლევა ფიზიკური კვლევისაგან

განსხვავდება. უოტსონის (და, საერთოდ, ბიჰევიორიზმის) მექანიციზმზე ლაპარაკი მხოლოდ იმ აზრით, თუ შეიძლება, რომ ამ ფსიქოლოგიურ თეორიაში მითითებული ფსიქიკურის სპეციფიკური ნიშანი სინამდვილეში ვერ უზრუნველყოფს ფსიქიკურის განსხვავებას ფიზიკურისაგან და საბოლოოდ მექანიცისტურ რედუქციაზე ზევით ვერ მიდის.

უოტსონი პოზიტივიზმის საფუძველზე დგას. ყველაფრის ამოსავლად ცდაა მიჩნეული, რაც ცდის ტრანსცენდენტურია, მის არსებობაზე და შემეცნებაზე ლაპარაკი (მეტაფიზიკა) უაზრობაა. ფსიქოფიზიკური პრობლემა ასეთი მეტაფიზიკური ხასიათისაა. ცდაში ეს დუალიზმი მოცემული არაა. ცდა შეიცავს ობიექტურად დაკვირვებად მოვლენებს, მეცნიერებას მხოლოდ მათთან აქვს საქმე. მეცნიერების პირველი მოთხოვნაა მოვლენათა ობიექტური შემოწმებადობა. ცნობიერების მოვლენები (ინტროსპექციის მეთოდით მონაპოვარნი) არ შეიძლება მეცნიერული კვლევის ობიექტი იყოს, რადგანაც ისინი არ ექვემდებარებიან ობიექტურ შემოწმებას. ფსიქოლოგი თავისი ცნობიერების შესახებ ვერაფერს გააგებინებს თავისთავსაც როგორც ფიზიკოსს (რადგანაც ცნობიერების მოვლენა ფიზიკის ენაზე ცნობებადი არაა) და ვერც სხვა ფსიქოლოგს. ამიტომ ცნობიერების მოვლენების არსებობის დასაბუთება შეუძლებელია[8]. ობიექტურად დაკვირვებადი მოვლენები კი მეცნიერების ერთიანი ენით გამოსახვადია, რის გამოც ფსიქოლოგია მეცნიერებად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა სრულიად უკუაგდებს ცნობიერების ცნებას და ამ ობიექტური (ბუნებისმეტყველური) ენით დაიწყებს ლაპარაკს[9]. მაგრამ ფსიქოლოგია არაა ფიზიოლოგია, და მით უმეტეს, ფიზიკა. უოტსონს გაუგებრობად მიაჩნია, როცა მის თეორიას ფიზიოლოგიას უწოდებენ. ფსიქოლოგია სწავლობს მთელი ორგანიზმის რეაქციას სტიმულზე (ან რთულ სტიმულზე, რომელსაც სიტუაცია ეწოდება). ორგანიზმის ეს მოქმედება შეგუების აქტია. ფიზიოლოგია სწავლობს ცალკე ორგანოთა ფუნქციებს და, მაშასადამე, მასაც აინტერესებს მთლიანობები, მაგრამ იგი, ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, არ სწავლობს ერთ ცოცხალ მთლიანს, მის დამოკიდებულებას გარემოსთან. ამ მთლიანის მოქმედებას, რაც ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს, უოტსონი ქცევას უწოდებს[10]. ქცევას როგორც მთლიანი ცოცხალი ორგანიზმის შეგუებითს მოქმედებას თავისი სპეციფიკური კანონები აქვს, რაც აფუძნებს ფსიქოლოგიის მეცნიერების დამოუკიდებლობას.

---

[8] Дж. Уотсон, Психология как наука о повед., стр. 1—3.

[9] იქვე, გვ. XIV.

[10] იქვე, გვ. 17—19.

ეს მსჯელობები თითქოს იმაზე მიუთითებენ, რომ უოტსონი მექანიციზმის წინააღმდეგია. და მისი რედუქციონიზმი მხოლოდ ბიოლოგისტურია. აქ მართლაც შეიძლება ბიოლოგიზმის დადასტურება, მხოლოდ იმ აზრით, რომ ბიოლოგიური მთლიანის ფიზიკური ორგანიზაციის ერთგვარი სპეციფიკაა მხედველობაში მიღებული. სხვა ასპექტით კი რედუქციის პროცესი ბიოლოგიურს ქვევითაც ეიდის. შეგუების აქტი გაგებულია არა როგორც სპეციფიკური ბიოლოგიური ცნება, არამედ როგორც ფიზიკური ორგანიზაცია. ტერმინში შეგუება, ამბობს უოტსონი, ჩვენ ვგულისხმობთ „რეაქციათა მთელ ჯგუფს, რომლებიც ისეთი კომბინაციით არიან შეერთებული... რომელიც მიგვითითებს, რომ ადამიანი აკეთებს ისეთ რაიმეს, რის აღსანიშნავადაც ჩვენ გვაქვს სახელწოდებები: მაგალითად „სახლს აშენებს", „ჭამს", „ცურავს"...[11]. საბოლოოდ ქცევა დაიყვანება ცალკეულ რეაქციებზე (კუნთური, ჰუმორალური სისტემის, რეცეპტორების რეაქციები). მაგრამ ფსიქოლოგიის უშუალო ამოცანაა ქცევის როგორც მთლიანი მოქმედების შესწავლა. ამ ინტეგრირებული სისტემის ელემენტებად დაშლას კი ფსიქოლოგია მხოლოდ იმ მიზნით მიმართავს, რომ მთლიანის შესახებ რაიმე პრობლემა გადაწყვიტოს[12].

უოტსონის ბიჰევიორიზმი, როგორც აქედან ჩანს, სპეციფიკურ მექანიცისტურ რედუქციონიზმს წარმოადგენს. მისი თავისებურება იმაშია, რომ ფსიქოფიზიკური მთლიანი ფიზიკურ ორგანიზაციაზე დაჰყავს.

ფსიქიკურის უარყოფისათვის უოტსონის ძირითადი არგუმენტია ცნობიერების მოვლენათა შეუმოწმებადობა, არაკომუნიკაბელურობა. ამ არგუმენტის მცდარობის დასაბუთება უოტსონის მტკიცებათა მთელ სისტემას არღვევს. ცნობიერების შემოწმებადობა საფუძველს წარმოადგენს ყოველგვარი ობიექტურის შემოწმებადობისათვის, რის გამოც მისი უარყოფა აბსოლუტურ სკეპტიციზმამდე მიგვიყვანდა შემეცნებაში. ამ დებულების გამართლებას ჩვენ ლოგიკური პოზიტივიზმის განხილვისას შევეცდებით, რადგანაც ამ მიმართულებაში დაისვა ეს საკითხი შედარებით უფრო მაღალი რეფლექსიის დონეზე.

ცნობიერების მექანიცისტური უარყოფის წინააღმდეგ გავრცელება მოიპოვა შემდეგმა არგუმენტმა: ბიჰევიორისტს არ შეუძლია თვითონ ქცევის ერთეულები გამოჰყოს და დაინახოს ქცევა, როგორც თავისებური მთლიანი, თუ კი იგი ქცევის ცნობიერ საზრისზე უარს იტყვის. ეს უდავოდ სწორი მტკიცება ეყრდნობა ზემოთ მითითებულ

---

11 Дж. Уотсон, Психология, как наука о повед., стр. 11.

12 იქვე, გვ. 12

ზოგად დებულებას. რომ ცნობიერების შემოწმების უარყოფა აბსოლუტურ სკეპსისს იწვევს.

უოტსონის შეხედულებები უფრო მაინც ონტოლოგიურ მექანიცისტურ არგუმენტებს ემყარება და არა იმდენად გონოსეოლოგიურ რეფლექსიას (ამ თავში მისი განხილვაც ამ გარემოებითაა გამოწვეული). მსგავსი გაგება მოჰყვა მართვის თეორიის უშუალო გადატანას ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში. კიბერნეტიკის დამფუძნებელი ნ. ვინერი მხოლოდ იმ უდავოდ სწორ დებულებას იცავდა, რომ მართვის ცნება მიყენებადია სიცოცხლისა და ქცევის სფეროს მიმართაც. მექანიცისტური თვალსაზრისი კი შორს მიდის და ამტკიცებს, რომ თვითრეგულაციის თავისებური ობიექტური პროცესები საკმარისია ფსიქიკურისა და ბიოლოგიურის შემეცნებისათვის. ამ შეხედულების მიხედვით, ცნობიერების ნაცელად საკმარისია მისი ობიექტური შემცველის — ინფორმაციის შესახებ ვილაპარაკოთ, ხოლო უკუკავშირის საფუძველზე მართვა, თვითრეგულაცია ყოველგვარი ფსიქიკური მოქმედების ამომწურავი გაგებისათვის გამოდგება. ამ გზით ფიქრობენ ისეთი ფსიქიკურისა და ბიოლოგიურის აზრს წვდნენ, როგორიცაა სიცოცხლე, შეგუება, სწავლა, მიზანი, აღქმა, აზროვნება და სხვ. ეს ტიპიური ბიჰევიორისტული თეორიაა თავისი ძირითადი თეზისით და მისი ყველა მომენტით. ასეთ შეხედულებას ანვითარებს ეშბიც. ცნობიერებას ეშბი იმ ცნობილი არგუმენტით უარყოფს, რომ იგი ობიექტურად დემონსტრირებადი არაა. ადამიანი გაგებულია როგორც მხოლოდ სპეციფიკური სტაბილური სისტემა. სტაბილობა ობიექტური ცნებაა, იგი ახასიათებს ყოველი საგნის თუ მოვლენის ყოველგვარ ასპექტს, თუ კი ეს უკანასკნელი გარკვეულ ფარგლებში უცვლელობას ინარჩუნებს[13]. ეშბის გამოკვლევა სამართლიანადაა შეფასებული როგორც დიდი მნიშვნელობის მონაპოვარი, მაგრამ მექანიცისტური ფილოსოფიური თეორია, რომელსაც იგი თან ურთავს ამ გამოკვლევას, გადაჭრით უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ანალოგიურია გ. კლაუსის მსჯელობები მიზნის კატეგორიის შესახებ ამ მიმართებაში. კლაუსის აზრით[14], უკუკავშირის ცნება გასაგებს ხდის მიზნის ფსიქოლოგიურ ცნებას, რომელიც არ შეიძლებოდა გასაგები ყოფილიყო ძველი ფიზიკის ე. წ. ლინეარული მიზეზობრივი კავშირის ცნების ნიადაგზე. მიზეზშედეგობრივი, კაუზალური კავშირი შემდეგ სქემას ექვემდებარება: მიზეზი მოქმედებს რაიმე

---

[13] Эшби, Конструкция мозга, М., 1962.

[14] G. Klaus, Das Verhältnis von Kausalität und Teleologie in kybernetischer Sicht, Zeitschrift f. Philosophie, 1960, 10.

სისტემაზე და იწვევს გარკვეულ შედეგს; თუ შეიცვალა მიზეზი, შეიცვლება შედეგიც. მიზნობრივი მოქმედების სქემა ისევ ობიექტური მიზეზობრიობით გაიგება, მას შეიცავს და მეტს არაფერს, ოღონდ იქ ორგანიზაციის სპეციფიკური სახე გვაქვს: ერთი მიზეზი იწვევს გარკვეულ შედეგს, მაგრამ ამავე შედეგს იწვევს განსხვავებული მიზეზის ზემოქმედებაც სისტემაზე; ეს შესაძლებელია მიზეზშედეგობრივი ურთიერთობის სპეციფიკური ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც უკუკავშირი ეწოდება მართვის თეორიაში. იგი გასაგებს ხდის მიზანშეწონილ მოქმედებას. სახელდობრ, ის გარემოება, რომ მიუხედავად განსხვავებულ მიზეზთა ზემოქმედებისა, შედეგი ერთი და იგივე მიიღება, მიიღწევა მხოლოდ უკუკავშირის ნიადაგზე: მიზეზი მოქმედებს სისტემაზე და პირველად ვერ იწვევს საჭირო შედეგს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრუნდება უკან, საჭირო ცვლილებებს იწვევს ზემოქმედ მიზეზში, ეს შეცვლილი მიზეზი მოქმედებს სისტემაზე და იწვევს სასურველ შედეგს. ასეთია მიზნობრივი ქცევის ბუნება, კლაუსის აზრით.

რასაკვირველია, უკუკავშირის აღმოჩენა და მის ნიადაგზე მიზანშეწონილი მანქანური მოქმედების მიღწევა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა და ასეთადაცაა იგი მიჩნეული დღეს. მონახულია მნიშვნელოვანი ობიექტური მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ სასურველი, ჩვენი მიზნის შესატყვისი მოქმედება. მაგრამ ნიშნავს ეს იმას თუ არა, რომ მიღწეულია ფსიქიკურის (მიზნის, მიზანდასახული ქცევის) გაგება მხოლოდ ობიექტური ფიზიკურისა და მისი ორგანიზაციის ცნებებით, ისე რომ ცნობიერება სრულიადაც არაა ანგარიშგაწეული? ჩვენ უნდა უკუვაგდოთ ამ კითხვაზე დადებითი პასუხი, რომელიც ბიჰევიორიზმს ადგენს და აუქმებს ნამდვილ ფსიქიკურს. საქმე იმაშია, რომ კლაუსის სქემაში გვხვდება მომენტი (და შეუძლებელია ეს მომენტი გამორიცხულ იქნას), რომელიც სრულიად მიუწვდომელია ფიზიკური ორგანიზაციის, უკუკავშირის ცნებით. ეს მომენტია ს ა ჭ ი რ ო, ს ა ს უ რ ვ ე ლ ი შედეგის მომენტი. ეს სქემა იმიტომ შეიძლება გამოდგეს მიზანდასახული მოქმედების სქემად, რომ მიზნის ცნება მასში გარედანაა შეტანილი. ჰანქანის, რომელიც უკუკავშირის სქემით მოქმედებს, როგორც შესავალთან, ისე გამოსავალთან, დგას ჩვენი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა და სწორედ იგი ანიჭებს უკუკავშირის ნიადაგზე მიღებულ შედეგს მიზნის ნიშანს. ამ მომენტის გამორიცხვისთანავე ეს ნიშანი დაიკარგებოდა და წმინდა მიზეზშედეგობრივი მოქმედების მხოლოდ გართულებული სქემა დაგვრჩებოდა, რომლისთვისაც მიზნის მიღწევის მომენტი სრულიად უცხო იქნებოდა. მართლაც, რომ ჩვენი ცნობიერებიდან მანქანისადმი მიზნის მიაზრებას არ ვაწარმოებდეთ, უკუკავშირის სქემა

არსებითად ლინეარული მიზეზშედეგობრივი ურთიერთობის სქემად წარმოგვიდგებოდა: პირველი გამღიზიანებელი მოქმედებს სისტემაზე, იწვევს მასში ერთ შედეგს, ეს შედეგი მოქმედებს მეორე მომენტში მიმდინარე პროცესზე, რომელიც ადრე ამ ზემოქმედების გაცდის გარეშე მოქმედებდა სისტემაზე, და იწვევს მის შეცვლას, ახლა უკვე ამის გამო სულ სხვა, მეორე, გამღიზიანებელი მოქმედებს სისტემაზე და იწვევს სხვა შედეგს. ესაა და ეს, ლინეარული კაუზალობის სქემა დარჩენილია, მხოლოდ გართულებულია იმით, რომ ერთმანეთზე გადაბმულია ორი ასეთი რიგი. ერთი და იგივე შედეგის მიღება მიზნის პრედიკატს მხოლოდ მაშინ იპოვებს, თუ სისტემის შემქმნელი კონსტრუქტორის (ან მომხმარებლის) ცნობიერებიდან გამოვალთ. ხის მერქანზეც აღინუსხება წლიური ციკლის შეღეგი. მაგრამ ხე არ შეიძლება გამომთელელ მანქანად გავიგოთ და მიზნობრივი ქცევის პრედიკატით დავახასიათოთ, თუ კი ჩვენი ცნობიერება არ იქნება ნაგულისხმევი ამ სისტემაში. ამრიგად, მანქანის ფსიქიკურ საზრისს უზრუნველყოფს ჩვენი ცნობიერება, უფრო ზუსტად — სისტემა: ცნობიერება — მანქანა — ცნობიერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური ორგანიზაციის რესურსებით ფსიქიკის სპეციფიკური თვისების წვდომა შეუძლებელია. მეორე მხრივ კი, თუ ობიექტური კვლევის ადგილს სწორად განვსაზღვრავთ, იგი ფსიქოფიზიკური მთლიანის შემადგენელი მხარის მნიშვნელოვან შემეცნებად უნდა ვცნოთ. ობიექტური კვლევის განვითარება, რომელიც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის განვითარების პროცესსაც თან სდევდა, სულ უფრო და უფრო ამტკიცებდა ფსიქიკის ობიექტური მხარის შემეცნების არსებით მნიშვნელობას, მაგრამ წარმატებას იმით აღწევდა, რომ თანდათან უფრო მეტად იღებდა მხედველობაში ქცევის (ობიექტურის) ფსიქიკურ საზრისს და, მაშასადამე, ნაკლებად ტოვებდა ადგილს მექანიცისტური რედუქციონიზმისათვის. ამ ვითარების გამო ქცევის შესახებ თეორიაც მეტად სცილდებოდა მექანიციზმის პოზიციებს. ეს აისახა ოპერაციონისტული ბიჰევიორიზმის წარმოშობით და, ბოლოს, ე. წ. „სუბიექტური ბიჰევიორიზმის" აღმოცენებით, რომელიც ლოგიკურად ასრულებდა ბიჰევიორიზმისაგან განთავისუფლების პროცესს და უარყოფდა ფსიქიკის ბიჰევიორისტულ ობიექტივისტურ ინტერპრეტაციას.

მექანიციზმი ჩვენ განვიხილეთ როგორც რედუქციონიზმის მაგალითი, რაც მექანიცისტურ რედუქციონიზმზე ითქვა, mutatis mutandis გადატანადია ბიოლოგიზმის, გონითის-რედუქციონიზმის და საერთოდ ყოველგვარი რედუქციონიზმის მიმართ.

თავი მესამე

პრაგმატიზმი როგორც ბიჰევიორიზმის ფილოსოფიური საფუძველი

აზრი იმის შესახებ, რომ ბიჰევიორიზმის წარმოშობა ლოგიკურადაც და ისტორიულადაც პრაგმატიზმმა განსაზღვრა, დიდი ხანია ცნობილი და გავრცელებულია. ჩვენს ამოცანას შეადგენს გავარკვიოთ პრაგმატიზმისა და ბიჰევიორიზმის ლოგიკური კავშირი და შევამოწმოთ ბიჰევიორიზმის პრაგმატისტული დასაბუთება.

პრაგმატიზმს საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის დასასრულს. მისი პრინციპის ფორმულირება ეკუთვნის პირსს (1878 წ.). დასრულებული თეორია კი იქმნება უ. ჯემსის მიერ (1898 წლიდან). ჯემსი და დიუი ქმნიდნენ არა მარტო პრაგმატისტული შემეცნების თეორიას, არამედ ამაზე დაფუძნებულ ფსიქოლოგიასაც. განსაკუთრებით ეს ითქმის ჯემსზე, რომელმაც ახალი თვალსაზრისით განიხილა ფსიქოლოგიის მრავალი პრობლემა.

ჯემსის ეს მოღვაწეობა იწყება ჯერ კიდევ 1884 წ. მისი სტატიით ცნობიერების ნაკადის შესახებ, ხოლო 1890 წ. გამოსული მისი ფსიქოლოგიის საფუძვლების ორტომეული უკვე შეიცავს ფსიქოლოგიის მთელი რიგი საკითხების ისეთ გადაჭრას, რომელიც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის აგებას ემსახურება. ჯემსი სულიერ მოვლენებს უკავშირებს სხეულებრივ მოვლენებს და ამჟღავნებს აშკარა ტენდენციას რომ გადამწყვეტი როლი ამ კავშირში უკანასკნელს მიაკუთვნოს. ამგვარი თვალსაზრისით კვლევამ ჯემსი ემოციების ბიჰევიორისტული ტიპის თეორიამდე მიიყვანა. ანალოგიური იყო მისი ყურადღების თეორიაც. მეხსიერების ექსპერიმენტული გამოკვლევით ჯემსი მიდის მეხსიერების ფორმალური ზოგადი უნარის ძველი ფსიქოლოგიური ცნების უარყოფამდე. ამან დასაბამი მისცა თორნდაიკის ჩვევის გადატანის თეორიას „იდენტურ ელემენტთა" საფუძველზე. ზოგადი ფსიქიკური უნარის ადგილზე ჩვევა კარგად გამოდგება ისეთი გაგებისათვის, რომელიც უარყოფს ცნობიერებას და მხოლოდ ობიექტური სტიმული-რეაქციის მოდელს დაეყრდნობა. ჯემსი ფსიქოლოგიაში ავითარებს ბიოლოგიურ თვალსაზრისს, განიცდის დარვინის მოძღვრებისა და სპენსერის ბიოლოგისტური თეორიის გავლენას. ფსიქოლოგიის საგანია გარემოსთან ურთიერთობაში მყოფი ცოცხალი ორგანიზმი, სულიერი მოვლენების ფუნქცია ორგანიზმის მიზანთა მიღწევის საშუალებების შერჩევაში გამოიხატება[15]. პიროვნება, „მე"

---

[15] W. James, The Principles, of Psychology, Lond., v. 1, 1901, p. 8.

გაგებულია როგორც ორგანიზმი. დიუი შენიშნავს, რომ ჯემსი მაინც განიცდიდა სხეულ-სულის დუალიზმის გავლენას, თორემ მისი იდეების თანამიმდევრულ განვითარებას ფსიქიკურ ფენომენთა ბიოლოგიურ-ბიჰევიორისტულ ახსნამდე უნდა მიეყვანა[16].

შემდეგში ჯემსი ქმნის პრაგმატისტულ ფილოსოფიას და ფსიქიკურის თავისებურ გაგებას ავითარებს.

ჯემსის შემეცნების თეორია, პრაგმატიზმი, პოზიტივისტური უკიდურესი ემპირისტული დებულებიდან იწყება. შემეცნება ცდას ეყრდნობა და არასოდეს არ უნდა გავიდეს ცდის ფარგლებიდან. ცდა არის ერთადერთი ევიდენტური და ყოველგვარი შემეცნებითი კონსტრუქციის ევიდენტურობა მხოლოდ მისი ცდაზე დაყვანით, ვერიფიკაციით მიიღწევა. მაგრამ რით განსხვავდება პრაგმატიზმი ადრინდელი პოზიტივიზმისაგან?

ეს განსხვავება არსებითად გამოთქმულია ჩ. პირსის პრაგმატისტული პრინციპით. ყოველი შეხედულების მნიშვნელობას (Meaning) ამ შეხედულების მოხმარების შედეგი ადგენს. საგნის შესახებ რაიმეს მტკიცება ნიშნავს იმას, თუ რას უნდა ველოდეთ მომავალ ცდაში, რომელზეც ჩვენი მტკიცება მიუთითებს. ჯემსმა პირსის ეს დებულება გამოთქმის მნიშვნელობის შესახებ გაავრცელა ჭეშმარიტების საკითხზეც.

ერთადერთი მოცემული, ამბობს ჯემსი, არის ცდა, რომლისთვისაც უცხოა შემმეცნებელისა და შესამეცნებელის დაპირისპირება. ცდა აძლევს აზრს შემეცნების. ჩვენი მტკიცებების მნიშვნელობაც და ჭეშმარიტებაც ცდის მეშვეობით დგინდება. ჩვენი მტკიცება ეხება მომავალ ცდას და ამ ცდის შედეგებით იღებს მნიშვნელობას. და ჭეშმარიტება-სიმცდარის ნიშანსაც. თუ მომავალი ცდის შედეგები ეთანხმება ჩვენს მტკიცებას, მაშინ ეს მტკიცება მნიშვნელობას შეიცავს და ჭეშმარიტიც. იდეის ჭეშმარიტება მისი ვერიფიკაციის პროცესზე დაიყვანება. ჭეშმარიტია იდეა, თუ მას სასურველ, სასარგებლო შედეგამდე მივყავართ მომავალ ცდაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იდეა მცდარია.

ჭეშმარიტება უძრაკი თვისება კი არაა, არამედ „ჭეშმარიტება ხდება", იგი „ემართება" იდეას, იდეა ჭეშმარიტი კი არაა, არამედ იგი ი ქ ც ე ვ ა ასეთად. ჭეშმარიტება ცდის სასურველი შედეგით ჭეშმარიტხდომაა (ვერი-ფიკაცია)[17].

ჭეშმარიტება სარგებლიანობასთანაა გათანაბრებული. იდეა ჭეშმარიტია, რამდენადაც ის სასარგებლოა. ეს, ცხადია, სრულებითაც არ

---

[16] J. Dewey, Problems of men, NY, 1946, p. 399.

[17] В. Джемс, Прагматизм, СПб, 1910, стр. 123-124.

ნიშნავს ჭეშმარიტად ისეთი იდეის მიჩნევას, რომელიც მცდარია, როგორც შემეცნება, მაგრამ სასარგებლოა რაღაც სხვა, ჰეტეროგენეტური ასპექტით (მაგ. სიცრუე): თავის მხრივ სასარგებლო არის ის, რაც ჭეშმარიტია. ჭეშმარიტად იქცევა იდეა, რომელმაც დაიწყო თავისი შემოწმების პროცესი, იმ შედეგის ჩვენება, რომელიც სასარგებლოა[18]. რა იგულისხმება ტერმინში „სასარგებლო"? ჯემსის აზრით, ცდაში მოცემული გვაქვს ინტერესები (მოთხოვნილებები). მათ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს შემეცნებითი ინტერესები. ის, რაც აკმაყოფილებს შემეცნებითს ინტერესებს, არის სასარგებლო როგორც შემეცნება, ჭეშმარიტი იდეა. რაც ამ ინტერესებს არ აკმაყოფილებს — უსარგებლოა, მცდარია. ჩვენი ქცევა ამ ინტერესებითაა წარმართული და ისინი განსაზღვრავენ ჭეშმარიტებას. თვითონ ეს ინტერესები კი განსაზღვრულია ჩვენი როგორც ცოცხალი მოქმედი არსების ორგანიზაციით.

ჯემსი არ კმაყოფილდება შემეცნების დასაბუთებით, რადგანაც ცდაში, მისი აზრით, არა მარტო შემეცნებითი ინტერესებია მოცემული, არამედ ქცევითიც (ეთიკური, რელიგიური). შემეცნების დასაბუთების ანალოგიურია სამართლიანობის, სიკეთის, ღმერთის დასაბუთებაც. სასარგებლოს, ინტერესებისათვის სამსახურის პრინციპი აქაც ძალაშია. თუ ჭეშმარიტება არის სასარგებლო აზროვნების სფეროში, ამბობს ჯემსი, სამართლიანობა — ესაა სასარგებლო ქცევის სფეროში[19].

ასეთია, ზოგადად, ჯემსის ანტიინტელექტუალისტური, ვოლუნტარისტული, ანთროპოცენტრისტული შემეცნების თეორია. პრაგმატიზმს, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, არსობრივად უკავშირდება ბიჰევიორიზმი, კერძოდ, ბიჰევიორიზმის მეორე და მესამე ქვეთეზისები პრაგმატიზმში პოულობენ თავის დასაბუთებას. ამიტომ პრაგმატისტული შემეცნების თეორიის კრიტიკას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის შეფასებისათვის.

ჯემსის პრაგმატიზმი ანთროპოცენტრისტული რელატივისტური შემეცნების თეორიაა და იგი, როგორც არაერთგზის არის ნაჩვენები მისი კრიტიკოსების მიერ, ვერ უზრუნველყოფს შემეცნების დაფუძნებას. აქედან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია ფსიქოლოგიის დაფუძნებაც პრაგმატიზმის ნიადაგზე. მაგრამ პრაგმატიზმის კრიტიკასთან დაკავშირებით ერთი გარემოება უნდა გვახსოვდეს, რომელზეც არაერთხელ მიუთითებენ თვითონ პრაგმატისტებიც და რომელსაც ჩვენში კ. ბაქრაძემ მიაქცია ყურადღება[20]. კრიტიკა

---

18 Д ж е м с, Прагматизм, стр. 125.
19 იქვე, გვ. 136.
20 კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, პრაგმატიზმი, თბ., 1965.

ზოგჯერ ემყარება პრაგმატიზმის (საერთოდ — სუბიექტური იდეალიზმის) არასწორ გაგებას, მიაწერს მას სრულიად გულუბრყვილო შეხედულებას და ამ შეხედულების ადვილი და არაფრისმთქმელი დაძლევით კმაყოფილდება. ჯემსი არ უარყოფს ობიექტურ სინამდვილეს, რამდენადაც ონტოლოგიის საკითხი მას მეტაფიზიკურ საკითხთა წრეში შეაქვს და არ განიხილავს (არ განიხილავს ფსიქოფიზიკურ პრობლემასაც). ამიტომ უბრალოდ იმის თქმა, რომ ჯემსმა უარყო ობიექტური სინამდვილე და ცნობიერება, განსახილველი საკითხის არსს არ ეხება და ეწინააღმდეგება. ჯემსის შემეცნების თეორიის (და ამაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური კონცეფციის) კრიტიკა იქ უნდა იყოს მიმართული, სადაც ჯემსმა დააყენა ეს საკითხები, იგი უნდა ეხებოდეს შემეცნების თეორიის (და შესაბამისი ფსიქოლოგიური თეორიის) დასაბუთებას.

ჯემსის პრაგმატისტული შემეცნების თეორია საწყისს აძლევს ფსიქიკის ბიჰევიორისტულ ინტერპრეტაციას, თუმცა არა დასრულებულ ბიჰევიორიზმს.

ბიჰევიორიზმისაგან განსხვავებით აქ ცნობიერების როლი ერთგვარად მაინც შენარჩუნებულია, თუმცა ცნობიერების ინსტრუმენტალური ფუნქცია, რომელზეც ჯემსი ლაპარაკობს, მაინც ცნობიერების მოვლენათა ისეთი ბიოლოგისტური რედუქციაა, რომელიც უგულვებელყოფს ცნობიერების სპეციფიკას და ბიჰევიორისტული სრული რედუქციისაკენ მიემართება. ჯემსის პრაგმატიზმის ძირითადი დებულება, რომლის მიხედვითაც შემეცნებისა და ყოველი ადამიანური სფერო ქცევამდეა დაყვანილი, პირდაპირ იქნა ათვისებული ბიჰევიორიზმში. ასევე პირდაპირ იქნა გადატანილი ამ დებულების არსებითი მომენტი — საბოლოო ქცევის ანუ ქცევის შედეგის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ. თავისი პრაგმატისტული თვალსაზრისით ფსიქოლოგიის ასეთი მეცნიერების დაფუძნება ჯემსმა თვითონვე სცადა სტატიაში „არსებობს თუ არა ცნობიერება", რომელიც 1904 წ. დაიბეჭდა[21]. ამ სტატიის კრიტიკული განხილვა სრულიად საკმარისია ჩვენი მიზნისათვის.

განვიხილოთ ჯემსის არგუმენტაცია. ჯემსი ცდილობს უარყოს ცნობიერება, როგორც ობიექტურისაგან პრინციპულად განსხვავებული რამ, და დაასაბუთოს ობიექტური ფსიქოლოგია. დეკარტის შემდეგ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, არსებობს ორი სუბსტანცია — სული და სხეული, ფსიქიკური და ფიზიკური. მათ იმდენად განსხვავებული ატრიბუტები მიეწერება, რომ შეუძლებელი გახდა, ამბობს ჯემსი, ერთი საერთო სუბსტანციის დაძებნა, მონიზმის

[21] У. Джемс, Существует ли сознание, «Новые идеи в философии», 4, 1913.

მიღწევა[22]. სხეულის ატრიბუტია განფენილობა (ვრცეულობა), სულისა — ცნობიერება. აქედან გამომდინარეობს მეთოდოლოგიური განსხვავება ფიზიკასა და ფსიქოლოგიას შორის: ფიზიკური გაზომვადია, როგორც განფენილი, ფსიქიკური კი სივრცეში არაა მოცემული, რის გამოც გაზომვადიც არაა. ფიზიკურისათვის უცხოა ფსიქიკურის ატრიბუტი — ცნობიერება, ხოლო ფსიქიკური არ შეიძლება ფლობდეს განფენილობის პრედიკატს. ფსიქიკურის ასეთმა გაგებამ განსაზღვრა მთელი შემდგომი ფსიქოლოგია, რომლის ძირითად ცნებად ცნობიერება იქცა. ჯემსი მიზნად ისახავს მოხსნას ეს დუალიზმი, მაგრამ შეინარჩუნოს ფსიქოლოგიის საზღვარი, რომელიც მას ბუნებისმეტყველური შემეცნების სხვა სფეროებისაგან მიჯნავს.

ნეოკანტიანელებმა, ამბობს ჯემსი, გააკრიტიკეს და საბოლოოდ უკუაგდეს ცნობიერების ყოველგვარი ისეთი გაგება, რომელიც ამ ცნებაში იმაზე მეტს იგულისხმებს, ვიდრე შემეცნების ლოგიკური პირობაა, კერძოდ, შემოტანილი იქნა ისეთი ფორმალური ხასიათის აქტის ცნება, რომელიც ცნობიერების შინაარსის (ცდაში მოცემული შინაარსის) მხოლოდ განათებას გულისხმობს (ცნობიერობას — Bewusstheit). ცნობიერობა, ამ შეხედულების მიხედვით, ცნობიერების შინაარსებზე გავლენას მოკლებულია, ის თვითონ მოვლენებს (ცნობიერების შინაარსს) ვერ ცვლის, არადროულია, დროში არ იმყოფება და დროში მიმდინარე მოვლენათა მხოლოდ ზოწმეა.

თუ უკუვაგდებთ ნეოკანტიანელთა ასეთი ცნობიერების ცნებასაც, ცნობიერების ამ უკანასკნელ თავშესაფარს, ფიქრობს ჯემსი, მაშინ ცნობიერების ცნებისათვის ადგილი არსად არ დარჩება. მართალია, შენიშნავს ჯემსი, შესაძლებელია და სასარგებლოა ვიხმაროთ ეს ტერმინი, მაგრამ ამიერიდან მასში სულ სხვა რამ უნდა ვიგულისხმოთ, კერძოდ, მას მხოლოდ ფუნქციონალური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და არა სუბსტანციონალური.

ცნობიერება არაა სუბსტანცია, თორემ მას ცდაში უთუოდ აქვს ფუნქცია. ეს ფუნქციაა შემეცნება. მაგრამ ეს შემეცნება ხორციელდება ისე, რომ საჭირო არაა ნივთებისა და ცნობიერების დუალისტური დაპირისპირება. საჭიროა ყველაფერი დაყრდნობილი იყოს „წმინდა ცდაზე", ხოლო თუ წმინდა ცდას არ გავცდებით, ვნახავთ, რომ ასეთ ცდაში ეს დაპირისპირება მოცემული არაა და წმინდა ცდის მონაცემები სავსებით საკმარისია, რომ ავხსნათ ყველაფერი.

---

[22] ჯემსი ცდის ერთგვარ პლურალიზმს ავითარებს. მისი აზრით ასეთი პლურალიზმი სამყაროს სურათის გაყალბებას სულაც არ წარმოადგენს (Джемс, Вселенная с плюралистической точки зрения, М.,1911.), ონტოლოგიური მონიზმის ადგილს გნოსეოლოგიური მონიზმის მოთხოვნილება იკავებს, რაც მოხსნის ფსიქოფიზიკურ დუალიზმს მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში და წმინდა ცდის ერთიან ბუნებას ეფუძნება.

მათ შორის თვითონ შემეცნებაც. რომელიც, როგორც ითქვა, ცნობიერების ფუნქციაა. ეს მიიღწევა წმინდა ცდის ელემენტთა ურთიერთკავშირის ნიადაგზე. წმინდა ცდის წევრთა ერთი რიგი სუბიექტად იქცევა ანუ შემმეცნებელი ხდება. ეს წევრები წმინდა ცდის სხვა წევრთაგან არსებითად არ განსხვავდებიან, წევრთა მდგომარეობა შებრუნებადია — შემმეცნებელი სუბიექტის როლში წმინდა ცდის სხვა ელემენტები შეიძლება მოგვევლინოს, ხოლო ელემენტები, რომლებიც ახლა შემმეცნებელ სუბიექტად იყო განხილული, სხვა წევრთა ადგილას დადგეს.

ნეოკანტიანელებმა, ამბობს ჯემსი, ცნობიერებისა და ნივთის (სხეულის) ძველი დუალიზმი მოხსნეს და შემოიღეს ცდის სტრუქტურის სხვაგვარი დუალიზმი, სახელდობრ, მათი აზრით, ცდა გულისხმობს სუბიექტსა და ობიექტს, ანუ ცდის შინაარსსა და ცნობიერებას. ჯემსი მიუთითებს, რომ წმინდა ცდა არ შეიცავს ამგვარ დუალისტურ სტრუქტურას. ცდაში, რასაკვირველია, ჩვენ ვპოულობთ ცნობიერებასა და შინაარსს, მაგრამ ეს წმინდა ცდისათვის — ცდის ამ მინიმუმისათვის — როდია დამახასიათებელი, არამედ რთული ცდის კუთვნილებაა.

როგორ ხდება წმინდა ცდის ნიადაგზე, ცდის გართულების საშუალებით, შემმეცნებელისა და შემეცნებულის, ცნობიერებისა და ნივთების გამოყოფა? ცდის ერთი მონაკვეთი, თუ მას განსაზღვრულ კონტექსტში ავიღებთ, სულიერი მდგომარეობის, „ცნობიერების", შემმეცნებელის როლს ასრულებს, ხოლო, თუ სხვა კონტექსტში ავიღეთ, ცდის იგივე მონაკვეთი გვევლინება როგორც შემეცნებული ნივთი, საგანი. ცდის მონაკვეთს შეუძლია ორივე ამ კონტექსტში იყოს ერთდროულად. ცდის მონაკვეთთა ასეთი ორმაგი ბუნება მიუღებელი დუალიზმი როდია, რადგანაც ორივე მხარე სრულად და ბოლომდე აიხსნება ერთით — წმინდა ცდით, სახელდობრ, გამოიყვანება მისგან.

ჯემსი განიხილავს ცნობიერების ფაქტთა სამ ჯგუფს — აღქმას, წარმოდგენას და განყენებულ ცნებას — და მათ შესაბამის საგნებს — მატერიალურ ნივთებს და ობიექტურ აზრითს შინაარსებს. იგი ცდილობს აჩვენოს, რომ ყველა ამ შემთხვევაში წმინდა ცდის ერთი და იგივე მონაკვეთი ერთ კონტექსტში ცნობიერებას, შემეცნებას წარმოადგენს, მეორე კონტექსტში კი (იმავდროულად)—შემეცნებულ ობიექტს (რეალურ ნივთს, ერთ შემთხვევაში, და „ობიექტურ" იდეალურ საგანს. მეორე შემთხვევაში). თანაც ეს ორბუნებოვნება ისე მიიღწევა, რომ მათი შესატყვისი ცდის მონაკვეთი ორივე შემთხვევაში (ე. ი. მაშინ, როცა იგი შემეცნებად განიხილება, და მაშინაც, როცა იგი შემეცნებულ ობიექტად ხდება) აბსოლუტურად იგივეობრივი რჩება.

ოთახის აღქმა და წარმოდგენა (ცნობიერების, შემეცნების ეს ორი ფორმა) როგორც წმინდა ცდა იგივეა, რაც ნამდვილი ოთახი (შემეცნებული ობიექტი), როგორც წმინდა ცდა. ორივე შემთხვევაში ცდაში მოცემულია შეგრძნებები, თანაც ეს შეგრძნებები ერთნაირად ახასიათებს ორივეს. ვრცეულობა ორივეს ახასიათებს. არაა სწორი, თითქოს აღქმას და წარმოდგენას ვრცეულობის ატრიბუტი არ გააჩნდეს. წარმოდგენილ ოთახს ზუსტად ისეთივე ვრცეულობა ახასიათებს, როგორც ნამდვილ ოთახს. ასევე ერთი და იგივეა, როგორც წმინდა ცდის მონაკვეთი, აბსტრაქტული აზრი (ცნება) და ამ ცნებით ნაგულისხმევი ობიექტური შინაარსი, ერთი და იგივეა ესთეტიკურისა და ეთიკურის განცდები (ცნობიერება) და თვითონ ეთიკური და ესთეტიკური საგნები. მათ შეადგენს ერთი და იგივე წმინდა ცდის მონაკვეთები.

მათ შორის ერთადერთ და არსებით განსხვავებას ის ქმნის, რომ ერთი ერთ კონტექსტშია აღებული, მეორე კი — მეორეში. ასეთ კონტექსტებს ორივე შემთხვევაში შეადგენს წმინდა ცდის მონაკვეთთა რიგები, რომლებიც შედგენილობით ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან.

მიუხედავად ამისა, ცნობიერება (შემეცნება) არსებითად განსხვავდება გაცნობიერებული (შემეცნებული) ობიექტისაგან. საქმე იმაშია, რომ წმინდა ცდის ერთი და იგივე მონაკვეთი, იმის მიხედვით, თუ სხვა ცდის მონაკვეთთა რომელ რ ი გ შ ი მოხვდება, სხვადასხვაგვარ კ ა ვ შ ი რ ე ბ ს გვიჩვენებს და, ამ აზრით, განსხვავებულია და შეუთავსებადი მეორე რიგში მოხვედრილი ცდის ასეთივე მონაკვეთის მიმართ. ცდის მონაკვეთს, რომელიც რეალურ ოთახს ნიშნავს, 30 წლის განმავლობაში ეკავა განსაზღვრული ადგილი სივრცეში, ხოლო იმავე ცდის მონაკვეთს, რომელიც ოთახის ჩემი ცნობიერების ველს ნიშნავს, აქამდე შეიძლება არსებობაც არ ჰქონდა (რადგანაც დღემდე შეიძლება მე ეს ოთახი არც აღმექვას). პირველის გასაქრობად მრავალი ადამიანის შრომა იქნებოდა საჭირო, მაშინ, როცა მეორის გასაქრობად საკმარისია თვალები დავხუჭოთ, ან სხვა საგანს მივაპყროთ მზერა. პირველის დასაქირავებლად ფულია საჭირო, მეორე კი უფასოდ მოგეცემა, როცა კი ამას ინებებთ და ა. შ. ასეთია მათ შორის განსხვავება, მაგრამ ეს განსხვავება თვითონ ცდის მონაკვეთებს კი არ ეხება (ცდის მონაკვეთი, როგორც ითქვა, რეალური ნივთისათვისაც იგივეა, რაც წარმოდგენისა თუ აღქმისათვის), არამედ იმას, რომ ისინი განხილულია ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ც დ ი ს მ ო ნ ა კ ვ ე თ ე ბ თ ა ნ კ ა ვ შ ი რ შ ი. შემეცნებული საგნის შემთხვევაში ეს მოცემული ცდა უკავშირდება ს ა გ ნ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ს (მაგალითად, ოთახი როგორც შემეცნებული საგანი ნიშნავს იმას, რომ ეს მოცემული ცდა უკავ-

შირდება იმ ცდებს. რომლებიც ოთახს წინ უსწრებდა (პაგალითად. დურგლის მუშაობას და მისთ), და შემდეგ მოსდევს ამ ცდებს. ცნობიერების ანუ შემეცნების შემთხვევაში კი სწორედ იგივე მოცემული ცდა უკავშირდება ჩ ვ ე ნ ს ბ ი ო გ რ ა ფ ი ა ს — ჩვენი შეგრძნებების, მოქმედებების, კლასიფიკაციათა, მოლოდინთა რიგს).

დუალიზმი, მაგრამ ჯემსის აზრით, გასაგები და მოსათმენი. აქ მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ერთსა და იმავე დროს დაშვებულია ორი რიგის მოვლენათა მდინარება (ჩვენი ბიოგრაფია და შემეცნებული საგნის ისტორია) და ამ რიგთა გადაკვეთის ადგილზე იმყოფება ერთი წმინდა ცდა. მაგრამ ეს ისევე შესაძლებელია. როგორც ის, რომ ერთი და იგივე წერტილი ერთდროულად ორ ხაზზე მდებარეობდეს მათი ურთიერთგადაკვეთის ადგილზე. ეს დუალიზმი, ამბობს ჯემსი, გასაგები იმის გამოა, რომ ორივე რიგის მოვლენები (ცდათა რიგი) ერთი და იმავე ბუნების მქონე წმინდა ცდის მონაკვეთებისაგან შედგებიან.

ცნობიერების ადგილას დაყენებულია სხვა ცნება — ერთი რომელიმე პირის შინაგანი ცხოვრების ისტორია. შემეცნებული ობიექტების რიგი კი, ამისაგან განსხვავებით, ნიშნავს „უპიროვნო", „ობიექტურ" სამყაროს, რომელიც ორ სახედ განიყოფება: ვრცეულ-დროითად (რეალური საგნები, ნივთები) და მხოლოდ ლოგიკურებად თუ მათემატიკურებად, ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, „იდეალურად".

თვითონ წმინდა ცდის ცნება ერთიანია. მან არ იცის შემეცნებისა და შემეცნებულის (სულიერი მდგომარეობისა და შინაარსების; ან: წარმოდგენისა და წარმოსადგენის) დაპირისპირება, არ იცის სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურობა და ობიექტურობა ცდის ატრიბუტები კი არ არიან თავისთავად, ისინი მისი მხოლოდ ფუნქციონ ა ლ უ რ ი ა ტ რ ი ბ უ ტ ე ბ ი ა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად წმინდა ცდას მხოლოდ მაშინ ენიჭება ეს ატრიბუტები, როდესაც ჩვენ მას, რომელიც მუდამ აწმყოსეულია, რეტროსპექტულად განვიხილავთ და სხვადასხვა კონტექსტში მოვათავსებთ.

ამრიგად, დაასკვნის ჯემსი, ტერმინი ცნობიერობა (Bewusstheit) სულაც არაა საჭირო: ჩვენი ცდის ის თავისებურება, რომ იგი ა რ ა მ ა რ ტ ო ა რ ს ე ბ ო ბ ს, ა რ ა მ ე დ შ ე ი მ ე ც ნ ე ბ ა, სულაც არ საჭიროებს იმის დაშვებას, რომ მას ახასიათებს ც ნ ო ბ ი ე რ ო ბ ა. ცდის ეს ორბუნებიანობა უნდა გავიგოთ არა ცნობიერობით, არამედ იმით, რომ ცდის მონაკვეთები (მოვლენები) სხვადასხვაგვარ ურთიერთკავშირში განიხილებიან და სწორედ ამის გამოა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სუბიექტი და ობიექტი, შემეცნება და შემეცნებული.

არ არსებობს სული, ცნობიერება, ელემენტალური ფორმალუ-

რი აქტიც ცნობიერობისა, ასეთ შედეგამდე მიყავს ჯემსი თავის წინა მსჯელობებს. მაგრამ ჯემსი არ უარყოფს ჩვენი შინაგანი სამყაროს არსებობას. უდავოდ არსებობს ჩვენი კონკრეტული აზრები, კონკრეტული აღქმები და ა. შ.

ასეთია ჯემსის შეხედულება ცნობიერების შესახებ. შემეცნება, სუბიექტური, ფსიქიკური წარმოადგენს ინდივიდის, პიროვნების ისტორიას, ცდის მონაკვეთის ამ ისტორიის რიგში დაყენებას. შემეცნებული, ობიექტური, არაფსიქიკური კი საგნის ისტორიაა, ცდის მონაკვეთის ამ ისტორიაში ჩართვით მიიღება. ამის შესაბამისად, ფსიქოლოგია უნდა დაეყრდნოს არა ცნობიერების, არამედ წმინდა ცდის ცნებას, სადაც ცნობიერება და მისი შინაარსი ერთმანეთისაგან განსხვავებული არაა. რადგანაც ბუნებისმეტყველებაც ამავე წმინდა ცდის ცნებას ეფუძნება, ფსიქოლოგიასა და ბუნებისმეტყველებას შორის ცნობიერების ცნებით გავლებული საზღვარი იშლება და ამ მხრივ ფსიქოლოგიაც ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა რიგში დგება.

მაგრამ, რაკი ფსიქიკურსა და ფიზიკურს (მაშასადამე, ფიზიოლოგიურსაც) შორის ეს საზღვარი გაუქმდა, ეს გაუგებრობის სათავედ არ უნდა იქცეს. ჯემსის აზრი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის გაიგივებას მოითხოვდეს. ჯემსი, მართალია მოითხოვს ფსიქიკურის შემეცნებისათვის ფიზიოლოგიური მხარის გამოკვლევასაც (რაც, გარკვეული აზრით, სავსებით სწორი შეხედულებაა), მაგრამ იგი ერთმანეთისაგან არსებითად განასხვავებს ფიზიოლოგიურს და ფსიქიკურს. მის თეორიაში ფიზიოლოგიური ობიექტთა რიგს განეკუთვნება, ჩვენი სხეულის აღქმის (როგორც წმინდა ცდის მონაკვეთის) ისეთ რიგში მოთავსების შედეგია, რომელიც ობიექტთა ისტორიას ქმნის. ფსიქიკური კი ამავე ცდის მონაკვეთის დაკავშირებაა არა საგნის, არამედ ჩვენი პიროვნების ისტორიასთან. მე შემიძლია არა მარტო ჩემი თავი, არამედ სხვაც როგორც ცდის მონაკვეთი განვიხილო ცდათა ორი განსხვავებული რიგის წევრად — როგორც ფსიქიკური და როგორც ფიზიკური (ფიზიოლოგიური). ფიზიოლოგიური როგორც ობიექტის ისტორია შეუთავსებელია ცდის მონაკვეთთა იმ კავშირთან, რომელიც ფსიქიკურს ქმნის.

ჯემსის ამოცანა იყო მოეხსნა ფსიქოფიზიკური დუალიზმი როგორც ფსიქოლოგიის საზღვრების დამდგენი და ეს მან სცადა ცნობიერების ცნების განდევნის გზით. მაგრამ მის წინაშე იდგა მეორე ამოცანაც— დაეფუძნებინა ფსიქოლოგია, განესხვავებინა იგი სხვა ბუნებისმეტყველური მეცნიერებებისაგან „მისაღები დუალიზმის“ ნიადაგზე. შეძლო თუ ვერა ჯემსმა ფსიქოლოგიის დაფუძნება, მისი საზღვრების გამოყოფა, მისი სპეციფიკის განსაზღვრა ახალი პრინციპის შესაბამისად, წმინდა ცდაზე დაყრდნობით?

თუ ჩვენ ფსიქიკურის სპეციფიკას წინასწარვე დავუკავშირებთ ცნობიერებას და ვიტყვით, რომ ჯემსი ამ სპეციფიკას ვერ გეიჩვენებს, ეს დასაბუთების ცნობილი ელემენტარული შეცდომა იქნებოდა — საფუძვლად არ შეიძლება გამოვიყენოთ მსჯელობა, რომლის უარყოფასაც ჯემსის თეზისი შეეხება. საჭიროა თვითონ ჯემსის დასაბუთება განვიხილოთ და ვაჩვენოთ საბუთდება მისი თეზისი თუ ვერა, მიიღწევა თუ არა ფსიქოლოგიის დაფუძნება, მისი საზღვრების დადგენა ფსიქოფიზიკური დაპირისპირების მოხსნის შემდეგ წმინდა ცდაში და ცდის მონაკვეთთა განსხვავებული კავშირების მეშვეობით.

დავსვათ კითხვა, როგორ იქცევა წმინდა ცდის ერთი და იგივე მონაკვეთი ფსიქიკურად (შინაგანი სამყაროს კუთვნილებად, აღქმად, წარმოდგენად, ცნებად) და ობიექტად (შემეცნებულ საგნად), არის თუ არა დასახელებული ისეთი პირობები, რომლებიც ამ განსხვავებას უზრუნველყოფდნენ.

ცდის მონაკვეთი რომ შინაგანი სამყაროს კუთვნილებად იქცეს, ამისათვის ჯემსი მიმართავს სუბიექტის, ინდივიდის, მე-ს, პიროვნების ტერმინებს (ცდის მონაკვეთი ფსიქიკურად იქცევა ჩ ე მ ს ბიოგრაფიასთან კავშირში). თუ ჯემსი პიროვნების ცნებაში ახალს არაფერს იგულისხმებდა, ან წმინდა ცდის მონაცემს გარდა სხვას არაფერს დაეყრდნობოდა, მაშინ მისი თეორია გამოუვალ სიძნელეებს წააწყდება. მე, პიროვნება, ჯემსის თეორიის მიხედვით, წმინდა ცდის იმავე მასალიდანაა აგებული, რომელიც ყველა დანარჩენს წარმოქმნის. ამიტომ პიროვნების ცნება სუბიექტურისა და ობიექტურის განსხვავებას თვითონ ეყრდნობა და ამ განსხვავების საფუძვლად უვარგისია. მართლაც, ცდას ფსიქიკურად აქცევს მისი დაკავშირება ჩემს ბიოგრაფიასთან, ობიექტად კი სხვა ცდის მონაკვეთებთან გაერთიანება, მაგრამ მე თვითონ ან სუბიექტად უნდა ვიქნე გაგებული, ან ობიექტად სწორედ ამავე მნიშვნელობით. ორივე შემთხვევაში სრული გაუგებრობა იქმნება. თუ მე თვითონ განმიხილავენ საგანთა ისტორიის რიგში, მეც სწორედ ასეთ ობიექტად ვიქცევი და გაუგებარია. თუ რატომაა, რომ ასეთი ჩვეულებრივი ობიექტი, როგორიც ახლა მე ვარ, სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით სხვებთან შეუთავსებად ისტორიას ქმნის. თუ, პირიქით, მე განმიხილავენ როგორც სუბიექტს, მაშინ ჩემი ისტორია შეუთავსებადი იქნება ობიექტების ისტორიასთან, მაგრამ გაუგებარი იქნება, რატომ ვერ ქმნიან ერთმანეთთან ასეთ შეუთავსებად ისტორიებს სხვა ობიექტები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამრიგად, ასეთ საფუძველზე სრულიად შეუძლებელია ფსიქიკურისა და ობიექტურის განსხვავების დამყარება.

ამ სიძნელიდან ერთადერთი გამოსავალი ისაა, და ჯემსის შეხე-

დულებასაც ეს ეთანხმება, რომ ჩემშივე დავუშვა ცდის მონაკვეთთა ორი განსხვავებული რიგის პირველადი მოცემულობა. მაგრამ როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ჯემსის თეორია აქაც გამოუვალი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება, რადგანაც იძულებული იქნება თავიდანვე დაუშვას შემმეცნებელი მე-ს არსებობა და სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირებაც. განვიხილოთ ეს გაგება. მოცემული გვაქვს ცდის მონაკვეთთა სუბიექტური კავშირი. მეძლევა ხან ერთი ცდის მონაკვეთი, ხან მეორე. ობიექტის ისტორიის თვალსაზრისით ეს მონაკვეთები ფრაგმენტარულია, ერთმანეთთან დაკავშირებული არაა, მათი მდინარება, კავშირი დამოკიდებულია ჩემს სხეულებრივ მდგომარეობაზე (ოთახის აღქმას ცვლის ხის აღქმა. რადგანაც თავისა და თვალების მოძრაობის გამო ჩემი მზერა ახლა აქეთკენ მიეპყრო). ცდის მონაკვეთთა ასეთი თანმიმდევრობა ქმნის ფსიქიკურ მოვლენათა რიგს (ესაა ჩემს სხეულებრივ მდგომარეობაზე დამოკიდებული აღქმები, წარმოდგენები, აზრები). ობიექტის შესახებ ცოდნა კი სხვაგვარად აიგება, ცდის მონაკვეთთა სხვაგვარ მდინარებას ნიშნავს: ჩემი ისტორიიდან აღებული ცდის მონაკვეთი (მაგალითად, ოთახის აღქმა) აქ ჩემი სხეულებრივი მდგომარეობით გამოწვეულ აღქმას კი არ უნდა დაუკავშირდეს, არამედ წარსული (თუ მომავალი) ჩვენი (თუ სხვისი) ცდების რიგიდან შეირჩევა ისეთი ცდა, რომელიც მოცემულ ცდას წინ უსწრებდა (ან შედეგად მოჰყვება). ჩვენს მაგალითში ოთახის აღქმას თუ გარეთ მდგომი ხის აღქმა მოსდევს, ეს ფსიქიკური რიგია, მაგრამ თუ მოვძებნეთ ცდა, რომელიც წინ უსწრებდა ამ ცდას ობიექტის თვალსაზრისით, მაგალითად, დურგლის მუშაობა, ეს უკვე ობიექტის ისტორია იქნება. თითქოს ობიექტისა და სუბიექტის განსხვავება საკმარისადაა დაფუძნებული. მაგრამ ვიკითხოთ, რატომ, რა საფუძველზე არ დაგვაკმაყოფილა ცდის მონაკვეთთა ბუნებრივი სუბიექტური მდინარების წყობამ და დავუწყოთ ძებნა ობიექტის ისტორიას. ჯემსის თეორიის პასუხი ერთადერთი შეიძლება იყოს — ჩვენ გვაინტერესებს რას უნდა ველოდოთ თვითონ ცდის მონაკვეთთაგან მომავალ ცდაში, რაც დამოკიდებული არ იქნება ცდის მონაკვეთთა ურთიერთმიმდევრობის სუბიექტურ რიგზე. მაგრამ ეს უკვე იმის აღიარებაა, რომ ობიექტური და სუბიექტური ცდის მონაკვეთთა კავშირის გარეშე ყოფილა დაშვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ შემმეცნებელისა და შესაცნობელის დაპირისპირება ცდის მონაკვეთთა კავშირებით ვერ გაიგება, რაც ეწინააღმდეგება ჯემსის თეზისს.

როგორც ვხედავთ, ჯემსის თეორია, რომელიც ერთიან წმინდა ცდაზე და მათს განსხვავებულ კავშირებზე აფუძნებს ფსიქიკურისა და ობიექტურის, შემეცნებისა და შემეცნებულის განსხვავებას, შინა-

გან წინააღმდეგობაში ვარდება. ჯემსის მიზანი, ისეთი ცდიდან ამოსვლით დაეფუძნებინა ფსიქიკურის შემეცნება, რომელიც ცნობიერებისა და მისი შინაარსის განსხვავებას არ შეიცავს, მიუღწეველი დარჩა. შემეცნების აგების ყოველი მსგავსი ანალიტიკური, ატომისტური ცდა თავიდანვე უძლურია შემეცნებისა და შესამეცნებლის, ფსიქიკურისა და ფიზიკურის განსხვავების დაფუძნებისათვის. თუ ამ ცდის იგნორირებას მოვახდენთ, სადაც ეს გასხვავებაა მოცემული, და რაიმე სხვა ელემენტარული ცდის საშუალებით ვეცდებით ამ განსხვავების წვდომას, აუცილებლად მარცხს განვიცდით. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მსგავსი იყო ლოგიკური პოზიტივიზმის ატომისტური შემეცნების თეორიის სწრაფვა დაეფუძნებია ფსიქოლოგიის მეცნიერების შესაძლებლობა.

პრაგმატიზმი წარმოდგენილია, უმთავრესად, ჯემსის, შილერის და დიუის თეორიებში. შილერის ე. წ. ჰუმანიზმის შესახებ თვითონ ჯემსი ამბობს, რომ იგი მისი მოძღვრებისაგან ძირითადად გადმოცემის მანერით განსხვავდება[23]. დიუის შეხედულება კი ზოგიერთ არსებით განსხვავებას შეიცავს[24]. ჩვენთვის საინტერესოა დიუის შემეცნების თეორიის ის მომენტი, რომელსაც ბიჰევიორიზმი ემყარება.

ჯ. დიუიმ პრაგმატიზმში სპეციალურად დაამუშავა შემეცნების ინსტრუმენტალისტური ასპექტი მეცნიერების ექსპერიმენტული კვლევის ფაქტზე დაყრდნობით, გაავრცელა თავისი თეორია ფსიქოლოგიაზე და ამით გარკვეულად დასაბამი მისცა ბიჰევიორიზმს.

დიუი, ჯემსის მსგავსად, უარყოფს ცდის დუალისტურ გაგებას. ცდაში არაა დაპირისპირებული შემმეცნებელი და შესამეცნებელი, ცნობიერება და მატერია, ფსიქიკური და ფიზიკური. ცდა ერთნაირად შეიცავს ამ მხარეებს. ეს უზრუნველყოფს მეცნიერებათა ერთიანობას, ფსიქოლოგიისა და ფიზიკის დუალისტური დაპირისპირების მოხსნას. ცდაზე დაყრდნობით დიუის შემოაქვს შემეცნების ინსტრუმენტალისტური პრინციპი, რომელიც, მისი აზრით, გასაგებს ხდის ცდაში ამ დაპირისპირების მოხსნას და ფსიქიკურისა და ფიზიკურის ერთიანობას.

დიუი ჯემსის მსგავსადვე ფიქრობს, რომ ცდა არის უბრალო მოცემულობა, რომელიც შეუძლებელია ობიექტური არსებობის თუ არარსებობის თვალსაზრისით განვიხილოთ. ცდა არაა შემეცნებაც. ეს უკანასკნელი ემყარება ცდას, მაგრამ გარკვეული ოპერაციის შემდეგ

---

[23] იხ. ჯემსის სტატია წიგნში M. Эбер, Прагматизм, СПб, 1911, стр. 129.
[24] Т. И. Хилл, Современные теории познания, М., 1965, стр. 304.

იწყება. შემეცნების სტრუქტურა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: ამოსავალია შემეცნების პრაგმატისტული გაგება, შემეცნება ემსახურება არასასურველი სიტუაციის გარდაქმნას სასურველად. სიტუაციაში იგულისხმება ორი მომენტის — ორგანიზმისა და გარემოს ერთიანობა. თუ ეს ერთიანობა ისეთია, რომ არასასურველია ორგანიზმისათვის, ე. ი. თუ ორგანიზმი წინააღმდეგობას აწყდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოიშვება ცნობიერება და, საერთოდ, შემეცნებითი აქტივობა. ამ აქტივობის მიზანია სიტუაციის გარდაქმნა სასურველ, დამაკმაყოფილებელ სიტუაციად. შემეცნება არის სწორედ ეს გარდაქმნა, იგი ინსტრუმენტია, რომელიც სასარგებლო შედეგამდე მიგვიყვანს. შემეცნებას საფუძვლად ცდისა და შეცდომის მეთოდი უძევს. აზროვნება, მისი ყველა ფორმა, გაგებულია როგორც ასეთი ინსტრუმენტი. ცნების, მსჯელობის, დასკვნის, დასაბუთების გაგება მხოლოდ მათი ფუნქციის მიხედვით შეიძლება, ეს ფუნქცია კი სასურველი სიტუაციის მიღწევაა. მსჯელობის, იდეის ჭეშმარიტების კრიტერიუმიც, ცხადია, მის მოქმედებაშია, რომელსაც ამ სასურველ შედეგამდე მივყავართ. უარყოფილია ცნების ემპირისტული თეორია, რომელიც ობიექტებზე დაკვირვებით და აქედან მსგავსი და არამსგავისი ნიშნების განცალკევებით ცდილობს ცნების მიღებას. მაგრამ ამის ადგილს იკავებს სხვა ემპირისტული ხასიათის თეორია — ინსტრუმენტალიზმი: „ცნებები ზოგადი არიან მათი გამოყენებისა და მოხმარების გამო და არა მათი შემადგენელი ნაწილების გამო“[25]. აზროვნება კონკრეტულია, რამდენადაც კონკრეტული სიტუაციის კონკრეტულ გარდაქმნაშია მისი ფუნქცია და აზრი. აბსტრაქტული აზროვნება გაგებულია როგორც მოქმედება, რომლის აზრს განსაზღვრავს საბოლოო კონკრეტული აზროვნების აქტი, რომლის საშუალებასაც იგი წარმოადგენს.

შემეცნების ასეთი ვოლუნტარისტური, ანთროპოცენტრისტული გაგება ცნობიერებასაც ანთროპოცენტრისტულად განსაზღვრავს: ცნობიერება არის ერთერთი რიგითი მონაწილე ბევრი სასარგებლო შედეგის მიღწევის (შემეცნების) აქტში. სიტუაციიდან როგორც გარემოსა და ორგანიზმის ერთიანობიდან გამოყოფილი ორგანიზმი, რომელიც ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ცხადდება, სტიმულ-რეაქციის მოდელითაა აგებული. ცნობიერება ერთერთი ასეთი რეაქციაა ორგანიზმისა. როგორც ვხედავთ, დიუის ინსტრუმენტალისტური შემეცნების თეორია ბიჰევიორიზმს აფუძნებს.

ეს უკანასკნელი მსჯელობა დაზუსტებას მოითხოვს. არც ჯეიმსის, არც დიუის პრაგმატისტული შემეცნების თეორია არაა ბიჰევიორიზ-

---

[25] Дж. Дьюи, Психология и педагогика мышления. Берлин, 1922, стр. 114.

მი. ეს თეორიები საწყისს აძლევენ ბიჰევიორიზმის ძველად გარკვეულ მხარეებს. ბიჰევიორიზმი პრაგმატისტული ფილოსოფიიდან იღებს ქცევას, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის ბიოლოგისტურ ცნებას. ქცევის ობიექტური დაკვირვებადი მხარის შემეცნების უნივერსალიზაციაც აქედან მომდინარეობს, შედეგად ვდაწყვეტ როლსაც პრაგმატისტული ფილოსოფია აფუძნებს. ამ აზრით, ბიჰევიორიზმი პირდაპირ გამომდინარეობს პრაგმატიზმიდან. პრაგმატიზმში ცნობიერების გარკვეული რედუქციაც ხდება, მისი პრაქტიკული სარგებლიანობის ფუნქციით შემოფარგვლის გამო და ამ მხრივაც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია გარკვეულად პრაგმატიზმისაგან იღებს სათავეს, მაგრამ პრაგმატიზმიდან აუცილებლობით არ გამომდინარეობს ბიჰევიორიზმისათვის დამახასიათებელი სრული ეპიფენომენალიზმი. დიუის და ჯემსის ფსიქოლოგიური თეორიები არ იცავენ სრულ ეპიფენომენალიზმს და ეს სავსებით ეთანხმება მათს შემეცნების თეორიებს. ჯემსის უშუალო ცდაც და დიუის შემეცნების აქტიც, მართალია, უარყოფენ ცნობიერების და ფიზიკურის დაპირისპირებას, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ერთნაირად ართმევენ დამოუკიდებლობას როგორც ცნობიერს, ისე ფიზიკურს. ნამდვილ ბიჰევიორიზმამდე მისვლისათვის დამატებით მოითხოვება ცნობიერების რედუქციის აქტის ბოლომდე მიყვანა. ცხადია, პრაგმატიზმი ნიადაგს უქმნის ასეთ ეპიფენომენალიზმს, მით უფრო, რომ ქცევის ობიექტური დაკვირვებადობის თეზისს იცავს.

პრაგმატიზმის ცდას, ცდიდან გაუსვლელად მიეღწია მონისტური შემეცნების თეორიისათვის, როგორც ცნობილია. წარმატება არა ჰქონია. შემეცნების შესაძლებლობა დაუსაბუთებელი დარჩა. დიუი უტრირებას ახდენს ქცევის ცნებით და უკანონოდ ცდაჰყავს მთელი შემეცნება სარგებლობიანობის მომტან აქტამდე.

ეს აშკარა ანთროპოცენტრიზმია. უფრო მეტიც, იგი ბიოცენტრიზმად უნდა იქნეს შეფასებული, რადგანაც ადამიანი და მისი ქცევა გაგებულია ბიოლოგიური პრინციპით — სარგებლიანობით და მასზე დაფუძნებული სტიმული-რეაქციის მოდელით. ასეთი ბიოცენტრიზმი, როგორც საერთოდ ყოველგვარი რელატივიზმი, ვერ უზრუნველყოფს შემეცნების დაფუძნებას. სწორედ ამ ბიოცენტრისტული დაუსაბუთებელი გნოსეოლოგიური თეზისიდან გამომდინარეობს ფსიქიკის ბიჰევიორისტული გაგება. ბიჰევიორიზმის პრაგმატისტული დასაბუთება მიზანს ვერ აღწევს. პრაგმატიზმი არამარტო ბიჰევიორიზმს ვერ ასაბუთებს, არამედ ვერ ასაბუთებს საერთოდ შემეცნების შესაძლებლობასაც ე. ი. საერთოდ მეცნიერებას ქცევის შესახებაც.

* * *

მოკლედ ბიჰევიორიზმის დასაბუთების შესახებ. ნეორეალიზმში: ნეორიალიზმი არსებითად განსხვავდება პრაგმატიზმისაგან და მისი განხილვა პრაგმატისტული შემეცნების თეორიის შემდეგ მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ მათ აერთიანებს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პუნქტი — გნოსეოლოგიური მონიზმი ცდაში სუბიექტურისა და ობიექტურის განსხვავების წაშლის გზით.

ბიჰევიორიზმის ფილოსოფიურ დასაბუთებას ცდილობდა ნეორეალიზმის ამერიკული შტო, რომელიც პანობიექტივისტურ ოვალსაზრისს იცავდა და ფსიქიკურსაც ობიექტურის პუნქტისად წარმოიდგენდა. ნეორეალიზმის ეს სახეობა პოპულარული იყო ბიჰევიორიზმის წარმოშობის პერიოდში. მისი წარმომადგენლები (პერი, ჰოლტი და სხვა) უშუალო მონაწილეობას. იღებედნენ ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის აგებაში. მართალია ნეორეალიზმი ერთგვარ მნიშვნელობას აძლევდა ცნობიერებასა და ინტროსპექციას შემეცნების თეორიაში, მაგრამ ამტკიცებდა ცნობიერების ისეთ განსხვავებულ შინაარსთა იგივეობას, როგორიცაა ცნობიერი ფსიქიკური და არაცნობიერი ობიექტური. ფსიქიკური ობიექტურის ნიშნით იყო დახასიათებული, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ ფსიქოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს ობიექტური ფიზიკური და ფიზიოლოგიური პროცესები.

პერი ჯემსის წმინდა ცდის ანალიზის ანალოგიური გზით მიდის და ცდილობს მონისტური შემეცნების თეორია დააფუძნოს, სადაც მოიხსნება ობიექტისა და შემმეცნებლის დუალისტური დაპირისპირება, ცდის ელემენტები ამ მხრივ ნეიტრალური ბუნებისაა. იგი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ობიექტი უშუალოდ იწვდომება და იგი სრულიად დამოუკიდებელია ცნობიერებაზე. თვითონ ცნობიერება და თვითდაკვირვება, მართალია, ფაქტია მაგრამ ცნობიერებაც უნდა განხილულ იქნეს როგორც ობიექტური ბუნების მქონე რეაქციები, როგორც ცოცხალი არსების ობიექტური სხეულებრივი მოქმედება[26]. პერის ეკუთვნის ფსიქოლოგიის კატეგორიების კვლევა, სადაც იგი ცდილობს ცნობიერი ფსიქიკური აზრის მქონე მოვლენებს ჩამოაცილოს ცნობიერების ნიშანი და აჩვენოს მათი წმინდა სხეულებრივ-ობიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ასეთი იყო მიზნობრივი ქცევის კატეგორიის გამოკვლევა,[27] რომელიც შემდეგ ათვისებული იქნა ტოლმენის ბიჰევიორისტულ თეორიაში.

---

[26] R. B. Perry, Present philosophical Tendencies, NY. 1912

[27] R. B. Perry, Docility and Purposiveness, Psychological Rev., 1918, 25.

ჰოლტიც, პერის მსგავსად, ჯემსის მიერ 1904 წ. ფორმულირებული თეორიის გავლენას განიცდის. ჯემსი უარყოფდა ცნობიერებას როგორც წმინდა ცდის დამოუკიდებელ ელემენტს და ცნობიერებასა და ობიექტურ მოვლენებს შორის განსხვავებას მხოლოდ ერთვარაოვანი ცდის. ელემენტთა განსხვავებულ კავშირებში ხედავდა. მსგავსი თეორიულ კონსტრუქციას მიმართავს ჰოლტიც. ამ გზით ივი ცდილობს დააფუძნოს ობიექტური საგნისა და მისი შემეცნების ერთიანობა და დაიყვანოს ცნობიერება ობიექტურამდე. ყოფიერება, ფიქრობს ჰოლტი, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური ბუნების ელემენტებისაგან შედგება. ობიექტური და მისი ცნობიერება იგივეობრივია. შემეცნება წარმოადგენს რეალურ ობიექტურ პროცესს — ნერვულ პროცესს, რეაქციას, რომლის სპეციფიკასაც შეადგენს თავისებური სელექციური ხასიათი. ეს ნერვული პროცესი შერჩევითად სხვადასხვაგვარად გადაკვეთს ყოფიერებას, რის შედეგიცაა განსხვავებული ცნობიერება.

ცნობიერება, ამგვარად, დაიყვანება ცოცხალი ორგანიზმის რეაქციებზე, რომელნიც ობიექტური ხასიათისანი არიან და ლაბარჩენ ობიექტურთაგან განსხვავდებიან მხოლოდ სპეციფიკური შერჩევითობით. ცნობიერება არის ობიექტთა სტრუქტურა და მეტი არაფერი[28].

ბიჰევიორიზმის პანობიექტივისტურმა ნეორეალისტურმა დასაბუთებამ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული გავლენა ვერ მოიპოვა. ეს გამოწვეული იყო ამ თეორიების აშკარა უძლურებით, გასაგები გაეხადათ ცნობიერების ფსიქიკური ფაქტების უდავო თავისებურება. ასეთი პანობიექტივიზმი მხოლოდ უბრალო უარყოფა იყო ცნობიერების სპეციფიკური მოვლენებისა[29].

თავი მეოთხე

ბიჰევიორიზმის დასაბუთება ლოგიკურ პოზიტივიზმში

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის პრინციპული დებულებების ფილოსოფიური დაფუძნების ცნობილი ცდა ეკუთვნის ნეოპოზიტივისტური ფილოსოფიის იმ მიმართულებას, რომელიც ლოგიკური პოზიტივიზმის სახელითაა ცნობილი. ლოგიკური პოზიტივიზმის შიგნით არსებულ აზრთა მთელი სახესხვაობის გათვალისწინება ჩვენს ამბავს არ შეადგენს. წინამდებარე ნაშრომში განხილული პრობლემისა

---

[28] E. Holt, The Concept of Consciousness, Lond., 1914.

[29] Т. И. Хилл, Соврем. теории познания, стр. 134.

რსებითი მნიშვნელობა აქვს ლოგიკური პოზიტივიზმის ორი ფუძემდებლის — მ. შლიკისა და რ. კარნაპის შეხედულებათა განხილვას. ეს შეხედულებები არსებით ცვლილებებს განიცდიდა სხვადასხვა დროს. აქედან ჩვენ გვაინტერესებს ერთი მონაკვეთი — 30-იან წლებში განვითარებული ბიჰევიორისტული და ფიზიკალისტური თეორია. შლიკისა და კარნაპის ეს შეხედულებები გარკვეულ პუნქტამდე ერთიანი თეორიის სახითაა წარმოდგენილი, რის გამოც აქაც ერთად იქნება განხილული, განსხვავება კი, რომელსაც პროტოკოლის წინადადების გაგებაში ვპოულობთ, ცალკე იქნება გათვალისწინებული.

ლოგიკური პოზიტივიზმის თეორია ენის ლოგიკურ ანალიზს ემყარება და არსებით მომენტებში განსხვავდება სხვა პოზიტივისტური შემეცნების თეორიებისაგან. შლიკი და კარნაპი გარკვეული პოზიტივისტური პოზიციებიდან ილაშქრებენ მეტაფიზიკის წინააღმდეგ. მეტაფიზიკა ცდილობს გასცდეს ცდის ფარგლებს, შემეცნებაში შემოიტანოს ცდამდე ან ცდის შემდეგ მოცემული ელემენტი. ლოგიკური პოზიტივიზმის აზრით, აზრსმოკლებულია ყველაფერი, რისი ემპირიული ვერიფიცირებაც შეუძლებელია. წინადადება უაზროა, თუ არ შეიძლება მისი შემოწმება, მისი დაყვანა საწყის ემპირიულ წინადადებებამდე. მეტაფიზიკის წინადადებები ასეთი ხასიათისაა, ამიტომ ისინი უაზრონი არიან[30].

ჩვეულებრივი ენა, რომელსაც კარნაპი შინაარსობლივ (მატერიალურ) ენას უწოდებს, ლაპარაკობს საგნების და საქმის ვითარებების შესახებ და ამ დროს ნაკლებად ითვალისწინებს სიტყვებისა და მათგან აგებული წინადადებების ნამდვილ აზრს, რადგანაც ამისათვის არ მიმართავს მოხმარებული წინადადებების შემოწმებას პირველადს ემპირიულ წინადადებებამდე მათი დაყვანის გზით. ამის გამო ენის შინაარსობლივი მოდუსი საესეა უაზრო მეტაფიზიკური ტერმინებით და წინადადებებით. ასეთი უაზრობისაგან დაგვაზღვევს ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ენა, რომელიც მხოლოდ აზრიან (ემპირიულად შემოწმებულ) სიტყვებსა და წინადადებებს შეიცავს და განდევნის ყველა დანარჩენს[31].

მთელი შემეცნება წინადადების ფორმის და ემპირიული შინაარსის დადგენით ამოიწურება. არსებობს ერთადერთი მეცნიერება. რომელიც პირობითად შეიძლება ორად გავყოთ — რეალურ და ფორმალურ მეცნიერებებად. ერთიანი მეცნიერება დაადგენს წინადადება-

---

[30] R. C a r n a p, Überwindung der Metaphysik durch logische Analyse der Sprache, Erkenntnis. B. 2., H 4., 1931, S. 237.

[31] R. C a r n a p, Die physikalische Sprache als Universalsprache der Wissenschaft, Erkenntnis, 1931, B. 2., S. 435-436.

თა ემპირიულ შინაარსს და ამავე დროს ნათელყოფს მეცნიერული წინადადების ფორმას. შრომის განაწილების გამო პირველს სპეციალური მეცნიერებები აკეთებენ, მეორეს კი — ფორმალური მეცნიერებები (ფილოსოფია, ლოგიკა, მათემატიკა)[32].

ემპირისტულ პრინციპზე დაყრდნობით კარნაპი მოხსნის მეცნიერების ამგვარ დაყოფას ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებად. ფორმალური მეცნიერებები შინაარსზე მითითების გარეშე ნათელყოფენ რეალური მეცნიერებების მიერ დადგენილ წინადადებათა მხოლოდ ფორმას. ისინი (ენის ლოგიკური ანალიზი, გამოყენებითი ლოგიკა, მათემატიკა) არაფერს გამოთქვამენ რაიმე საქმის ვითარების (Sachverhalt) არსებობის თუ არარსებობის შესახებ. იძლევიან ტავტოლოგიურ წინადადებებს და, რადგანაც მათ არა აქვთ თავისი ობიექტი (ასეთი შეიძლება, ემპირისტული პრინციპის მიხედვით, იყოს მხოლოდ რეალურ მეცნიერებათა საგნები), არც წარმოადგენენ დამოუკიდებელ მეცნიერებებს. მათი როლი ამოიწურება შინაარსის შემცველი კერძომეცნიერული წინადადებების ფორმის ამოცნობით და მისი გარდაქმნის წესების ცხადყოფით. დამოუკიდებელი საგანი აქვთ მხოლოდ რეალურ მეცნიერებებს (ბუნებისმეცნიერება, გონისმეცნიერება, ფსიქოლოგია), რომელთა წინადადებები ემპირიულ შინაარსს შეიცავენ, ენის შინაარსობლივი მოდუსით რომ ვთქვათ, საქმის ვითარებას გამოხატავენ, ახალ ცოდნას იძლევიან, სინთეზურ მსჯელობებს გამოთქვამენ[33]. მთელი ფილოსოფია დაიყვანება ენის ლოგიკურ, ფორმალურ ანალიზამდე. ენის ფორმა შეიცავს ორ მხარეს — ლექსიკას და სინტაქსს; ფილოსოფია ენის ლექსიკისა და სინტაქსის ლოგიკური ანალიზით შემოიფარგლება.

ენა შედგება სიტყვებისაგან. რა შინაარსი დევს სიტყვაში, რა არის სიტყვის მნიშვნელობა? ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის გარკვევითაც უნდა დაიწყოს ლოგიკური ანალიზი. სიტყვა, ლოგიკური პოზიტივიზმის შეხედულებით, მნიშვნელობას ჰპოვებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი წინადადებაში გამოდის. სიტყვია აზრის განსაზღვრისათვის ამოსავალს წარმოადგენს წინადადების უმარტივესი სახე — საწყისი წინადადება, „დაკვირვების წინადადებები" (Beobachtungssätzen), ან პირველი პროტოკოლის წინადადებები (Protokollsätzen). წინადადებები, რომლებიც საწყისი ელემენტარული ცდის აღსანიშნავად იხმარებიან. პროტოკოლის წინადადება ერთადერთია, რომელიც უნდა მივიღოთ როგორც შემეცნების ამოსავალი. სიტყვები დეფინიციის გზით სხვა სიტყვებზე დაიყვანებიან, ეს უკანასკნე-

---

[32] R. Carnap. გვ. 432-433.

[33] იქვე.

ლნი, თავის მხრივ, კვლავ სხვა სიტყვებზე უნდა იქნან დაყვანილი, სანამ საბოლოოდ არ იქნება მიღწეული პროტოკოლის წინადადებამდე მათი დაყვანა (ანუ, რაც იგივეა, მათი გამოყვანა პროტოკოლის-წინადადებიდან). ყოველი სიტყვის მნიშვნელობა (Sinn, Meaning) ასეთი შემოწმების — ვერიფიკაციის გზით დგინდება. თუ წინადადებაში შემავალი სიტყვის ვერიფიკაცია შესაძლებელია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სიტყვა ატარებს აზრს, მნიშვნელობას შეიცავს, ხოლო თუ ვერიფიკაცია შეუძლებელია, სიტყვა აზრსმოკლებულად, მნიშვნელობის არმქონედ (Sinnlos) უნდა მივიჩნიოთ. აზრიანობა-არაარაზრიანობის ცნება განსხვავდება ჭეშმარიტობა-სიმცდარის ცნებისაგან. ჭეშმარიტია წინადადება, რომელიც აზრიანია და ემპირიულადაც დასტურდება, მცდარია წინადადება. რომელიც აზრიანია, მაგრამ ემპირიულად არ დასტურდება (მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს მისით გამოხატულ საქმის ვითარებას). ამათგან განსხვავებით, უაზრო წინადადება (წინადადება. რომელიც აზრსმოკლებულ სიტყვას შეიცავს) არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, მას არ მიეყენება ჭეშმარიტობა-მცდარობის კატეგორია, იგი არის უაზრო, არ გამოხატავს რაიმე პრინციპულად შესაძლო საქმის ვითარებას, რის გამოც შეუძლებელიცაა დავსვათ კითხვა გვეძლევა თუ არა მასში გამოთქმული საქმის ვითარება. იგი უაზროა და. ამის გამო, მისი საწინააღმდეგო კი არ შეიძლება ვამტკიცოთ, არამედ იგი უბრალოდ უნდა განიდევნოს მეცნიერებიდან და ენიდან საერთოდ. უაზრო სიტყვებიდან ხშირად აგებენ წინადადებებს, რაც დაუშვებელია, რადგანაც ეს სიტყვები მხოლოდ „მოჩვენებითი ცნებებია" („Scheinbegriffe") და ამის გამო წინადადებებიც, სადაც ისინი შედიან, უაზრო, „მოჩვენებით წინადადებად" („Scheinsätze") იქცევიან[34]. ეს ითქმის ლოგიკური ლექსიკის შესახებ.

მაგრამ არსებობს ლოგიკური სინტაქსიც, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც წინადადებებში სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირების ლოგიკურ წესთა ერთობლიობა. წინადადება მოჩვენებითი, უაზრო შეიძლება იმის გამო იყოს, რომ იგი უაზრო ტერმინებს, მოჩვენებითს ცნებებს შეიცავს. მაგრამ ასევე აზრსმოკლებული იქნება წინადადება, რომელშიც, მართალია, მხოლოდ აზრიანი სიტყვები შედის, მაგრამ დარღვეულია სიტყვათა დაკავშირების ლოგიკურ-სინტაქსური წესები. ასეთია. მაგალითად წინადადება „ცეზარი და". აქ ორივე სიტყვა აზრიანია, მაგრამ სიტყვა „და" მაკავშირებელი სიტ-

---

[34] R. Carnap, Überwindung der Metaphysik durch logitsche Analyse der Sprache, Erkenntnis, B. 2, H. 4., 1931, S. 221 u. ff.

ბვაა და არ შეიძლება პრედიკატად მოგვევლინოს (პრედიკატი შეიძ-ლება იყოს სახელი ან სახელის ფუნქციამინიჭებული რომელიმე სხვა სიტყვა). ლოგიკური სინტაქსი უაზროდ მიიჩნევს მსგავსი დაკავშირებით შედგენილ წინადადებებს; ასეთ უაზრო კავშირს, შენიშნავს კარნაპი, მხოლოდ გრამატიკული სინტაქსი ითმენს, რომელიც ხშირად გვევლინება აზრსმოკლებულ სიტყვათა და წინადადებათა თავშესაფრად[35].

მეტაფიზიკის ყველა ცნება (სიტყვა) და მსჯელობა (წინადადება), ამტკიცებს კარნაპი, აზრსმოკლებულია. ისინი მოჩვენებითი ცნებები და მოჩვენებითი წინადადებებია, რადგანაც მათი ვერიფიკაცია (პროტოკოლის წინადადებებზე დაყვანა, ანუ ამათგან გამოყვანა) შეუძლებელია. ასეთი მეტაფიზიკური ცნებებია: გამსაზღვრელი პრინციპი, იდეა, ყოფიერება, არარა, არსი, მე, არა-მე და სხვ. მაგრამ მეტაფიზიკის წინადადებები მხოლოდ იმის გამო კი არ წარმოადგენენ მოჩვენებითს, უაზრო წინადადებებს, რომ მოჩვენებითს ცნებებს შეიცავენ, ხშირად დარღვეულია ლოგიკური სინტაქსის წესებიც, რომლებიც სიტყვათა დაკავშირების სისწორეს უნდა უზრუნველყოფდნენ. უარყოფილია ყოველი სახის რეალიზმი, რომელიც არსებობის მეტაფიზიკური ცნებით ოპერირებს. რაც შეეხება ინტუიტივიზმსა და მსგავსი სახის ფენომენალიზმს, მათი წინადადებების უაზრობა იმითაა გამოწვეული, რომ ისინი არაევიდენტურ, რთულ წინადადებებს იღებენ ამოსავლად, ბოლომდე არ მიჰყავთ ანალიზი და ვერ აღწევენ პირველ პროტოკოლამდე[36]. ლოგიკური სინტაქსი ცხადყოფს წინადადებათა გარდაქმნების სინტაქსურ წესებს. ეს წესები ორგვარია: ერთი ენის წინადადების იმავე ენის სხვა წინადადებად გარდაქმნისა და სხვა ენის წინადადებებად გარდაქმნის წესები (თარგმნის წესები). პირველ ამათგანს წარმოადგენს დასკვნის წესები, დასკვნა ტავტოლოგიაა, რომლის აზრიც მხოლოდ წინადადებათა გარდაქმნაშია იმავე ენის სხვა წინადადებებად. წინადადებათა გარდაქმნის მაგალითია დეფინიციაციაც (და მისი შემცველი საშუალება, რომელიც მითითების სახელითაა ცნობილი). დეფინიციაც ტავტოლოგიაა და ნიშნავს წინადადების თარგმნას იმავე ენის სხვა წინადადებებზე[37] .

პროტოკოლის წინადადების გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც წინადადებების აზრს პროტოკოლის (იგულისხმება ელემენტარული, საწყისი, ევიდენტური პროტოკოლი) წინადადებე-

---

[35] R. Carnap, იქვე, გვ. 227—228.

[36] იქვე, გვ. 224 და შემდ.; M. Schlick, Positivismus und Realismus, Erkenntnis, 1932—1933, 3.

[37] Carnap, Die physikalische Sprache als..., S. 435—436.

ბამდე მისი დაყვანა ადგენს. პირველი პროტოკოლის ბუნების შესახებ ლოგიკური პოზიტივიზმში აზრთა სხვადასხვაობაა, რამაც ცნობილ დისკუსიებში ჰპოვა ასახვა. თვითონ კარნაპის შეხედულებებიც ამ მხრივ სხვადასხვა დროს მნიშვნელოვნად იცვლებოდა. ჩვენი მიზნისათვის — ბიჰეეიორიზმის პრინციპული დებულებების დაფუძნების კრიტიკული შეფასებისათვის — არსებითი მნიშვნელობა აქვს პროტოკოლის წინადადების ორ განსხვავებულ გაგებას, რომელიც ლოგიკურ პოზიტივიზმში გვხვდება. ერთია გაგება, რომელსაც ავითარებდა ე. წ. ფენომენალისტური ანალიზი, მეორე კი ფიზიკალისტურ ანალიზშია წარმოდგენილი. პირველის თვალსაჩინო და თანამიმდევრული დამცველია მ. შლიკი, მეორისა კი რ. კარნაპი (30-იან წლებში).

მართალია, მ. შლიკი არ ეთანხმება ფიზიკალისტურ გაგებას, მაგრამ ისიც შემეცნების ისეთ სურათს მოხაზავს, რომელიც თავისებურ ეპიფენომენალისტურ გაგებას აძლევს დასაბამს. ამ თეორიის მიხედვით, განცდა, უშუალო აღქმა შეადგენს შემეცნების საფუძველს. მაგრამ თვითონ არ შედის შემეცნებაში, მეცნიერების ენაში, რადგანაც პრინციპულად შეუძლებელია სხვისი განცდის წვდომა.

შლიკის მტკიცებით[38], პროტოკოლის წინადადებისა და „დაკვირვების წინადადების“ ერთმანეთისაგან განუსხვავებლობა იწვევდა გაუგებრობას და შეუძლებელს ხდიდა შემეცნების საბოლოო საფუძვლის საკითხის გადაწყვეტას. შემეცნების დამარწმუნებლობის საფუძვლად ლოგიკური პოზიტივიზმის სხვა წარმომადგენლები მიიჩნევენ პროტოკოლის წინადადებებს და ყოველი წინადადებების მნიშვნელობის (Sinn) დადგენასაც და ჭეშმარიტობა-მცდარობის შემოწმებასაც მხოლოდ პროტოკოლის წინადადებებამდე მათი დაყვანის გზით ახდენენ. ო. ნირათმა ამ კონტექსტში მიმართა წინადადებათა ურთიერთთანხმობადობის ადრიდანვე ცნობილ თეორიას, რომლის მიხედვითაც გამოთქმის (Aussage) ჭეშმარიტების კრიტერიუმი გამოთქმათა (წინადადებათა) შორის წინააღმდეგობის არარსებობაა (ე. წ. „თანხმობადობის თეორია“). შლიკი ამ შეხედულების საფუძვლიან კრიტიკას იძლევა. არაწინააღმდეგობრიობა თავისთავად, ამბობს იგი, კრიტერიუმად გამოდგება მხოლოდ ფორმალური ჭეშმარიტების (ანალიზური, ტავტოლოგიური მტკიცებების) და არა შინაარსეული ჭეშმარიტების (სინთეზური, ემპირიული მტკიცებების) მიმართ. როდესაც სხვადასხვა პროტოკოლების წინადადებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ამ გზით სრულიად შეუძლებელია გაირკვეს, თუ რომელი მათგანი უნდა უკუვაგდოთ და რომელი შევინარჩუნოთ. გარდა ამისა, არაწინააღმდეგობრიობა შეიძლება ახასიათებდეს

---

[38] M. Schlick, Über das Fundament der Erkenntnis, Erkenntnis 1934, 4.

სრულიად უაზრო სიტყვათა სერიებსაც, რის გამოც ისინიც ჭეშმარიტად უნდა მიგვეჩნია. ამიტომ პროტოკოლის წინადადებათა შორის უნდა ცალკე გამოიყოს ისეთი სრულიად სპეციფიკური წინადადებები, რომლებიც ამგვარი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი დარჩებიან როგორც აბსოლუტურად დარწმუნებულნი და საფუძველს მოგვცემენ უკუვაგდოთ მათი საწინააღმდეგო ყველა დანარჩენი წინადადება. ასეთ წინადადებას, შლიკის აზრით, წარმოადგენს „დაკვირვების წინადადება" (Beobachtungssatz), წინადადება უშუალო მოცემულის (განცდის, უშუალო აღქმის, უშუალო გრძნობის) შესახებ. უშუალო აღქმები დგანან შემეცნების საფუძველში და დამარწმუნებელს, სანდოს ხდიან შემეცნებას. სინთეზური მტკიცებების ჭეშმარიტებას განსაზღვრავს მხოლოდ მათი შედარება ცდასთან, უშუალო დაკვირვებასთან. დაკვირვების წინადადებები მოცემულია ფორმით „აქ, ახლა, ასე და ასე" (აქ ახლა მწვანე ფერი). ამ სიტყვებით აღნიშნულია თვალსაჩინო, გრძნობადი რამ, რასაც მხოლოდ აწმყოსეული ჩვენებითი აზრი აქვს. ის, რასაც ეს სიტყვები აღნიშნავენ, შეუძლებელია გადმოიცეს ზოგადი დეფინიციით და შეუძლებელია ჩაწერილ (ან დამახსოვრებული) იქნეს, რადგანაც მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჩვენებასთან, მითითებასთან კავშირში. ამიტომ - შეუძლებელია დაკვირვების წინადადებები რაიმე გზით შემოვიდნენ პროტოკოლის წინადადებებში, მაშასადამე მეცნიერებაში. დაკვირვების წინადადებები ისევე აბსოლუტურად დამარწმუნებელი ხასიათისაა, როგორც ანალიზური მტკიცებები. ანალიზური წინადადებების გაგება და მისი დამარწმუნებლობის ცნობა ერთი და იგივე პროცესია (მისი გაგება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ვწვდი წესებს, რომლებიც სიტყვების მოხმარებას აწესრიგებს, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ იგი ანალიზურია და აპრიორულად დამარწმუნებელი). დაკვირვების წინადადება სინთეზურია, მაგრამ ასევე დამარწმუნებელია, რადგანაც მისი მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი ჭეშმარიტება ერთმანეთს ემთხვევა (განცდის მნიშვნელობა თვითონ განცდაშია მოცემული, იგი თავისთავს გარდა არაფერს ნიშნავს, ამიტომ იგი საბოლოო ინსტანციაა და თავისთავითვე მოწმდება).

პროტოკოლის წინადადებები, შლიკის აზრით, დაკვირვების წინადადებებისაგან განსხვავებით, არ ფლობენ ასეთ დამარწმუნებლობას, მუდამ ჰიპოთეტური ხასიათისანი არიან. მათი ჭეშმარიტების კრიტერიუმი არის მათი შესატყვისობა უშუალო აღქმასთან. უშუალო აღქმის როლი იმაშია, რომ იგი შემეცნების მიზეზია, აღძრავს შემეცნებას და პროტოკოლის მარად ჰიპოთეტური წინადადებების გამართლების საფუძვლად გვევლინება, თუმცა თვითონ არასოდეს არაა შემეცნება.

სინთეზური წინადადების მნიშვნელობის გაგება მასში შემავალი სიტყვების დეფინიციით ხდება, დეფინიცია შეიცავს ახალ სიტყვებს და ისინი კვლავ უნდა განსაზღვრებულ იქნენ. ინფინიტუმის შეცდომას თავს იმით ვაღწევთ, რომ ბოლოს-და-ბოლოს მივდივართ სიტყვამდე, რომლის მნიშვნელობა შეუძლებელია რაიმე წინადადებით აღიწეროს, იგი ნაჩვენები უნდა იქნეს მითითების აქტის მეშვეობით. მოცემული, უშუალოდ აღქმული უნდა იქნეს. ყოველი სინთეზური წინადადების მნიშვნელობა და ჭეშმარიტება მოცემულითაა განსაზღვრული[39].

ერთადერთ რეალობას მოცემული წარმოადგენს. რაიმეს რეალობის მტკიცება მხოლოდ განცდათა კანონზომიერი ურთიერთკავშირის მტკიცებაა. ამგვარი რეალობა თანაბრად მიეწერება როგორც ფსიქიკურს (გრძნობად მონაცემებს, ცნობიერების მონაცემებს), ისე ფიზიკურ საგნებსაც და ამ ერთადერთი გზით (განცდებზე დაყვანით) მოწმდება: წინადადება „აფრიკაში არის ოკაპუსები" რეალობას ეხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მართლაც შეგვიძლია აფრიკაში მოკლეკისრიანი ჟირაფები აღვიქვათ; ასევე, „ნამდვილად მტკივა ახლა თუ არა" ამას მხოლოდ იმით ვადგენ, მაქვს თუ არა მოცემული განცდა, რომელიც გარკვეული აღწერითი თვისებების მქონეა და რომელსაც ჩვენ ტკივილს ვუწოდებთ. ამიტომ უაზრო იყო დეკარტის წინადადება cogito, ergo sum[40] როგორც არავერიფიცირებადი.

მაგრამ, მიუთითებს შლიკი, მოცემული არ უნდა გავიგოთ როგორც „სუბიექტური," როგორც ცნობიერების შინაარსი (ასე მხოლოდ მეტაფიზიკური იდეალიზმი იქცევა). ამიტომ სწორი აარაა ფორმულირებაც, რომ „სხეული მხოლოდ შეგრძნებათა კომპლექსია"[41]. მეცნიერების წინადადებები აღწერენ არა თვითონ განცდებს, არაშედ განცდათა კავშირის გარკვეულ კანონებს. თუ პროტოკოლის წინადადებაში თვითონ განცდებს ვიგულისხმებდით, ეს წინადადება უაზრო იქნებოდა და შეუძლებელი იქნებოდა შემეცნების დაფუძნება. ამ თეზისის გასამართლებლად შლიკი შემდეგ მსჯელობებს მიმართავს: როცა მე მწვანე ფერის ქაღალდის ორ ნაჭერს ერთდროულად ვხედავ და ვამბობ, რომ ისინი ერთი და იმავე ფერისაა, ეს წინადადება აზრიანია, რადგანაც მისი ვერიფიკაცია შესაძლებელია. წინადადება აღნიშნავს ჩემს ცდას, სადაც ქაღალდის ნაჭრები ერთდროულადაა მოცემული ერთ განცდაში, აქ კი შესაძლებელია

---

[39] M. Schlick, Positivismus und Realismus, Erkenntnis, 1932—33,3. S. 6—9.

[40] იქვე, გვ. 17—21.

[41] იქვე, გვ. 4—5, 12 და შემდ.

ფერთა შედარება და მათი იგივეობის დადგენა. მაგრამ. თუ ახლა ქაღალდის იმავე ნაჭერს მეორე დამკვირვებელს ვაჩვენებ და ვკითხავ რას ხედავს იგი, მართალია, მივიღებ პასუხს, რომ ისიც მწვანე ფერს აღიქვამს, მაგრამ აქედან მხოლოდ ისაა უდავო, რომ იგი ამას ა მ ბ ო ბ ს, და არა ის. რომ ისიც იმავე ქვალიტეტს (მწვანეს) გ ა ნ ი ც დ ი ს, რასაც მე. სხვა სუბიექტის მიერ გარკვეული ქვალიტეტის განცდის ვერიფიცირება მე არ შემიძლია, რადგანაც ჩემი და მისი ქვალიტეტის განცდები ერთ ცნობიერებაში არ შეიძლება იყოს მოცემული. რომ ვცადოთ და მეორე სუბიექტს უფრო დაწვრილებით აღვუწეროთ ჩვენი შეგრძნების ქვალიტეტი. ისიც მსგავს აღწერილ წინადადებებს გამოთქვამს, იტყვის, რომ მწვანე ფერი სწორედ ასე და ასე განსხვავდება წითლისაგან, ბგერისაგან, ყველა სხვა მოდალობის ქვალიტეტებისაგან. მაგრამ, რაც უნდა უამრავი შესაბამისობა იყოს ჩემსა და მის აღწერებში, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ერთმანეთს შეესატყვისება ჩემი და მისი წინადადებები ერთი და იმავე ფერის ზემოქმედების პასუხად, აქედან კი არასოდეს დაისკვნება განცდილი ქვალიტეტების იდენტობა. სულაც არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ იგი წითელ ფერს ხედავს იქ. სადაც მე მწვანეს განვიცდი, მაგრამ ამ ფერის აღსანიშნავად ხმარობს იმ სიტყვას. რომლითაც მე მწვანეს აღვნიშნავდი. შეიძლება ისეც იყოს, რომ მასაც ქაღალდის ეს ნაჭერი ისეთ განცდას იწვევდეს, როგორიც მე ბგერის აღქმისას მაქვს და ა. შ. მართალია, უფრო სავარაუდოა, რომ ორივენი ერთსა და იმავე ფერს განვიცდიდეთ, როცა ერთნაირი სიტყვებით აღვწერთ ჩვენს ცდებს, მაგრამ ამის დამტკიცება არასოდეს არ შეიძლება. როგორც ვხედავთ, ამბობს შლიკი, ჩვენი განცდები პრინციპულად შეუმოწმებადია და მათ შესახებ წინადადებები თუ მეტს არაფერს აღნიშნავენ, ისინი უაზროდ უნდა მიგვეჩნია[42].

წინადადებაში მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რაც ცნობებადია (mitteilbar). განცდა არაა ცნობებადი, ამიტომ მის შესახებ წინადადება უაზროა. მაშინ რა აზრი აქვს სხვისი განცდის (და, საერთოდაც, განცდის) შესახებ წინადადებას? ორი პიროვნების განცდათა მსგავსების შესახებ წინადადებას, ამბობს შლიკი, მხოლოდ ის ც ნ ო ბ ე ბ ა დ ი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, რომ ამ პიროვნებათა რეაქციები ერთმანეთს ეთანხმებიან, სახელდობრ, ეს წინადადება სხვადასხვა სუბიექტთა რეაქციებს ერთი სისტემის წესრიგში ერთსა და იმავე ადგილზე ათავსებს. ეს რეაქციები და მათი გარკვეული კახონზომიერი ურთიერთშესატყვისობა შეიძლება მოგვეცეს წინადადების სახით, მაგრამ შეიძლება სხვა რეაქციის სახითაც იყოს წარმოდგენი-

[42] Schlick, Posit. u. Real., S., 13—14.

ლი. განხილულ მაგალითში, განსხვავებულ დამკვირვებელთა მიერ გამოთქმულ წინადადებებს საკუთარი განცდების შესახებ მხოლოდ ის აზრი აქვთ, რომ ერთნაირ რეაქციებს წარმოადგენენ მწვანე ფერის დანახვის პასუხად[43].

მართალია, გარკვეული აზრით, შლიკი უშუალო აღქმის როლს აზვიადებს, როდესაც მას მიიჩნევს ახალი ცოდნის მიღების, სინთეზური მტკიცების ერთადერთ საფუძვლად და რეალობასთანაც აიგივებს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი უკანონოდ განდევნის ცნობიერ ფსიქიკურს შემეცნების შინაარსიდან, რამდენადაც პროტოკოლში შეჰყავს არა განცდები, არამედ მხოლოდ რეაქციები. ასეთია შლიკის მიერ განვითარებული თავისებური ეპიფენომენალიზმი. უშუალო აღქმას, ამბობს შლიკი, მხოლოდ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური გამსაზღვრელი როლი ენიჭება შემეცნებაში, შემეცნებას იგი ბიძგს, მიმართულებას აძლევს და აზრიანად ხდის, მაგრამ თვითონ არ შედის შემეცნებაში. ეს შეხედულება შემეცნების პრაგმატისტულ თეორიას ენათესავება და აფუძნებს ბიჰევიორიზმს ფსიქოლოგიაში. მაგრამ იგი უნდა განვასხვავოთ ფიზიკალიზმისაგან, რომელსაც შლიკი არ იზიარებდა.

კარნაპი არ კმაყოფილდება პროტოკოლის წინადადების ფსიქიკური შინაარსიდან დაცლით და პროტოკოლის ენას ფიზიკის ენის ნაწილად აცხადებს. აქ ჩვენთვის საინტერესო არაა ზოგიერთი მომენტი პროტოკოლის წინადადების გაგებაში, რომელთა შესახებ კარნაპის შეხედულებები სხვადასხვა დროს იცვლებოდა. განვიხილოთ მხოლოდ ის მსჯელობები, რომლებიც კარნაპის თეორიაში არაორაზროვნადაა მოცემული და ასევე არაორაზროვნად აფუძნებს ბიჰევიორიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

როგორ ესმის კარნაპს პროტოკოლის წინადადებათა ბუნება, რა ხასიათისაა პროტოკოლი, რომელიც შემეცნების საფუძველში ძევს? კარნაპის აზრითაც პროტოკოლის წინადადება არის საბოლოო ინსტანცია, რომელიც დამარწმუნებლობას, ევიდენტურობას ანიჭებს ყველა დანარჩენ წინადადებებს. პროტოკოლი იძლევა ნამდვილ ახალ ცოდნას. წინაალმდეგ სინტაქსის ტავტოლოგიური და აშკარად კონვენციონალური ბუნების მქონე წესებისა, პროტოკოლის წინადადება ჩვენს ცოდნას აფართოებს და ამ მხრივ არაკონვენციონალური ბუნებისაა. რეალური მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება, გონისმეცნიერებები, ფსიქოლოგია) პროტოკოლებიდან იღებენ ახალ ცოდნას. მართალია, ეს მეცნიერებები ჩვეულებრივ მიმართავენ აშკარად რთულ ცდას, რთული სიტუაციების დაკვირვებას, მაგრამ აქ მოპოვებული

[43] Schlick, Posit. u. Real. S. 14—16. იხ. აგრეთვე M. Schlick, On the Relation between Psycholog. a Phys. Concepts [Read. in Phil. Analysis].

წინადადებების აზრიანობა მხოლოდ მათში მოცემულ პირველადი პროტოკოლის წინადადებებს ემყარება. კარნაპი უარყოფს (წინააღმდეგ შლიკის ფენომენალისტური ანალიზისა) განცდას, როგორც ისეთ საფუძველს, რომელზე მითითებითაც პროტოკოლის წინადადება ევიდენტურობას მოიპოვებდა, და ცოდნის სანდოობის კრიტერიუმად წინადადებათა ურთიერთთანხმობადობას მიიჩნევს. თუ ამ დროს რომელი წინადადება უნდა მივიჩნიოთ ამოსავალ პროტოკოლურ წინადადებად, ეს, მისი (აგრეთვე, ნოირათისა და ჰემპელის) აზრით, შეთანხმების საკითხია.

პროტოკოლში კარნაპს პირველ რიგში აინტერესებს მეცნიერული ცოდნის დაფუძნებისათვის საჭირო მომენტების მითითება. მეცნიერების პირველი კრიტერიუმია მისი წინადადებების პროტოკოლიდან გამოყვანადობა. მაგრამ კარნაპი ცოდნის სხვა კრიტერიუმებზეც ლაპარაკობს, რაც თვითონ პროტოკოლის წინადადებებსაც ეხება. ამათგან გადამწყვეტი მნიშვნელობისაა წინადადების ინტერსუბიექტურობის მოთხოვნა. ინტერსუბიექტურია წინადადება, რომელსაც თანაბარი დამარწმუნებლობითი ძალა აქვს ყველა სუბიექტისათვის. აზრიანია მხოლოდ ის წინადადებები, რომლებიც ინტერსუბიექტურია. ამიტომ პროტოკოლში ისეთი არაფერი შეიძლება ვიგულისხმოთ, რაც ერთი დამკვირვებლის კერძო საკუთრებას შეადგენს და არაა დაკვირვებადი ინტერსუბიექტურად[44].

ინტერსუბიექტურობა სრულიად საკმარისი პირობა შეიძლება იყოს ცოდნისათვის, მაგრამ კარნაპი ორ სხვა მოთხოვნასაც უყენებს ცოდნას. უნდა ვიფიქროთ, რომ კარნაპის ერთადერთი მამოძრავებელი მოტივი ამ შემთხვევაში არის მთელი შემეცნების უნიფიცირება, ერთიანი მეცნიერების (ერთი მეცნიერული ენის) მიღწევა. თავისთავად ასეთი მოთხოვნა დასაბუთებული არაა, მეცნიერული ცოდნა მაშინაც კარგად იგრძნობდა თავს, თუ ერთი მეცნიერების დარგის წინადადებები მეორის წინადადებებამდე არ დაიყვანებოდა, ან არ იქნებოდა სხვა, ამათთვის საერთო ენა. კარნაპი ემპირისტია, ემპირიზმს კი პლურალიზმი ახასიათებს, მისთვის უცხოა ინტელექტუალისტური მონისტური მისწრაფება. მიუხედავად ამისა, კარნაპის მთელი მოღვაწეობა ერთიანი მეცნიერების შექმნისაკენ იყო მიმართული. მეცნიერული ცოდნის დანარჩენი ორი კრიტერიუმიც, ჩვენი აზრით, კარნაპის ამ სწრაფვიდან გამომდინარეობს.

ცოდნა, კარნაპის აზრით, ინტერსენსუალური ხასიათისა უნდა იყოს. ერთი გრძნობის ორგანოს ჩვენების ნიადაგზე მიღებული დაკვირვების წინადადება თარგმნადი უნდა იყოს მეორე გრძნობის ორ-

---

[44] Carnap, Die Physikalische Sprache als,.., S. 441.

განოს ნიადაგზე აღმოცენებული წინადადებითაც. ენის მატერიალური მოდუსით რომ ვთქვათ: საქმის ვითარება, რომელსაც ერთი გრძნობის ორგანოთი მოპოვებული დაკვირვების მონაცემით ვწვდებით, დაკვირვებადი უნდა იყოს სხვა მოდალობის გრძნობის ორგანოებითაც[45]. (ცოდნის ასეთი კრიტერიუმი, როგორც საერთოდ ერთიანი მეცნიერული ენის მოთხოვნაც, კარნაპთან დასაბუთებული არაა. კარნაპის ფიზიკალიზმი კი მთლიანად აგებულია ამ მოთხოვნის საფუძველზე. ბიპევიორისტული ეპიფენომენალიზმის და მექანიციზმის დასაბუთების ერთადერთი ნამდვილი საფუძველიც ამაში უნდა ვეძიოთ). ამის შესაბამისად, პირველადი პროტოკოლი ისეთ მონაცემებს უნდა შეიცავდეს, რომლებიც ინტერსენსუალურადაა დაკვირვებადი.

კარნაპი არც აქ ჩერდება და მეცნიერებათა სრული უნიფიცირების მოთხოვნას წამოაყენებს: ყველა მეცნიერების ყოველი წინადადება თარგმნადი უნდა იყოს ერთი საერთო ენის წინადადებებით. ამის შესაბამისად, პროტოკოლში იგულისხმება მხოლოდ ერთი საერთო ენით გადმოცემადი მონაცემები[46].

ერთადერთი აუცილებელი მხარე, რომელიც ყოველი მეცნიერების საგნის ემპირიული არსებობისას მუდამაა წარმოდგენილი, — ფიზიკური მოვლენებია. შეუძლებელია არა მარტო სიცოცხლის, არამედ ფსიქიკურის და თვითონ საზოგადოებრივი ცნობიერების მოვლენების განხორციელება, თუ ისინი ისეთ მთლიანში არაა მოცემული, რომელიც ფიზიკურ მხარესაც შეიცავს. თუ ამას გავითვალისწინებთ, სრულიად გასაგები გახდება, რომ პროტოკოლის წინადადებებით აღნიშნული ცდის შერჩევისას კარნაპის არჩევანი ისეთ ცდაზე შეჩერდა, რომელიც ფიზიკურ საქმის ვითარებას გამოხატავს.

პროტოკოლის წინადადებები ფიზიკური ენის წინადადებებია. ისინი აუცილებლად ეხებიან სივრცით-დროითს განსაზღვრებას (ამ დროს, ამ ადგილზე)[47].

პროტოკოლის წინადადებები ინტერსენსუალური ხასიათისაა. შეგრძნების ქვალიტეტი მათში არ მონაწილეობს, რადგანაც რომელიმე ერთი შეგრძნების მოდალობით (და, მითუმეტეს, რომელობით) კი არ ვიღებთ ამ წინადადებებით აღნიშნული დაკვირვების მონაცემებს. ფიზიკის განსაზღვრებანი, რომლებიც პროტოკოლში გვეძლევა, ქვანტიტატური განსაზღვრებებია. თუ რომელიმე მოდალობაში ამ განსაზღვრათა შესაძლებლობა დღეს მიღწეული არაა, ეს პრინციპულ შეუძლებლობას როდი ნიშნავს. უკვე მიღწეული კი ბევრ სფეროშია (ელექტრო-მაგნიტური ტალღებით მოცემული საქმის ვითარება ჩვენ

[45] Carnap, Die phys. Spr. als...- S. 443—445.

[46] იქვე, გვ. 448.

[47] იქვე, გვ. 434 და შემდ.

მხედველობის ქვალიტეტებით გვეძლევა, მაგრამ სათანადო ტექნიკური გარდაქმნის შემდეგ ასევე კარგად გვეძლევა სმენის შეგრძნებებითაც და სხვ.)[48].

პროტოკოლის წინადადებები, როგორც ფიზიკური ენის წინადადებები, ინტერსუბიექტურადაა მოცემული და არაა დამოკიდებული განცდებზე, რომლებიც მხოლოდ განმცდელი სუბიექტის კუთვნილებაა. ქვალიტეტისაგან დაცლილი, ქვანტიტატური ფიზიკური სივრცით-დროითი განსაზღვრებები ყველა დამკვირვებლისათვის ერთნაირადაა მოცემული[49].

ბოლოს, პროტოკოლის წინადადებები უნივერსალური ხასიათისანია. მათი საშუალებით შესაძლებელია ყველა მეცნიერების წინადადებების შემოწმება. ფიზიკის ენაზე თარგმნადია ყოველი მეცნიერული წინადადება. ბიოლოგიის წინადადებების თარგმნადობის ჩვენება დიდ სიძნელეებს არ ქმნის, რადგანაც ყოველი ბიოლოგიური განსაზღვრა აუცილებლად არის ფიზიკური განსაზღვრაც[50]. ფსიქოლოგიის წინადადებების ფიზიკურ ენაზე თარგმნის შესაძლებლობის დასაბუთებას კარნაპი სპეციალურ სტატიას უძღვნის.

არცერთი არაფიზიკური მეცნიერების წინადადება, თუ იგი არ შეიცავს ფიზიკურ განსაზღვრას დროისა და სივრცის ნიშნებში, არ შეიძლება თარგმნადი იყოს ფიზიკის ენაზე, შეუძლებელია ვერიფიცირებულ იქნეს. მაგრამ კარნაპი არაერთგზის უსვამს ხაზს, რომ მას ფსიქოლოგიის ფიზიკაზე დაყვანა არ მოუთხოვია[51]. ფსიქოლოგს, ამბობს იგი, შეუძლია გააგრძელოს თავისი კვლევა თავისი საკუთარი წინადადებების მოპოვების მიზნით, შეუძლია ისარგებლოს მისი საკუთარი სიტყვებით (ცნებებით), მე კი მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ მისი წინადადებები აზრიანი და მეცნიერების კუთვნილება მხოლოდ მაშინ იქნებიან, როცა ფიზიკურ ენაზე თარგმნას დაექვემდებარებიანო. კარნაპის ამ შენიშვნას გაუგებრობის გამოწვევა შეუძლია. მაგრამ სხვა კონტექსტში კარნაპის ეს აზრი უფრო ნათლადაა გამოთქმული. ფსიქოლოგის არაფიზიკური კვლევა-ძიება, რის უფლებასაც კარნაპი მას უტოვებს, მხოლოდ ერთგვარი ხერხია ეკონომიერობის მიღწევისა. საერთოდ, ამბობს კარნაპი, შეიძლება დავუშვათ ქვალიტატური დეფინიციები, მაგრამ ამ დაშვების მთელი აზრი იმაშია, რომ ამით სიმოკლესა და თვალსაჩინოებას მივაღწიოთ, საბოლოოდ კი

---

[48] Carnap, Die Phys. Spr. als.... S. 441 u. ff.

[49] იქვე, გვ. 445 და შემდ.

[50] იქვე, გვ. 448—450.

[51] R. Carnap, Psychologie in physikalischer Sprache. Erkenntnis, 1932 - 1933, 3; R. Carnap, Erwiederung auf die vorstehenden Aussätze v. Zilsel u. Duncker. Erkenntn., 3.

ძალი აზრის დადგენა მხოლოდ ფიზიკურ ქვანტიტატურ ვანსაზღვრებებამდე დაყვანადობით დგინდება[52].

თუ ფიზიკის ენა ინტერსენსუალურია, ინტერსუბიექტურია და უნივერსალურია, ასეთი ხასიათი არა აქვს არცერთ არაფიზიკურ ენას, ამტკიცებს კარნაპი. ეს მსჯელობა თავისთავად გამომდინარეობს იქიდან, რომ კარნაპმა ჯერ ფიზიკური ენის თვისებები აღწერა და შემდეგ ყოველი მეცნიერების კრიტერიუმად გამოაცხადა ის ნიშნები, რომლებიც ამ აღწერით იქნა მოპოვებული. მაგრამ სრულიად გაუგებარია აქ ე. წ. „შეწყნარების პრინციპის" მიყენება: რომ საერთო ენის ფუნქციის აღება პრინციპულად ყველა ენას შეუძლია და არა მხოლოდ ფიზიკურს. თუ ასეთ ენად ფიზიკური იქნა შერჩეული, ეს მხოლოდ იმ ბედნიერი შემთხვევითი გარემოების გამო, რომ მხოლოდ მას აღმოაჩნდა ინტერსენსუალური, ინტერსუბიექტური და უნივერსალური ხასიათი[53]. როგორც ითქვა, კარნაპის ძიერ მეცნიერებისადმი წაყენებულ ამ მოთხოვნებს გნოსეოლოგიური დასაბუთება არ მიუღია.. ისინი ფიზიკურის ემპირიული აღწერის შედეგადაა წარმოშობილი. ფიზიკური უნივერსალური შემადგენელი მხარეა ყოველგვარი არსებული მთლიანისა. ამიტომ მას ასეთი თვისებებიც აქვს. ფიზიკური ენის მსგავსი ფუნქცია, სწორედ ამ გარემოების გამო, შეუძლებელია იკისროს რომელიმე არაფიზიკურმა ენამ, რომლის მიერ აღნიშნულ თვისობრიობას ფიზიკურის მსგავსი უნივერსალური არსებობა არ აქვს. თვისობრიობის თვალსაზრისით სამყაროს აგებულების გარკვეული იერარქიული ბუნება რომ აღეწერა, კარნაპი აქ შეწყნარების პრინციპს აღარ დაიცავდა, მაგრამ საგიეროდ ენათა დაყვანადობის იერარქიულ ეახლაგებას შეამჩნევდა (სოციალურის დაყვანა ბიოლოგიურზე, ბიოლოგიურისა ფიზიკურზე რედუქციის სხვადასხვა საფეხურია, სოციალურის დაშორება ფიზიკურისაგან უფრო დიდია, ვიდრე ბიოლოგიურისა ფიზიკურისაგან). კარნაპი ამას არ ამბობს, მაგრამ უდავოდ გრძნობს, როცა ფსიქიკურის რედუქციის სიძნელეს აღიარებს და მასზე უფრო განსაკუთრებით ჩერდება, ვიდრე ბიოლოგიურის რედუქციაზე.

ფსიქოლოგიის ყველა წინადადება, ფიქრობს კარნაპი, აღწერს ფიზიკურ მოვლენებს, კერძოდ, ახდენს ადამიანისა და ცხოველის სხეულებრივი მოვლენების განსაზღვრებას სივრცისა და დროის ფიზიკურ კატეგორიებში[54]. აქ განხილულია საკითხები სხვისი სულიერი მდგომარეობის და საკუთარი წარსული სულიერი მდგომარეობის მეცნიერულ ენაზე გამოსახვის შესაძლებლობის შესახებ. როგორ

---

[52] Carnap, Die physikal. Spr. als..., S. 442, 448.
[53] იქვე, ს. 462.

[54] Carnap, Psychologie in physikalischer Sprache.

ვწვდებით სხვის სულიერ მდგომარეობას, რას ნიშნავს სხვისი სულიერი მდგომარეობის შესახებ მეცნიერული წინადადებები? კარნაპის აზრით, სუბიექტს არ შეუძლია აზრიანი წინადადება შეადგინოს სხვისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, თუ აქ ცნობიერება, ფსიქიკური და არაცნობიერი ფსიქიკური იგულისხმა და არა ძალოლოდ სხეულებრივი გარეგანი დაკვირვებადი. ფიზიკურად განსაზღვრებადი პროცესები. განვიხილოთ, გვთავაზობს კარნაპი[55], ფსიქოლოგიის წინადადება. როდესაც ერთი სუბიექტი აკვირდება მეორეს და მის შესახებ ამბობს: „ბატონი A ახლა გაბრაზებულია". შეუძლია თუ არა ცოდნა მოგვცეს, აქვს თუ არა აზრი ამ წინადადებას. თუ კი იგი აღნიშნავს არა იმ ფიზიკური გარეგანი სხეულებრივი მდგომარეობის აღწერას სუბიექტის მიერ, რომელსაც იგი ახლა ხედავს, არავინ ბატონ A-ს ცნობიერებას, ან რაიმე სულიერ მდგომარეობას? ამისათვის უნდა დავსვათ კითხვა, რომელი პროტოკოლის წინადადების საშუალებით არის შესაძლებელი ამ წინადადების აზრიანობის შემოწმება, რომელი პროტოკოლის წინადადებებიდან შეიძლება ამ წინადადების გამოყვანა. ბატონ A-ს ცნობიერება არ შეიძლებოდა, როდესმე პროტოკოლში ჰქონოდა ამ წინადადების გამომთქმელ მეორე სუბიექტს, ამიტომ ეს წინადადება უაზრო იქნებოდა და შეუძლებელი იქნებოდა მისი შეტანა მეცნიერების ფორმალურ სისტემურ ენაში. სამაგიეროდ სავსებით შემოწმებადია წინადადება „ბატონ A-ს აჩქარებული სუნთქვა და ხშირი პულსი აქვს," რომელსაც წარმოთქვამს მეორე დამკვირვებელი სუბიექტი. ეს წინადადება დაიყვანება მისი პროტოკოლის წინადადებებზე. ამიტომ იგი აზრიანია, ხოლო წინადადება, რომელიც მხოლოდ სხვისი ცნობიერების შესახებ ლაპარაკობს, შეუმოწმებადია როგორც რაციონალური. ისე ინტუიტიური მეთოდით, რომელთაც ამ შემთხვევაში ფსიქოლოგები გვთავაზობენ. რაციონალური მეთოდით მისი. შემოწმება მხოლოდ დამკვირვებელი სუბიექტის პროტოკოლს უნდა დაყრდნობოდა. ეს კი არ გამოდგება ამ წინადადების შესამოწმებლად, რომელიც სხვა სუბიექტის ცნობიერებას ეხება. ინტუიტივური მეთოდი იმის გამოა უვარგისი, რომ მას არავითარი სანდო ხასიათი არ შეიძლება ჰქონდეს. მართლაც, როდესაც მე, გარეშე დამკვირვებელი, ვამტკიცებ ბატონი A-ს შესახებ, რომ ახლა უშუალოდ აღვიქვამ მის გაბრაზებას. ეს ჩემს კერძო პროტოკოლს სცდება, რის გამოც ხდება ხოლმე, რომ შემდეგი პროტოკოლის საფუძველზე ვიტყვი, რომ პირველად შევცდი და, თუმცა მე მაშინ ინტუიტივური შთაბეჭდილება მქონდა, ბატონი A სულაც არ ყოფილა გაბრაზებული. კარნაპი განიხილავს სხვადასხვა მოსაზრებებს, რომლებიც მისი ამ მტკიცების საწინააღ-

[55] Carnap, Psychol. in phys. Sprache., S. 112—117.

მდეგოდ შეიძლება წამოაყენონ. ამ მოსაზრებებიდან ყველაზე არსებითია შემდეგი. ვთქვათ, დავეთანხმეთ იმას, რომ სხვისი ფსიქიკურის ნაცვლად ჩვენ ვწვდებით მხოლოდ სხვის ფიზიკურს, მაგრამ ეს ფიზიკური თავისთავად ხომ სრულიად აზრსმოკლებულია როგორც ქცევა? ქცევა აზრიანია (ფსიქიკური საზრისის მქონეა). თავის დაქნევა მარტო ფიზიკურად რომ აღვწეროთ, სრულიად გაუგებარი დარჩება მისი აზრი, მისი ფსიქოლოგიური შინაარსი, რომ ის, თურმე, თანხმობას გამოხატავდა. ეს ძირითადი არგუმენტია ფსიქიკის მექანიცისტური გაგების წინააღმდეგ და, როგორც ჩვენ ვცდილობთ ვაჩვენოთ, სრულიად საკმარისია მის უკუსაგდებად. როგორ იცავს თავს კარნაპი? მისი მტკიცებით, ქცევის როგორც ფიზიკურის შესწავლა პრინციპულად საშუალებას იძლევა ქცევის აზრი ისე გავიგოთ, რომ ამისათვის არ მივმართოთ ფსიქოლოგიისა და გონისმეცნიერებათათვის სპეციფიკურად მიჩნეულ მეთოდს გ ა გ ე ბ ა ს, რომელიც ფიზიკისათვის უცხოა. ისეთი საქმის ვითარების წვდომა, რომლის დროით-სივრცითი განსაზღვრება ჯერ კიდევ შეუძლებელია, დამახასიათებელია ფიზიკისათვისაც. ვთქვათ, ვნახეთ რაიმე ნივთიერება, რომელიც, თუ მასზე სინათლე იმოქმედებს, შეიცვლის თავის ელექტროგამტარობას. ე. ი. რეაგირებს სინათლეზე. ეს ნივთიერება შეიძლება ფიზიკაში გამოყენებულ იქნეს როგორც დეტექტორი, ელექტრომაგნიტური მოქმედების დამდგენი. ჩვენ შეიძლება არაფერი ვიცით ამ ნივთიერების ფიზიკური თვისებების (მისი როგორც ოპტიკური დროით-სივრცითი განსაზღვრის) შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს ნივთიერება შესანიშნავად ასრულებს დეტექტორის როლს. ასეთი დეტექტორი შეიძლება წმინდა ფიზიკურიც იყოს და შეიძლება ბიოლოგიურიც. ამინდის დეტექტორად ადამიანები იყენებენ ბარომეტრსაც და ცოცხალ დეტექტორსაც — ბაყაყს. მიუხედავად იმის გამოკვლევისა, თუ რაში მდგომარეობს ბაყაყის როგორც ცოცხალი ორგანიზმის თვისებები, ჩვენ შეგვიძლია გარკვევით დავახასიათოთ ბაყაყი როგორც დეტექტორი. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ფსიქიკურის შემთხვევაშიც. ქვალიტეტური ფსიქიკური გამოდგება იმის დეტექტორადაც, რასაც აზრიანი ქცევა ეწოდება. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ქცევა, როგორც ფიზიკური რეაგირება სავსებით გასაგებს ხდის იმას, რასაც ქცევის აზრს უწოდებენ და რისთვისაც გაგების უაზრო ცნებას გვთავაზობენ. ქცევის ფსიქოლოგიას ჯერჯერობით ბევრი არ გაუკეთებია ამ მიმართულებით, მაგრამ ეს მას პრინციპულად შეუძლია[56]. მისი ამოცანაა მხედველობაში მიიღოს ქცევის აზრიან ფორმათა მრავალსახეობა და ფიზიკურ ენაზე შეისწავლოს იგი.

---

[56] Carnap, Psychol. in phys. Spr., S. 124—129.

აქ კარნაპის მსჯელობაში ორი რამ მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან. ერთი საკითხია ქცევის ფსიქიკური საზრისის წვდომა. ხოლო სხვა საკითხია უკვე ნაწვდომის ფიზიკალიზაცია. კარნაპი სრულიად დამარწმუნებლად ასაბუთებს იმის ფიზიკალიზაციის შესაძლებლობას, რაც უკვე მოცემულია თავისი ფსიქიკური საზრისით, რისი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც უკვე გაგებულია. მაგრამ ბოლომდე გარკვეული არაა, რას ეხება ეს ფიზიკალიზაცია, რამდენად მოიცავს ქცევის ფსიქიკურ საზრისსაც, თუ კი, ვთქვათ, ერთი წუთითაც დავკარგეთ საზრისის ეს გაგება. ფსიქიკური საზრისის პირველი წვდომის შესახებაც კარნაპი ამტკიცებს, რომ რეაქციების ფიზიკური აღწერით ეს ადვილად მიიღწევა, თუ რეაქციათა კავშირის საკმარისად სრული რიგი გვაქვს მოცემული. ჩვენს განცდებს, როგორც ეს იყო ფერის შეგრძნების მარტივ შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვთ როგორც მხოლოდ რეაქციებს, ისინი მხოლოდ ქცევის ფიზიკური სტრუქტურის საკმაოდ არაეფექტური დეტექტორებია და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც ქცევის ფიზიკური აზრი არ ვიცით. თუ ეს უკანასკნელი აღრიდანვე ვიცით, განცდები არაფრის მაქნისია, ხოლო თუ შემდეგში გავიგეთ, განცდების სრული ელიმინაცია ხდება როგორც არასაჭირო დეტექტორისა.

ლოგიკური პოზიტივიზმი ცდილობს ბიჰევიორიზმის გნოსეოლოგიური დასაბუთება მოგვცეს. მ. შლიკის თეორია ეპიფენომენალიზმის დებულების გარკვეულ შეფეცნებისთეორიულ მტკიცებას შეიცავს. ხოლო კარნაპის მიერ 30-იან წლებში განვითარებული თვალსაზრისი დამატებით მექანიცისტურ ქცევისმეცნიერულ თეზისს იცავს.

დასაბუთებულია თუ არა ლოგიკურ პოზიტივიზმში ფსიქიკის ეპიფენომენალისტური და მექანიცისტური (ფიზიკალისტური) გაგების აუცილებლობა და შესაძლებლობა?

ამ დასაბუთებას ერთგვარ დამარწმუნებლობას მხოლოდ ერთი გარემოება აძლევს. თეზისი გულისხმობს მომენტს, რომლის დასაბუთებისათვის საკმარისი საფუძვლებია მითითებული და სწორი არგუმენტაციაცაა წარმოდგენილი. ამ პოზიტური მომენტის გარეშე ფსიქოლოგიურად სრულიად გაუგებარი იქნებოდა არა მარტო ნეოპოზიტივიზმის ამ განშტოების გავლენის ფაქტი, არამედ საერთოდ მისი წარმოშობაც. ამ მომენტის გამოყოფა და მასზე ყურადღების გამახვილება მითუმეტეს საჭიროა, რომ მან გარკვეული როლი შეასრულა ფსიქიკურის კვლევის განვითარებაში.

ფსიქიკურისა და გონითის საკითხი აქ დასმულია მხოლოდ ემპირიულ სიბრტყეში: ისინი განხილულია კონკრეტული არსებობის თვალსაზრისით. მათი კონკრეტული არსებობა კი შეუძლებელია ქცევისაგან და ქცევის ფიზიკური პირობებისაგან დამოუკიდებლად...

ისინი ადამიანის თვისებებია, ადამიანი კი მოქმედი ფიზიკური არსებაცაა. ობიექტურ ფიზიკურ პირობებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მთლიანი ადამიანის და მისი თვისებების გაგებისათვის. ლოგიკური პოზიტივიზმის მტკიცებით, ქცევის ობიექტური ორგანიზაცია ფსიქიკური საზრისის მატარებლადაც გვევლინება. აქეთკენ იყო მიმართული ენის ლოგიკური ანალიზის მთელი მუშაობა, რომელმაც უდავოდ მოამზადა ნიადაგი მართვის თეორიის შექმნისათვის.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლოგიკური პოზიტივისტური თეზისი ამას მხოლოდ ერთ მომენტად გულისხმობს და ამტკიცებს მეტს — ეპიფენომენალიზმს და ფიზიკალიზმს, ცნობიერების რედუქციას ობიექტურამდე. ამიტომ კრიტიკული განხილვა ამ რედუქციის დასაბუთებას უნდა ეხებოდეს.

დავიწყოთ ეპიფენომენალიზმის თეზისიდან, რომელიც საერთოა კარნაპისა და შლიკის თეორიებში. ძირითად ცნებას, რომელსაც ემყარება ეს თეზისი და მთელი ნეოპოზიტივისტური შემეცნების თეორია, პროტოკოლის წინადადების ცნება წარმოადგენს. შესაძლებელია თუ არა პროტოკოლის მსგავსი გაგების საფუძველზე დასაბუთდეს ეპიფენომენალისტური ფსიქოლოგიური თეორია? კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს შეუძლებელია, რადგანაც ამ გზით შეუძლებელია დასაბუთდეს საერთოდ შემეცნების შესაძლებლობა. ყოველი წინადადების ევიდენტურობა, ლოგიკური პოზიტივიზმის აზრით, პროტოკოლის წინადადების (საწყისი წინადადების, დაკვირვების ელემენტარული წინადადების) ევიდენტურობას ემყარება. თვითონ პროტოკოლის წინადადებას კი სხვა მსჯელი არცა ჰყავს და არც სჭირდება (პროტოკოლის წინადადებათა საბოლოო საფუძვლად, როგორც ითქვა, კარნაპი, ნოირათი და ჰემპელი მათს ურთიერთთანხმობადობას თვლიან. ეს შეხედულება უკიდურეს რედუქციონიზმამდე, ფიზიკალიზმამდე, მიდის. მისი საინტერესო კრიტიკა მოცემული აქვს შლიკს და, უფრო ვრცლად, აიერს[57]). შლიკი ამტკიცებს, რომ პროტოკოლის წინადადება შეუძლებელია შეიცავდეს განცდას, რადგანაც იგი ამ შემთხვევაში ცნობებადი და ინტერსუბიექტურად აზრიანი არ იქნებოდა. მაგრამ ასეთი მსჯელობა გადაუჭრელ წინააღმდეგობას აწყდება. თუ საქმის ვითარებას მართლა ასე წარმოვიდგენდით, შეუძლებელი იქნებოდა საერთოდ რაიმე წინადადების აზრიანობის მტკიცება. ფიზიკურის შემეცნების გზაც, როგორც შემეცნებისა, თუ ლოგიკური პოზიტივიზმის ემპირისტულ პრინციპს არ გადავუხვევთ, უეჭველად უნდა გაივლიდეს ფსიქიკურს, ფსიქიკურის გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს. ამიტომ, თუ შეუძლებლადაა მიჩნეული ფსიქი-

---

[57] Logical Positivism (Edited by A. J. Ayer), 1960, pp. 17—21 a. 228—243.

კურის როგორც ფსიქიკურის შემეცნება, თუ ფსიქიკურის შესახებ წინადადებები უაზროდ არიან გამოცხადებული, შეუძლებელი იქნება თვითონ ფიზიკურის შესახებ წინადადებები. მეტიც — შეუძლებელი იქნება ყოველგვარი მსჯელობა (წინადადება), თვითონ მსჯელობაც მათს შესახებ, ე. ი. თვითონ ლოგიკური ანალიზი, როგორც ლოგიკური პოზიტივიზმის ფილოსოფია (შემეცნების თეორია). ასე მიდის ლოგიკური პოზიტივიზმი თავისი მტკიცების გზით თავისი თავის უარყოფამდე. როგორ ხდება ეს? თუ ჩვენ არაფერი შეიძლება ვიცოდეთ სხვისი ფსიქიკურის შესახებ, მაშინ შეუძლებელია ინტერსუბიექტური ხასიათისა იყოს ფიზიკურის შესახებ წინადადებებიც. მართლაც, ფიზიკური ენის წინადადება „თერმომეტრი უჩვენებს —5°" აზრიანი იქნებოდა ინტერსუბიექტურად მაშინ, თუ ამ წინადადების მთქმელი (დამწერი) და გამგონე (წამკითხავი.) სრულიად ერთნაირად აღიქვამდნენ თერმომეტრის ჩვენებას. თუ აღქმათა ასეთი ერთნაირობა შეუძლებელია, მაშინ შეუძლებელია ემპირიულად აზრი ჰქონდეს ამ წინადადებაში გამოთქმულ ფიზიკურს. სხვა ემპირიული გზა ინტერსუბიექტურობის მიღწევისა არ არსებობს. კარნაპისა და შლიკის ცდა, სხვა გზა იქნეს დაძებნილი, მარცხით მთავრდება. დავუბრუნდეთ შლიკის ზემოთ მითითებულ მსჯელობას, რომლის მიხედვით ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ასე უნდა ვიმსჯელოთ: წინადადება „თერმომეტრი უჩვენებს —5°" ინტერსუბიექტურად იქცევა არა იმის გამო, რომ ერთნაირად აღიქმება თერმომეტრის ჩვენება სხვადასხვა სუბიექტების მიერ (ეს უაზრობაა), არამედ იმის გამო, რომ ჩვენი წინადადებები (ან სხვა მსგავსი რეაქციები) ერთმანეთს ეთანხმებიან. მაგრამ საიდან შეიძლება ვიცოდეთ რეაქციათა ამ შესატყვისობის შესახებ? მოცემული გვაქვს ერთნაირი რეაქციები (წინადადებები), მაგრამ რა საფუძველზე ვთვლით მათ ერთნაირად, ერთმანეთის შესატყვისად, და როგორ არიან მოცემული თვითონ? შლიკის ემპირისტული პრინციპის მიხედვით, ისინი მოცემულია როგორც ფიზიკური ბგერები, ან ოპტიკური შთაბეჭდილებები და შეუძლებელი უნდა იყოს მათი გაგება, თუ კვლავ არ მოხდა ვერიფიკაცია ახალი წინადადებით ამ წინადადებათა როგორც კანონზომიერად შესატყვისი რეაქციების შესახებ. მაგრამ ამ ახალ წინადადებებს კვლავ მსგავსი პროცედურა დაჭირდება და ასე უსასრულოდ.

შლიკმა სწორედ ასეთი ინფინიტუმის თავიდან აცილებისათვის შემოიტანა დაკვირვების წინადადების ცნება. დაკვირვების წინადადების პრაგმატისტული ინტერპრეტაცია და მისი დაპირისპირება შემეცნების შინაარსისადმი, რასაც შლიკი მიმართავს, შემეცნების ისეთ დუალისტურ გაგებას წარმოადგენს, სადაც შეუძლებელია ამ დაპირისპირებულთა კავშირის წვდომა და შემეცნების ლოგიკური დამარ-

წმუნებლობის მიღწევა. ინფინიტუმის შეცდომა აქაც შენარჩუნებულია, რადგანაც, როგორც ვნახეთ, პროტოკოლის წინადადება, თუ იგი ფსიქიკურ შინაარსს არ აღნიშნავს და ამ შინაარსისაგან დაცლილ რეაქციათა წესრიგს გულისხმობს, თვითონ მოითხოვს სხვა წინადადებით დახასიათებას და ეს პროცესი დაუსრულებლივ უნდა გაგრძელდეს. მაშასადამე, ამ გზით შეუძლებელია როდისმე მივაღწიოთ წინადადების როგორც მნიშვნელობის, ისე ჭეშმარიტების დადგენას და ყოველი წინადადება, მათ შორის პროტოკოლის წინადადებები და წინადადებებიც მათ შესახებ, უაზროდ უნდა იქნეს მიჩნეული.

ასეთსავე წინააღმდეგობას აწყდება ვერიფიკაციის შესაძლებლობის მიზნით ერთდროული ინდივიდუალური განცდისადმი მიმართვაც. შლიკი თვლის, რომ პროტოკოლის წინადადება საბოლოო დამარწმუნებლობას განცდაზე მითითებით იპოვებს. ორი წინადადების იდენტურობა ერთი ინდივიდის ერთდროულ განცდაში შეიძლება იყოს მოცემული. ეს თითქოს შესაძლებელს ხდის თავი დავაღწიოთ ზემოთ მითითებულ განუზღვრელობის შეცდომას. მაგრამ აქ ორი გარემოება იჩენს თავს. ჯერ ერთი, პროტოკოლის წინადადებები ამ მხრივ არცერთი სხვა წინადადებებისაგან არ განსხვავდებიან. ინდივიდის ერთ განცდაში ასევე შეიძლება იყოს მოცემული ყოველი წინადადება, რის გამოც აზრი ეკარგება ვერიფიკაციის მოთხოვნას, წინადადებათა პროტოკოლის წინადადებებამდე დაყვანის საჭიროებას. მეორე მხრივ კი გაუგებარია, თუ საიდან შეიძლება დადგინდეს, რომ პროტოკოლის წინადადებათა იდენტობის განცდები აქვს მეორე სუბიექტსაც. თუ ამის გასაგებად სუბიექტთა პროტოკოლის წინადადებებს მოვიშველიებდით, რომლებიც ამ იდენტობას აღნიშნავენ, კვლავ საჭირო იქნებოდა ამ წინადადებათა ვერიფიკაცია და ასე დაუსრულებლივ. ხოლო თუ ამ განცდას ვენდობით, ამით შევწყვეტდით უსასრულობისაკენ სვლას, მაგრამ სავსებით გაუმართლებელი იქნებოდა რატომ ვენდეთ ამ განცდას და არ ვენდეთ განცდას, რომელიც ცალკე აღებული პროტოკოლის წინადადებით იყო აღნიშნული.

როგორც ვხედავთ, სხვისი განცდის შემეცნების შესაძლებლობის უარყოფით ლოგიკური პოზიტივიზმის თეორია უარყოფს ყოველგვარი შემეცნების შესაძლებლობას და, მაშასადამე, თავისთავსაც. ეპიფენომენალიზმის თეზისი ამ გზით ვერ საბუთდება, ბიჰეიორიზმის მეთოდოლოგიურ დაფუძნებას ეს თეორია ვერ ახერხებს.

ფიზიკალიზმი ეპიფენომენალიზმის სახეა, რის გამოც ეპიფენომენალიზმის უარყოფა მასაც უარყოფს. ფიზიკალიზმი დამატებით სხვა სიძნელეებსაც შეიცავს.

პროტოკოლის ენა, კარნაპის მიხედვით, ფიზიკალური ენის კერძო შემთხვევაა. როგორც ზემოთ ითქვა, კარნაპი ფიზიკალიზმის გნო-

სეოლოგიურ დასაბუთებას არ იძლევა. იგი ბედნიერ შემთხვევად თვლის ფიზიკური ენის ინტერსენსუალურობას, ინტერსუბიექტურობას და უნივერსალურობას. პროტოკოლის ფიზიკალისტური ხასიათის მოთხოვნა დასაბუთებული არაა: კარნაპი ჯერ ფიზიკური ენის აღწერით ამ ენის თვისებებს დააღგენს და შემდეგ მეცნიერული ენის საყოველთაო კრიტერიუმად აცხადებს ამ თვისებებს. სხვა მეცნიერებათა ენების სპეციფიკური წინადადებები, ცხადია, ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ. რის გამოც განდევნებიან შემეცნების სფეროდან. მაგრამ მათ თან ფიქვთ თავისი სპეციფიკურობა და ხელთ გვრჩება სამყაროს მხოლოდ მექანიცისტური რედუქციონისტური სურათი.

ფსიქოლოგიის შესასწავლი საგნის შინაარსში კარნაპს ცნობიერების ნიშანი არ შეაქვს, მაგრამ ცდილობს ქცევის ის თვისებებს კი გაუწიოს ანგარიში, რომლებიც სინამდვილეში სრულიად გაუგებარი იქნებოდნენ ცნობიერების ნიშნის გარეშე. კარნაპი საკმარის საფუძველებზე მითითების გარეშე უარყოფს ქცევის ამ აზრის კავშირს ცნობიერებასთან და განცდის სრულ ფიზიკალიზაციას მიმართავს. იგი ამტკიცებს, რომ სხეულებრივი რეაქციების საკმარისად სრული კავშირი შეიძლება იქნეს დადგენილი, რომელიც ქცევის აზრს გასაგებად წარმოგვიდგენდა, განასხვავებდა ქცევის თვისებებს სხვა ფიზიკურის თვისებებისაგან. აზრიანი ქცევის ფიზიკალიზაცია, რომელზეც კარნაპი ლაპარაკობს, სავსებით შესაძლებელია და ფაქტიურადაც მიიღწევა ქცევის მოდელირებით თვითრეგულირებად მანქანებში. მაგრამ ეს შესაძლებელი ხდება ფსიქიკური საზრისის აუცილებელი გათვალისწინებით და მისგან გარკვეული სახის აბსტრაქციის შედეგად. როგორც კი ეს საზრისი დაიკარგება, ქცევა მაშინვე სათანადო აზრს მოკლებულ ფიზიკურ პროცესად წარმოგვიდგება.

ბიჰევიორიზმის პრინციპების მთელი ფილოსოფიური დასაბუთება ლოგიკურ პოზიტივიზმში შემეცნების ამოსავალი ცდის ფარგლების გაუმართლებელ შევიწროებას და შემეცნების მოლეკულარული მეთოდით აგებას ემყარება. შემეცნებას ეს თეორია აფუძნებს ისეთ ელემენტარულ ცდაზე (პირველ პროტოკოლზე). სადაც, როგორც ჯემსის წმინდა ცდაშიც, გამორიცხულია სუბიექტისა და ობიექტის, ფსიქიკურისა და არაფსიქიკურის, შემმეცნებლისა და შესამეცნებლის განსხვავება. რაკი ამავე დროს მთელი შემეცნება ამ ელემენტებიდან გამოიყვანება, შეუძლებელია შემეცნებაში მოცემული იყოს ფსიქიკურის სპეციფიკა. ამავე მიზეზით სამყაროს სურათში წარმოდგენილი არაა არც ნამდვილი ბიოლოგიური და, მითუმეტეს, არც გონითი. შემეცნების ამგვარ ატომისტურ რედუქციონისტურ თეორიას წინასწარვე მოჭრილი აქვს სამყაროს ყოველგვარი ქვალიტატური

მრავალფეროვნებისაკენ, ყოველი ახალი თვისობრიობისაკენ მიმავალი გზა. სინამდვილე თავის სახეს გვიჩვენებს როგორც ახალი და ახალი სპეციფიკური მთლიანობების, ახალი თვისობრიობების წარმოშობის პროცესს. ახალი თვისობრიობა გვეძლევა ცდაში, რომელიც არაა ისეთი ელემენტარული ცდა, როგორიც იგულისხმება ლოგიკური პოზიტივიზმის პროტოკოლის ცნებაში და არც ამგვარი ელემენტარული ცდებისაგან შეიძლება იქნეს აგებული ატომისტური მეთოდით. ახალი თვისობრიობით წარმოდგენილი საქმის ვითარება სპეციფიკურ ცდაშია მოცემული და ამ ცდის გაუთვალისწინებლად შეუმეცნებელი დარჩებოდა, როგორც ეს ხდება ლოგიკური პოზიტივიზმის რედუქციონისტურ შემეცნების თეორიაში.

თავი მეხუთე

ბიჰევიორიზმის ოპერაციონისტული დასაბუთება

ლოგიკურ პოზიტივიზმთან ერთდროულად წარმოიშვა ოპერაციონისტული ფილოსოფიური თეორია. იგი სწრაფად გავრცელდა, განსაკუთრებით დაეუფლა ბიჰევიორისტ ფსიქოლოგთა ცნობიერებას და ერთერთ ყველაზე პოპულარულ ფილოსოფიურ თეორიად იქცა, რომელიც წლების განმავლობაში ცნობიერად განსაზღვრავს ბიჰევიორისტ ფსიქოლოგთა მეცნიერული მუშაობის მეთოდოლოგიურ მხარეს. საყურადღებოა ისიც, რომ, თუმცა ოპერაციონიზმის იდეები თავდაპირველად ფიზიკასთან მიმართებაში იქნა გამოთქმული (ბრიჯმენი), მაგრამ ოპერაციონიზმის სრულ ფილოსოფიურ თეორიას ქმნიდნენ და ავითარებდნენ ბიჰევიორისტი ფსიქოლოგები (ტოლმენი, სტივენსი, ბორინგი, სკინერი და სხვ.) კერძო მეცნიერული მუშაობის ამოცანასთან უშუალო კავშირში. ბიჰევიორიზმი და ოპერაციონიზმი არსებითადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ის კი არა, ჩვენი აზრით, ძნელია იმის თქმა, ემპირიულად რომელი რომელს განსაზღვრავდა—ოპერაციონიზმის ფილოსოფია (მეცნიერების მეთოდოლოგია) ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას, თუ პირიქით, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია ოპერაციონიზმს. ყოველ შემთხვევაში, ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ოპერაციონიზმის ფილოსოფიური თეორიის დამუშავებას განაპირობებდა, ბიჰევიორიზმის ფსიქოლოგიური პრინციპების დასაბუთების სურვილი იყო.

ოპერაციონიზმს საწყისი მისცა ბრიჯმენის ცნობილმა წიგნმა „თანამედროვე ფიზიკის ლოგიკა", სადაც ფორმულირებულია ოპერაციონიზმის ძირითადი დებულება და ნაჩვენებია ამ დებულების სისწორე ზოგიერთი ფიზიკური ცნების მიმართ[58]. ბრიჯმენი პოზიტივისტურ ემ-

[58] P. W. Bridgman, The Logic of Modern Physics, NY, 1927 (ქვემოთ ციტირ. მეშვიდე, 1954 წ. გამოცემით).

პირისტული საფუძვლიდან ამოდის და მოითხოვს ფიზიკის ცნებები ცდის ტრანსცენდენტური არ იყვნენ. რა შეიძლება იყოს ემპირიული ცნებებისა და მათგან აგებული მსჯელობების ვარგისობის, ჭეშმარიტობის კრიტერიუმი? ბრიჯმენი განიხილავს ფიზიკის ისეთ ცნებებს, როგორიცაა სიდიდე, სიჩქარე და სხვ. ეს ცნებები, მისი აზრით, აზრიანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გულისხმობენ გარკვეულ კონკრეტულ ოპერაციებს. რას ნიშნავს, მაგალითად, სიგრძის ცნება, როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიგრძის ცნება რაიმე მნიშვნელობის შემცველია? სიგრძის ცნება აზრიანია მხოლოდ მაშინ, თუ შეგვიძლია ვთქვათ, რა სიგრძე აქვს რომელიმე კონკრეტულ საგანს, მაგალითად ოთახის კედელს, მაგრამ ამის გაგებისათვის საჭიროა შევასრულოთ სიგრძის გაზომვის კონკრეტული ოპერაციები. ესაა სიგრძის ცნების ერთადერთი შესაძლებელი დეფინიცია. ასევე უნდა ვიმსჯელოთ სიჩქარისა და სხვა ფიზიკური ცნებების შესახებაც. მათი აზრი დგინდება კონკრეტული დაკვირვებადი ოპერაციების მეშვეობით, რომლებსაც გულისხმობს ამ ცნებათა მოხმარება. ამრიგად, ბრიჯმენის აზრით, ცნების მნიშვნელობის განსაზღვრა ნიშნავს იმ კონკრეტულ ოპერაციათა სიმრავლეზე მითითებას რომლებიც მისი მოხმარებისას იჩენს თავს[59]. თუ ცნება ოპერაციონულ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, იგი ემპირიულ მნიშვნელობას მოკლებულია და მეცნიერების სფეროს არ ეკუთვნის. აზრსმოკლებულია, მაგალითად, სივრცის უსასრულობის ცნება, რადგანაც მისი მოხმარება მოითხოვდა შეუძლებელს — უსასრულო ოპერაციების შესრულებას. ასეთი აზრსმოკლებული ცნებები ფიზიკიდან უნდა განიდევნოს. მეორე მხრივ კი, რადგანაც ცნება იგივეა, რაც ოპერაციონული დეფინიცია, სხვადასხვა ცნებად უნდა ჩავთვალოთ ერთი ტერმინით აღნიშნული სხვადასხვა ოპერაციები (ოთახის სიგრძე სხვა ოპერაციებით განისაზღვრება, ვიდრე ის მანძილი, რომელზეც სინათლის სიჩქარის გაზომვისას ვმსჯელობთ).

ცნების მნიშვნელობის ოპერაციონული დადგენის ეს ძირითადი დებულება აიტაცეს ბრიჯმენის წიგნიდან სხვა ავტორებმა, რომელთაც ოპერაციონისტული დასრულებული თეორია შექმნეს. თვითონ ბრიჯმენის შეხედულებები კი ასეთი არ იყო, რაც უფრო აშკარად გამოვლინდა მის შემდეგ ნაწერებში[60]. „თანამედროვე ფიზიკის ლოგიკაში" და შემდეგაც ბრიჯმენი იცავს ისეთ დებულებებს, რომლებსაც ებრძვიან თანამიმდევარი ოპერაციონისტები: 1) უშვებს ისეთი ცნებების არსებობასაც, რომლებიც ოპერაციონალურად არ განისაზღვრებიან; 2) ოპერაციონული დეფინიციის როლს ამოწურავს ცნების მნიშვნე-

---

[59] Bridgman, The Logik... pp. 5 ff.

[60] P. W. Bridgman, The Nature of Physical Theory, NY, 1936; აგრეთვე The Intelligent Individual and Society, NY, 1938.

ლობის ამოცნობით, ცნების მნიშვნელობის შექმნისათვის კი ამ მეთოდს არ მოიხმარს; 3) უშვებს ოპერაციული დეფინიციის მიღმა არსებულ რეალურ საგნებს, რითაც არსებითად ღალატობს ოპერაციონისტული ემპირიზმის ძირითად დოქტრინას; 4) იცავს აშკარა სოლიპსიზმს, რის გამოც მისი დებულება მეცნიერების მეთოდოლოგიურ წანამძღვრად ვერ გამოდგება: მისი აზრით, დაკვირვებადი ოპერაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ცნების მნიშვნელობას, სრულიად ინდივიდუალური ხასიათისაა, მიუწვდომელია მეორე დამკვირვებლისათვის. რადგანაც სამართლიანია ლოგიკური პოზიტივიზმისა და თანამიმდევარი ოპერაციონისტების მოთხოვნა, რომ მეცნიერების წინადადებები ინტერ-სუბიექტური ძალის მქონე, საყოველთაო (Public), ანუ კომუნიკაბელური უნდა იყოს, ცხადია, ბრიჯმენის შეხედულება ერთიანი ოპერაციონისტული ფილოსოფიური თეორიის სახელს ვერ იმსახურებს. ამის გამო იყო, ბრიჯმენის კრიტიკოსები რომ მიუთითებდნენ. როგორც კი ბრიჯმენის გემი ფიზიკიდან ეპისტემოლოგიის უცნობ ზღვაში გავიდა, მან საპე დაკარგაო[61].

სრული ოპერაციონისტული თეორია ბრიჯმენის „ლოგიკის" გაცლენით და მის შემდეგ გაფორმდა ფსიქოლოგიაში მომუშავე ავტორთა მიერ. თანამიმდევარი ოპერაციონისტური თეორია შექმნა სტივენსმა. ასეთსავე ოპერაციონიზმს იცავენ ტოლმენიც და სკინერიც (მაშინ როცა პრატისა და ბორინგის თეორიები, როგორც ცნობილია, ოპერაციონიზმისაგან ზოგიერთ განსვლას შეიცავენ).

ოპერაციონიზმი ახლო დგას ისეთ თეორიებთან, როგორიცაა პოზიტივიზმი, პრაგმატიზმი (ინსტრუმენტალიზმი) და ლოგიკური პოზიტივიზმი. მაგრამ მათგან არსებითად განსხვავებულიცაა. პოზიტივიზმის ძირითადი დებულება შემეცნებაში ცდის ტრანსცენდენტურის უაზროდ გამოცხადების შესახებ ოპერაციონიზმისათვისაც ამოსავალს წარმოადგენს, ოღონდ იმ განსხვავებით რომ ეს მხოლოდ ემპირიულ წინადადებებს შეეხება და არ ვრცელდება ფორმალურ წინადადებებზე, რომლებიც ოპერაციონიზმს (ისევე, როგორც ლოგიკურ პოზიტივიზმს) ცდისაგან აბსტრაქციის ნიადაგზე აქვს გამოყოფილი (იხ. თავში ლოგიკური პოზიტივიზმის შესახებ და ქვემოთაც.). მართალია, გარკვეული. თვალსაზრისით ოპერაციონიზმი ებრძვის პრაგმატიზმს, ცდილობს დაძლიოს მისი სუბიექტივიზმი, და ავითარებს განსხვავებულ შეხედულებას რაციონალური მხარის შესახებ, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ინსტრუმენტალიზმის თავისებურ სახეობას წარმოადგენს: აზროვნების ემპირიული მხარის არსს ოპერაციონიზმი არსებითად მის მოხმარებითს ხასიათში ხედავს. იგი არსებითად უკავშირდება ლოგი-

---

[61] S. S. Stevens, Psychology and the Science of Science, Psychological Bull., 1936; 36.

კურ პოზიტივიზმს. მათ შორის პრინციპული განსხვავება უმთავრესად შეიძლება მხოლოდ საწყისი. ამოსავალი ცდის განსხვავებულ გაგებაში დავინახოთ.

განვიხილოთ სტივენსის ოპერაციონისტული თეორია. სტივენსი ამოდის ენის ლოგიკური პოზიტივისტური ანალიზიდან და განასხვავებს განხილვის ორ სახეს: ფორმალურს (რაციონალურს) და ემპირიულს. ფორმალური წინადადებების (მტკიცებების) შესწავლასთან საქმე აქვს ენას, მათემატიკას და ლოგიკას, რომლებიც მეცნიერების ფილოსოფიას შეადგენენ. ემპირიული წინადადებები კი მეცნიერების სფეროა. მეცნიერების ფილოსოფია და მეცნიერება ერთ საერთო მიზანს ემსახურება. პირველი აღმოაჩენს მეცნიერების მიერ მოხმარებული ენის წესებს და მათი დარღვევის ფაქტს (ამდენად ფილოსოფია მხოლოდ კრიტიციზმია), მეორე კი ფორმალური სიმბოლოების მოდელს მიუყენებს დაკვირვებადს სამყაროს[62].

სტივენსი ოპერაციონიზმისა და ლოგიკური პოზიტივიზმის ერთობლივი მუშაობის მინაღწევად თვლის მეცნიერებას მეცნიერების შესახებ, იმ სტრუქტურით, როგორსაც იგი იღებს მორისის სემიოტიკაში. სემიოტიკა არის ნიშანთა (signs) შესახებ ზოგადი მეცნიერება და, რადგანაც იგი შეისწავლის ენის არა მხოლოდ ფორმალურ სტრუქტურას, არამედ მის კავშირსაც მის მიერ აღნიშნულ ობიექტებთან. ამიტომ სემიოტიკა თვითონ მეცნიერებასაც სწავლობს. მეცნიერებათა მეცნიერებას ანუ სემიოტიკას სამი განზომილება შეადგენს: 1. სინტაქტიკა, რომელიც ნიშანის ნიშანთან კავშირს სწავლობს (ლოგიკა, მათემატიკა, სინტაქსი); 2. სემანტიკა, რომელიც სწავლობს ნიშანთა მიმართებას ობიექტთან და 3. პრაგმატიკა, რომელიც იკვლევს ნიშნის დამოკიდებულებას მის მომხმარებელთან (მეცნიერთან). სინტაქტიკა ნიშანთა შორის მიმართებებს სწავლობს და ეს მიმართებები აბსტრაჰირებულია ნიშნის მიმართებებისაგან ობიექტთან და მომხმარებელთან. ამიტომ სინტაქტიკის წინადადებები ემპირიულ მნიშვნელობას არ შეიცავენ და უაზრობაა მათი ემპირიული კრიტერიუმის შესახებ კითხვის დაყენებაც.

სემანტიკა იკვლევს ნიშანთა მიმართებას ნიშნით აღნიშნულ ობიექტთან. სემანტიკის წესები კონვენციონალური ბუნებისაა, ისინი დამოკიდებულია ჩვენს შეთანხმებაზე და გამოყენებულია როგორც ძოდელი ობიექტის აღსაწერად, თავისთავად ეს წესები აბსტრაჰირებულია თვითონ ობიექტისაგან და ამდენად ემპირიულ წინადადებებს არ წარმოადგენენ. ეს წესები შეიძლება დაირღვეს ან არ დაირღვეს, მაგრამ ისინი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, რადგანაც მათი ემპირიულად შემოწმებადობა უაზროა. წინადადების ჭეშმარიტობა-მცდარობაზე

---

[62] Stevens, Psychol. a. Sci of Sci.

მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენ ასეთ წესებს ემპირიულ მსჯელობაში გამოვიყენებთ. კარნაპის მაგალითი რომ მოვიშველიოთ, სემანტიკის წესები ჭადრაკში ფიგურების სვლათა აღნიშვნის აშკარად კონვენციონალური წესების ბუნებისაა. შეთანხმების ნიადაგზე (ე. ი. ლოგიკურად საკუთარი ნებისმიერად, თვითნებურად) ჩვენ შემოგვაქვს აღნიშვნები დაფის ვერტიკალებისათვის, ჰორიზონტალებისათვის და ფიგურებისათვის, რითაც ფიგურის მდგომარეობის კოორდინატებისა და სვლის აღნიშვნას ვახდენთ. გამოთქმა mc4—c5 სემანტიკურ წესს აკმაყოფილებს, მაგრამ თავისთავად ემპირიულ შემოწმებას არ ექვემდებარება, ხოლო გამოთქმა mc4—d5 სემანტიკური წესის დარღვევაა და იგი შეუძლებელია ემპირიულად იქნეს შემოწმებული. ემპირიულად შემოწმებადია მხოლოდ ისეთი გამოთქმა, რომელიც ემპირიულ ფაქტს შეეხება—„მართლა განხორციელდა თუ არა სვლა mc4—e5“. ემპირიული შემოწმება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დარღვეული არაა სემანტიკის წესები. (უაზრობაა ვიკითხოთ მართლა განხორციელდა თუ არა სვლა mc4—d5, რადგანაც ამ გამოთქმაში დარღვეულია სემანტიკის კონვენციონალური წესი.). ოპერაციონიზმისა და ლოგიკური პოზიტივიზმისაგან განსხვავებით პოზიტივიზმი ვერ ხედავდა ასეთ არაემპირიულ ცოდნას და უკანონოდ მოითხოვდა ყველაფრის დაყვანას ცდაზე[63].

პრაგმატიკა სწავლობს ნიშნის მიმართებას მის მომხმარებელთან. აქ იგულისხმება მეცნიერის მოღვაწეობის სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვაგვარი შესწავლა. იგი დაადგენს, რომ შემეცნებას ინსტრუმენტალური ხასიათი აქვს.

ამ გზით, ფიქრობს სტივენსი, მიღწეულია რაციონალური და ემპირიული ელემენტების გასაგები კავშირი, რომელიც ნიშნის ობიექტთან მიმართების გაგებას ეყრდნობა და არა კანტისეულ ნაძალადევად შექმნილ -აპრიორული სინთეზური მსჯელობის ცნებას[64].

რა განსაზღვრავს ტერმინთა (ცნებათა) და წინადადებათა ემპირიულ მნიშვნელობას, რა არის მათი ჭეშმარიტობის (და, შესატყვისად, მცდარობის) კრიტერიუმი? ამ პუნქტში სტივენსის აზრი არსებითად განსხვავდება ლოგიკური პოზიტივიზმის შეხედულებისაგან (მართალია, სტივენსი მიუთითებს კარნაპის შეხედულებათა ოპერაციონიზმის მი-

---

[63] იქვე; ის. აგრეთვე: С. С. Стивенс. Математика, измерение и психофизика, წიგნში—Экспериментальная психология (редакт. С. С. Стивенс). М., 1960.

[64] Stevens, Psychology a. the Science of Science. ეს კანტის პრობლემის უკუგდებაა და არა ახალი გადაჭრა: ნიშნის და ობიექტის მიმართების დაკავშირების ნიადაგზე მიღებული მსჯელობა, როგორც მისი შემდგომი დახასიათებიდან ჩანს, არ ფლობს აპრიორული მსჯელობის აუცილებლობის ხასიათს, რის გამოც, ცხადია, არ წარმოადგენს პასუხს კანტის მიერ დასმულ კითხვაზე.

მართულებით შეცვლის შესახებ, მაგრამ ლოგიკური პოზიტივიზმის არსის შესახებ მსჯელობის დროს ამ გარემოებას, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა არა აქვს და შეეხება მხოლოდ თვითონ კარნაპის როგორც მოაზროვნის მეცნიერულ ბიოგრაფიას). ტერმინებს და მათგან შედგენილ წინადადებებს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა (Meaning), როცა მათი ჭეშმარიტობა შესაძლებელია დადასტურდეს კონკრეტულად შესრულებადი ოპერაციების მეშვეობით, ამ გარკვეული აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრება მისი მოხმარების ოპერაციების მეშვეობით ხერხდება. ტერმინთა მნიშვნელობის ოპერაციონული განსაზღვრების დებულება არა მარტო იმას ამტკიცებს (როგორც ეს იყო ბრიჯმენთან), რომ ოპერაციონულად სდება მეცნიერებაში მოხმარებული ტერმინის მნიშვნელობის გამოაშკარავება. არამედ იმასაც, რომ ოპერაციონულადვე სრულდება ტერმინის მნიშვნელობის თავდაპირველი დადგენაც (და ყოველგვარი განზოგადება). ამრიგად, საწყისი ევიდენტური ცდა, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ემპირიული ცოდნა, არის არა ლოგიკურ-პოზიტივისტურად გაგებული პროტოკოლი, არამედ დაკვირვებადი ოპერაციები[65].

ოპერაციონული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ტერმინთა და წინადადებათა მიყენებას ობიექტებისადმი, არამედ, გარკვეული აზრით, თვითონ სემანტიკის წესებსაც: ისინი ისეთი ხასიათისანი უნდა იყონ, რომ საშუალებას იძლეოდნენ მათ მიერ კონვენციონალურად დადგენილი ტერმინების ოპერაციონული მიყენებისა ობიექტებისადმი და მოვლენებისადმი. ამრიგად, სემანტიკის წესებიც ოპერაციონალურ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ, თუ მათ სურთ მეცნიერების ენის გამსაზღვრელი წესები იყვნენ, და ამ მხრივ ისინი უკვე აღარ არიან კონვენციონალური ხასიათისა[66].

როგორია, სტივენსის აზრით, ის ძირითადი ოპერაცია, რომელიც ტერმინთა და მსჯელობათა შექმნის საწყისს იძლევა? ასეთი ოპერაციაა დისკრიმინაციის ოპერაცია. ასეთ საფუძვლად უშუალო ცდას (immediate experience) მიიჩნევდნენ (რაც გამოთქმულია წინადადებით: „მე ვხედავ წითელ ფერს“, ან, ლოგიკური პოზიტივისტების შესწორების შემდეგ. სიტყვებით: „წითელი ფერი ახლა აქ“). მაგრამ უშუალო ცდის ანალიზის გზით სტივენსი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ელემენტარული დისკრიმინაციის პროცედურასთან გვაქვს საქმე. გამოთქმა, „მე ვხედავ წითელ ფერს“, რამდენადაც იგი განმეორებადია, ინტერსუბიექტურია, საყოველთაო, ანუ კომუნიკაბელურია, ე. ი. რამდენადაც იგი მეცნიერების წინადადებას შეადგენს, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ წითელი ფერის მიმართ ჩვენ გვაქვს გან-

---

[65] Stevens, Psychol. a. Sci. of Sci.

[66] Стивенс, Математика, измерение и психофизика, стр. 22.

სხვავებული რეაქცია, ვიდრე სხვა ფერის, ან საერთოდ სხვა რამის მიმართ. ელემენტარული დისკრიმინაციის ეს ოპერაცია საფუძველმდებელია, რადგანაც ურთულესი ოპერაციებიც კი აქამდე უნდა იქნას დაყვანილი, რათა ინტერსუბიექტურ თანხმობას მივაღწიოთ. დისკრიმინაციის წინასწარ მოცემულობა მოითხოვება თვით აღნიშვნის (Denoting) ოპერაციისათვისაც[67].

როგორი ფსიქოლოგიისათვის ქმნის საფუძველს ოპერაციონიზმი? ასეთი ფსიქოლოგიის შექმნა სტივენსმა თვითონვე სცადა(ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საერთოდ ფსიქოლოგია და არა მხოლოდ ისეთი ფსიქოლოგია, რომელიც ივულისხმება პრაგმატიკაში როგორც პროპედევტიკა). სტივენსის შემეცნების თეორიის ოპერაციონისტული თეზისი უკვე შეიცავს არსებით პასუხს ამ კითხვაზე. დაკვირვებადი, განმეორებადი და ინტერსუბიექტური ხასიათისა შესაძლებელია იყოს მხოლოდ დისკრიმინაციის ოპერაციები. სტივენსის აზრით, ესაა ორგანიზმის კონკრეტული დიფერენციალური რეაქციები შინაგან თუ გარეგან სტიმულებზე. ეს, ცხადია, ქცევის ბიჰევიორისტული მოდელია, თუმცა აქ ერთი შენიშვნაა აუცილებელი. სტივენსი თვითონ მიუთითებს, რომ მისი ოპერაციონიზმი არაა ბიჰევიორიზმი. მაგრამ აქ მას მსედველობაში აქვს უოტსონის რადიკალური ბიჰევიორიზმი, ბიჰევიორიზმის სხვაგვარ თეორიას კი, რომელიც, ტოლმენის მიზნობრივი ბიჰევიორიზმივით, ანგარიშს გაუწევდა ფსიქიკური სამყაროს თავისებურებას და მრავალფეროვნებას, სტივენსი იცავს („ოპერაციონისტული ბიჰევიორიზმი"). რაშია ოპერაციონისტული ბიჰევიორიზმის არსი? სტივენსი როდი უარყოფს ისეთ სულიერ ფენომენებს, როგორიცაა „ხატი" (Image), და უშუალო ცდის შესაბამის შინაარსს. იგი ებრძვის ფიზიკალიზმსაც, რომელიც აშკარად ფსიქოლოგიის გაუქმებისაკენ იყო მიმართული, რადგანაც ფიზიკური მოვლენის შესწავლა არ ნიშნავს ფსიქიკის შესწავლას. მაგრამ ამავე დროს იგი ემხრობა ისეთ ფიზიკალიზმს, რომელიც მხოლოდ იმას ამბობს, რომ ფსიქოლოგს, მართალია, შეუძლია აწარმოოს ყველა აზრიანი ფსიქოლოგიური მტკიცება, მაგრამ ისინი უკლებლივ დაყვანადი არიან ფიზიკალურ ინტერსუბიექტურ წინადადებებზე (კარნაპი). ასეთ ინტერსუბიექტურ წინადადებებს კი, სტივენის აზრით, წარმოადგენს წინადადებები, რომლებიც საყოველთაო, კომუნიკაბელურ კონკრეტულ ოპერაციებზე დაიყვანება. ეს ოპერაციებია ორგანიზმის კონკრეტული დიფერენციალური რეაქციები, რომელთაგანაც ფუნდამენტალურია დისკრიმინაციის რეაქცია სტიმულთა პასუხად. ამრიგად, სტივენსი ადგილს ტოვებს ცნობიერი ფენომენებისათვის, მაგრამ ფსი-

---

[67] S. S. Stevens, The Operational Definition of Psychological Concepts, Psychological Rev., 1935, 42; აგერთვე: Stevens, Psychol. a. Sci. of Sci.

ქოლოგიის მეცნიერული ენის საზღვრებს შიგნით მათ არ უშვებს (ასევე ექცევა იგი ხელოვნებისა და რელიგიის ფენომენებსაც)[68], ეს კი აშკარა ეპიფენომენალიზმი და ბიჰევიორიზმია. ფსიქოლოგიის მეცნიერების საკვლევ ობიექტს, ამ შეხედულებით, წარმოადგენს სტიმულისა და რეაქციის ფუნქციონალური ურთიერთობა. ფსიქოლოგია, ფსიქოფიზიოლოგიის მსგავსად, ერთადერთი ამოცანის წინაშე დგას — ესაა სტიმულის განსაზღვრის ამოცანა. სტიმულში უნდა ვიგულისხმოთ ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი გარემოს ცვლილებები, რომლის დროსაც ორგანიზმის პასუხი ინვარიანტული რჩება. თუ გვეცოდინება ამ ინვარიანტულობის ყველა სპეციფიკური პირობა, სრულად გვექნება მოცემული ორგანიზმის რეაქციების გამომწვევი და შემცვლელი ფაქტორები[69].

ოპერაციონიზმის ნიადაგზე ფსიქოლოგიის პრობლემებს ბიჰევიორისტულად წყვეტდნენ აგრეთვე ტოლმენი, სკინერი, ბორინგი და სხვები. მათი ფსიქოლოგიური თეორიები „ნეობიჰევიორისტული" ფსიქოლოგიის სახელითაა ცნობილი. ამ ზედსართავით ისაა აღნიშნული, რომ რადიკალური ბიჰევიორიზმის წინააღმდეგ მათ სცადეს ფსიქიკურის თავისებურების მხედველობაში მიღება და ფსიქიკური მოვლენების მრავალფეროვნების შემეცნება.

ბიჰევიორიზმის ფარგლებში ამის შესაძლებლობას ისინი ოპერაციონისტულ საფუძველზე ასაბუთებენ. სკინერის თეორია, მართალია, ოპერაციონისტულია, მაგრამ რადიკალური ბიჰევიორიზმის დაცვას უფრო ესწრაფის. სკინერის აზრით, ფსიქოლოგია შეისწავლის იმ ოპერაციებს, რომლებიც ორგანიზმის საწყის და საბოლოო მდგომარეობას შორის არიან ჩართული. ორგანიზმის ძირითადი მოქმედება, ახალი ქცევის ათვისება ხორციელდება პირობითი რეფლექსის მექანიზმით, ოღონდ ეს პროცესი (Conditioning) ოპერაციონისტულად უნდა იქნეს გაგებული[70].

ოპერაციონისტულ ნიადაგზე შექმნილი სხვა ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური თეორიებისათვის (სტივენსი, ტოლმენი, ბორინგი და სხვ.) დამახასიათებელია იმის ცდა, რომ ფიზიკალიზმის ისეთი თავისებური გაგება განავითარონ, რომელიც ფსიქოლოგიას ფიზიკურ მეცნიერებათაგან მაინც განასხვავებდა და, ამავე დროს, რაც შეიძლება ფართოდ მოიცავდა ისეთ რეალურ ფსიქიკურ ფაქტებს, როგორიცაა მიზანი, მოთხოვნილება, აღქმა, აზროვნება, რომელთა სპეციფიკას შეუძ-

---

[68] Stevens, Psychol. a. Sci. of Sci.

[69] Стивенс, Математика..., стр. 63—64.

[70] B. F. Skinner, The Behavior of Organisms, 1938; აგრეთვე: B. F. Skinner, The Concept of the Reflex in the Description of Behavior, Journ. of Gener. Psychol., 1931, 5.

ლებელია მიწვდეს უხეში ფიზიკალიზმი. ეს მეცნიერული პროგრესი იყო, რომელიც უდავოდ უნდა მოყოლოდა უოტსონისეული „რადიკალური ბიჰევიორიზმის“ კრიტიკულ განხილვას.

განვიხილოთ ტოლმენის ოპერაციონისტული ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური თეორია. ტოლმენი ეყრდნობა ბრიჯმენის ოპერაციონიზმს და სტივენსთან ერთად იცავს დებულებას, რომ ტერმინს და გამოთქმას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი შემოწმებადია კონკრეტულად შესრულებადი ოპერაციებით. ეს ფილოსოფიური თვალსაზრისია გატარებული მის წიგნში ,სადაც იგი ებრძვის რადიკალურ ფიზიკალისტურ ბიჰევიორიზმს და ავითარებს ახალ ფსიქოლოგიურ თეორიას, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა გამოსელისთანავე[71]. ეს თეორია ცნობილია „მიზნობრივი ბიჰევიორიზმისა“ და „მოლარული ბიჰევიორიზმის“ სახელებით. იგი შეიცავს ქცევის დესკრიფციულ და ახსნითს თეორიებს. ტოლმენი აკრიტიკებს უოტსონს მისი უხეში ფიზიკალიზმისა და მოლეკულარიზმის (ატომიზმის) გამო. უოტსონის აზრით, ქცევა თავისი კომპონენტებითა და სტრუქტურით ბოლომდე დაიყვანება ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ მოვლენებამდე. სტიმულ-რეაქციის მოდელში სტიმული წმინდა ფიზიკურია, გაღიზიანება და რეაქცია კი ფიზიოლოგიურ ნერვულ და კუნთურ პროცესებადაა გაგებული. ტოლმენი სწორად მიუთითებს, რომ ამ გზით შეუძლებელია ქცევის თავისებურებები გავიგოთ და რომ თვითონ უოტსონიც ღალატობდა ამ გზას როცა ამას აუცილებლად მოითხოვდა კვლევის ინტერესები (სოციალური რთული გამღიზიანებლის აღსანიშნავად უოტსონს შემოაქვს ტერმინები „სიტუაცია“, „შეგუება“, რომლებიც ქცევის ისეთ თვისებებს გულისხმობს, რაც წმინდა ფიზიკურ-ფიზიოლოგიური ტერმინებით ვერ განიმარტება. ემოციების შესახებ უოტსონი ამბობს, რომ ისინი მანამდეც კარგად შეიძლება შევისწავლოთ, სანამ მათ საფუძვლად მდებარე ფიზიოლოგიური პროცესები მიგვიკვლევიაო)[72]. ტოლმენის აზრით, ქცევის დესკრიფცია ფიზიოლოგიური მოლეკულარული მოვლენების შესწავლისაგან დამოუკიდებლად უნდა ხდებოდეს, რადგანაც ქცევა როგორც ქცევა თავის, საკუთარ თვისებებს ფლობს. ქცევას ფიზიოლოგიური პროცესები უდევს საფუძვლად, მაგრამ დესკრიფციულად და თავისთავად იგი ამ პროცესებისაგან განსხვავდება. ტოლმენს აქ მხედველობაში აქვს ქცევის როგორც მთლიანის თავისებურება[73]. მთლიანობითი თვალსაზრისი არც ფიზიოლოგიისათვის არის უცხო

---

[71] E. C. Tolman, Purposive Behavior in Animals and Men, NY, 1932; E. C. Tolman. The Intervening Variable, ციტ. კრებულიდან „Psychiological Theory“ [ed. by M. Marx], NY, 1958, p. 87.

[72] Purposive Beh., pp. 4—76.

[73] იქვე, გვ. 7—8.

(გეშტალტთეორიის შეხედულება. ლეშლის მაშინდელი თვალსაზრისი, დღევანდელი ფიზიოლოგიური თეორია), და, ამდენად, ტოლმენის კრიტიკა თითქოს საფუძველს მოკლებულია. მაგრამ სინამდვილეში ფიზიოლოგიური მთლიანობა ქცევის მთლიანობასთან შედარებით მაინც დაბალი რანგის (შედარებით მოლეკულარული) მთლიანობაა, ამიტომ ფიზიოლოგიისა და ქცევისმეცნიერების ამგვარი გამიჯვნა დადებითად უნდა შეფასდეს და სწორი იქნებოდა, ტოლმენისათვის გზა რომ არ ყოფილიყო მოკრილი ქცევის ისეთი გაგებისათვის, რომელიც ნამდვილად მაღლდება ფიზიოლოგიურს და ბიოლოგიურს ზევით.

დისკრიფციულად ქცევას ტოლმენი ასე ახასიათებს: ქცევა მთლიანი ორგანიზმის მოქმედებაა, იგი გარემოსთან ორგანიზმის ურთიერთობას წარმოადგენს, გარემოს ქცევით პასუხობს მთელი ორგანიზმი და არა მისი სენსორული თუ მოტორული ნაწილი. ქცევას როგორც მთლიანს ახასიათებს გონიერობა, „გამგებიანობა" (Docility), რის გამოც ქცევა ყოველთვის მიზნობრივია (მიზნის ობიექტისაკენ სწრაფვას თუ მისგან ლტოლვას გვიჩვენებს) და შემეცნებითია. არ არსებობს (თვითონ ცხოველებშიც) არამიზნობრივი და არაშემეცნებითი ქცევა, რადგანაც ქცევის კრიტერიუმი ეს ორი თვისებაა (ქცევა ამ ტერმინებით განიმარტება)[74].

ქცევის მთლიან პროცესს ტოლმენი ასე წარმოგვიდგენს: ქცევის საწყისი მიზეზებია 1) გარემოს გამღიზიანებლები და 2) ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობა. მაგრამ ისინი უშუალოდ კი არ იწვევენ ქცევის საბოლოო შედეგს, არამედ არსებობს ქცევის დეტერმინანტთა მთელი ჯგუფი, რომელთა მეშვეობითაც საწყისი მიზეზები იწვევენ ქცევის შედეგს. ქცევის დეტერმინანტებია: 1) ქცევისათვის იმანენტური, უშუალოდ „შიგმდებარე" დეტერმინანტები — მიზნები და შემეცნებები (Cognitions), 2) ამ იმანენტური დეტერმინანტების გამმეშვეველი მიზნობრივი და შემმეცნებელი უნარები (Capacities) ინდივიდისა, 3) ქცევის-კორექტირებები (Behavior — adjustments), რომლებშიც იგულისხმება ცნობიერი, შეგნებული (aware) განხილვა მიზნისა და საშუალებებისა. ქცევის—კორექტირება როგორც დეტერმინანტი გამოწვეულია იმანენტური დეტერმინანტების მიერ, აქტუალური ქცევის შემცვლელად. მაგრამ შემდეგ იგი თვითონ უკუმოქმედებს ამ იმანენტურ დეტერმინანტებზე და ახდენს მათს კორექციას (მაგ., მიზნის, თუ საშუალების მოდიფიკაციას უკეთესისაკენ), რომ ამ გზით გამოწვეულ იქნას აქტუალური ქცევა და მისი შედეგი.

როგორც აქედან ჩანს, ტოლმენი ცდილობს ქცევათა მთელი მრავალსახეობა მოიცვას თავისი თეორიით. აქ არაა გამორჩენილი არც მი-

---

[74] Purposive Behav..., pp. 10 ff.

ზანი და არც ცნობიერი, შეგნებული ქცევა. მაგრამ ყველა ეს ტერმინი გაგებულია როგორც ობიექტური ფუნქციებით განსაზღვრებადნი. მაგ. აზრს აძლევს არა ინტროსპექციული დახასიათება (ტოლმენი გადაჭრით უარყოფს ცნობიერებას როგორც ფსიქოლოგიის საგანს), არამედ ობიექტური ოპერაციები. მიზანი (მოთხოვნილება), შემეცნება, ცნობიერების (შეგნების) მიერ ქცევის კორექტირება და ყველა „სულიერი" ტერმინი, რომელთაც ტოლმენი მოიხმარს, სრულიად და მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურადაა განსაზღვრული, ცნობიერებაზე და ინტროსპექციის მეთოდზე რაიმე მითითების გამორიცხვით. მაგალითად, გამგებიანობა (Docility) განმარტებულია როგორც ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ქცევის როგორც მოლარულის ისეთ ხასიათს, რაც გამოიხატება ისეთი ობიექტურად დაკვირვებადი ფაქტით, რომ თუ მოცემული ქცევის აქტი მოცემულ გარემოში წარმატებას ვერ აღწევს (ვერ ეუფლება მიზნის ობიექტს), ცოცხალი არსება შემდგომს ცდებში ისეთ ქცევას ასორციელებს, რაც მას საჭირო მიზნამდე მიიყვანს და ეს ხდება უ მ ო კ ლ ე ს ი და უ ა დ ვ ი ლ ე ს ი გზით (თორნდაიკის ცდებში მითითებული ცდისა და შეცდომის გზა)[75]. მიზანიც (Purpose) ან მოთხოვნილება (Demand) სწორედ ასეთი ობიექტური ფუნქციით განისაზღვრება; მისი კრიტერიუმებია 1) მზადყოფნა—ცდისა და შეცდომის გზით იქნეს მიღწეული რაიმე ობიექტი და 2) ამის შემდეგ „გამგებიანი" (docile) მოქმედების განხორციელება (ე. ი. უმოკლესი და უადვილესი გზით მიღწევა)[76]. თუ რაიმე ქცევა ასეთი ხასიათისაა, მას მიზნობრივს ვეძახით და სრულიად არაფერი მნიშვნელობა აქვს იმას, ცნობიერებაში, თვითდაკვირვებაში მოცემულია თუ არა ეს მიზანი. ანალოგიურადაა განმარტებული შემეცნებაც და ქცევის სხვა დეტერმინანტები (თვითონ შეგნებული კორექტირებაც ქცევისა). ქცევის დეტერმინანტები ისეთი ობიექტური ცვლადებია, რომელთა ცნებას მხოლოდ ის ადგენს, რომ მათს გარეშე საბოლოო ქცევა სხვაგვარია, მათი ცვლით კი იცვლება.

ასეთია ტოლმენის შეხედულება ქცევაზე. როგორ უნდა იქნას გაგებული ე. წ. სულიერი პროცესებისა და სულიერი უნარების ადგილი ქცევაში? ქცევის სქემა შემდეგი სახისაა: $B = f_1(S, P, H, T, A)$. სადაც B აღნიშნავს საბოლოო ქცევას (ქცევის შედეგს), S — გარემოს სტიმულს, P — ფიზიოლოგიურ ლტოლვას (ფიზიოლოგიურ უწონასწორობის წონასწორ მდგომარეობაში მოყვანისადმი სწრაფვას), H—მემკვიდრეობას, T—ძველ ვარჯიშს, A—ინდივიდის სიმწიფის ასაკს[77]. ქცევის შედეგი დამოკიდებული ცვლადია, იგი არის ფუნქცია ამ ხუთი დამოუკიდებელი ცვლადისა. ფსიქოლოგიური (სულიერი) პროცესები კი

[75] Purposive Beh..., pp. 442—443.

[76] იქვე, გვ. 441.

[77] Tolman, The Intervening Variable, pp. 89 ff.

წარმოადგენენ შუამდებარე ცვლადებს (Intervening variables fa, lb... In). ასეთი შუამდებარე ცვლადებია „მოთხოვნილებები", „დისკრიმინანდა" (აღქმის, შეგრძნების გამღიზიანებლის განსხვავებაზე განსხვავებული რეაქციის უნარი). „მანიპულანდა", „უნარები" და სხვ. ისინი ობიექტური პროცესებია. რომელნიც მათი ობიექტური ფუნქციებით განისაზღვრებიან. ასეთნაირად არიან დაკავშირებული ისინი როგორც ქცევის შედეგთან, ისე ჩამოთვლილ ხუთ დამოუკიდებელ ცვლადთან და ერთმანეთთან. მათი გავლენა ქცევის დანარჩენ კომპონენტებზე დგინდება მათი ცვლის შედეგად ამ კომპონენტთა შეცვლით. ასეთივეა მათი ერთმანეთისაგან და დამოუკიდებელ ცვლადთაგან დამოკიდებულების კანონების დადგენის გზაც. საინტერესოა, რომ ტოლმენი თვითონ ინტროსპექციასაც აძლევს მნიშვნელობას, მაგრამ როგორც ერთ-ერთ სოციალურ ქცევას, რომელიც სწორედ ასევე ოპერაციონისტულადაა განსაზღვრებადი[78].

ტოლმენის „შუამდებარი ცვლადები" (ფსიქიკური მოვლენები და უნარები) ბოლომდე დაიყვანება ემპირიულად დაკვირვებადს ოპერაციებამდე, კერძოდ—ექსპერიმენტულ ობიექტურ ოპერაციებამდე, რომლებიც მათს ცნებას ადგენს (ოპერაციებამდე, რომლებიც ადგენენ მათს მიმართებებს კონტროლირებულ დამოუკიდებელ ცვლადებთან და ქცევის შედეგთან)[79]. ჩვენს წინაა ოპერაციონისტულად ხორცშესხმული ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, რომელსაც პრეტენზია აქვს ცნობიერების ცნების უკუგდებით მოიცვას ფსიქიკური სამყაროს მთელი მრავალფეროვნება. ამგვარი ფსიქოლოგიის ნაყოფიერება დავას არ იწვევს, რამდენადაც იგი მიმართულია ფსიქიკურის ისეთი ობიექტური მექანიზმების აღმოჩენისაკენ, რომლებიც ფსიქიკური აზრის მქონე მოვლენებსაც მოიცავს. ასეთი კვლევის დღევანდელ მწვერვალად, როგორც ჩვენ არაერთხელ მივუთითებთ, მართვის ცნებასთან სიცოცხლისა და ფსიქიკის დაკავშირება უნდა ვცნოთ. მაგრამ ნიშნავს ეს თუ არა, რომ ოპერაციონიზმის ფილოსოფიური თვალსაზრისით ბიჰევიორიზმის დაფუძნება მიღწეულია? კერძოდ, დასაბუთებულია თუ არა ტოლმენის ოპერაციონისტული გაგებით ისეთი ფსიქოლოგია, რომელიც უარყოფს ცნო-

---

[78] The Interv. var., pp. 100—101.

[79] რამდენადაც ჰალი (Hull, Principles of Behavior. NY. 1943).—შუამდებარე ცვლადად მიიჩნევს ისეთ მოვლენებსაც, რომელნიც ბოლომდე განმარტებადნი არ არიან ემპირიული ცვლადების მეშვეობით. კანონიერი ჰანა ტერმინოლოგიური მოიხოვნა. ასეთ კონსტრუქციებს „ჰიპოთეტური" ეუწოდოთ და არა „შუამდებარე ცვლადები", რომელიც ტოლმენის ამ გაგების (აგრეთვე სკინერის მიერ შემოტანილი კონსტრუქციების) აღსანიშნავად უნდა იქნეს გამოყენებული (იხ. K. MacCorquodale and P. E. Mehl. On a Distinction between Hypothetical Constructs and Intervening Variables. Psychological Rev., 1948, 55).

ბიერებას, ეყრდნობა ობიექტურ ოპერაციებს და მაინც წვდება ფსიქიკურ პროცესთა არსს? ტოლმენის მიზნობრივი ფსიქოლოგიის თეორიული ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ.

ტოლმენის ფსიქოლოგია უფრო შორსმწვდომია და შედარებით უკეთ ითვალისწინებს ცოცხალი არსების ქცევის ბუნებას, ვიდრე უოტსონის შედარებით „მოლეკულარული", რადიკალური ბიჰევიორიზმი. რის საშუალებით ახერხებს იგი ამას? პირველ რიგში, იმით, რომ ტოლმენი წმინდა ფიზიკალიზმის საზღვრებიდან გადის და ბიოლოგიური სინამდვილის თავისებურებას ცნობს. მართლაც, როცა იგი ქცევას საკუთარ, წმინდა ფიზიკურ (და ასევე ფიზიკურზე დამყარებულ წმინდა ბიზიოლოგიურ) მოვლენებისაგან განსხვავებულ თვისებებს მიაწერს, როგორც მთლიანი ორგანიზმის ქცევას, და ქცევის დამოუკიდებელი დესკრიფციის მეთოდოლოგიურ გზას გვთავაზობს. — ამით უკვე უარყოფილია ქცევის წმინდა ფიზიკური ობიექტური ბუნება, მისი პირდაპირ და უნაშთოდ დაყვანა წმინდა ფიზიკურზე. მაგრამ ტოლმენი არც აქ ჩერდება და უოტსონის ფსიქოლოგიის მეორე მნიშვნელოვან შესწორებასაც მიმართავს, სცდება ბიოლოგიურის ფარგლებსაც და ცნობს ამაზე მაღალი ფენის (ცნობიერების დონის ფსიქიკის) თავისებურებას. მისი „შუამდებარე ცვლადის" ცნების აზრი სწორედ ამაშია (შეიძლება მეტიც ითქვას: თვითონ ბიოლოგიური ტოლმენს ესმის როგორც ბიოფსიქიკური, რამდენადაც მისი დახასიათებისათვის მიზნისა და შემეცნების ტერმინებს მიმართავს). რადიკალური ბიჰევიორიზმის ასეთი შესწორება, ცხადია, საშუალებას იძლევა თვითონ ფსიქიკური იქნას შესწავლილი თავისი ყოველი გამოვლენით. მაგრამ ეს უკვე აღარ იქნებოდა ბიჰევიორიზმი. ამიტომ, ცდილობს რა დარჩეს ბიჰევიორიზმის საზღვრებში, ტოლმენი ბიოლოგიურის და ფსიქიკურის ბიჰევიორისტულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: მართალია, ბიოლოგიური და ფსიქიკური საკუთარ (ფიზიკურზე და ფიზიოლოგიურზე დაუყვანად) თვისებებს ფლობს, მაგრამ ეს თვისებები სრულიად ობიექტური ბუნებისანი არიან და არ გულისხმობენ ცნობიერებას. მათი დეფინიცია ობიექტური ოპერაციებით ხდება. მწვანე ფერის შეგრძნება, მაგალითად, არის არა ამ ფერის ცნობიერება, არამედ შესაბამისი ქარაქტერისტიკის მქონე გამღიზიანებლის გარჩევა სხვა გამღიზიანებლებისაგან, ამიტომ მწვანის შეგრძნების დადგენა და მისი ცნების შემდგომი გამოყენება დისკრიმინაციის ამ პროცესის მეშვეობით ხერხდება. იგი ყოველ სხვაგვარ აზრს მოკლებულია. დისკრიმინაცია კი ობიექტურად მოცემული ოპერაციის ფუნქციაა. თუ, ვთქვათ, ცოცხალი არსება მწვანე ფერზე სხვაგვარად რეაგირებს, ვიდრე წითელზე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ერთმანეთისაგან არჩევს ამ ორ ვამღიზიანებელს. რეაგირება შეიძლება

ვერბალურიც იყოს. ასეთივე ოპერაციონისტული ობიექტური დეფინიციაა შემოტანილი ყველა ტერმინისათვის, რომლებიც ერთი შეხედვით ცნობიერებასთან დაკავშირებული შეიძლება გვეჩვენოს და შეცდომით ინტროსპექციის გზით მიღწევადი გვეგონოს.

როგორც აქედან ჩანს, ტოლმენის ბიჰევიორიზმის კრიტიკული შეფასებისათვის არსებითია საკითხის გარკვევა, შესაძლებელია თუ არა ცნობიერებისა და თვითდაკვირვების გარეშე, ობიექტური ოპერაციების საშუალებით, ეწვდეთ ფსიქიკურის ისეთ აზრს, რომელიც მას განასხვავებს წმინდა ფიზიკური და ფიზიოლოგიური მოვლენებისაგან. ამ კითხვაზე დადებით პასუხს არ წარმოადგენს იმ სწორი დებულების მტკიცება, რომ შესაძლებელი, აუცილებელი და ნაყოფიერია კვლევის ისეთი აბსტრაქტული საფეხური, რომელმაც უნდა დაადგინოს ფსიქიკური საზრისის მქონე ობიექტური პროცესები და თვისებები. ამ საფეხურზე, გარკვეული აზრით, მხოლოდ ობიექტური პროცესების გამოკვლევა ხდება.ფსიქიკურის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, ბიჰევიორისტული-ქცევისმეცნიერული და კიბერნეტიკული გამოკვლევების კანონიერება და უდიდესი მიღწევები შეუძლებელია დღეს დავას იწვევდეს, მაგრამ საკითხი სხვა მხარეს ეხება. გასარკვევია. შესაძლებელია თუ არა ასეთი ობიექტური კვლევის საფუძვლად და მიმართულების მიმცემად არ ვიგულისხმოთ ფსიქიკური, რომელიც ცნობიერებისა და თვითდაკვირვების სფეროს ეკუთვნის. თუ დასაწყისშივე ცნობიერება არ იქნებოდა, სრულიად შეუძლებელი გახდებოდა ყოველი ისეთი ობიექტური ოპერაციის (რეაქციის) გამოყოფა, რომელსაც საკუთარი თვისებები ექნებოდა და სხვა ობიექტური ფიზიკური და ფიზიოლოგიური მოვლენებისაგან. გამოირჩეოდა როგორც ცალკე მეცნიერული დისციპლინის შესასწავლი საგანი. შეგრძნება როგორც დისკრიმინაციის რეაქცია არცერთი ისეთი რეაქციისაგან არ განსხვავდება, რომელსაც კი ორგანიზმი რაიმე ფიზიკური ზემოქმედებისას გვიჩვენებს. მეტიც, ასეთ დისკრიმინაციას ახდენენ ა ნ ო რ გ ა ნ უ ლ ი საგნებიც. სელენი და ზოგიერთი ნივთიერება განსხვავებულად იცვლება განსხვავებული სინათლის გამღიზიანებლის ზემოქმედებით ე. ი. გვიჩვენებს დისკრიმინაციის უნარს, რის გამოც მათთვისაც შეგრძნებები უნდა მიგვეწერა. ან ცოცხალი არსების საკუთარ თვისებებზე (შეგრძნებაზე) უარი გვეთქვა. თუ ეს კანონიერია შეგრძნების შესახებ, სრულიად ნათელია, რომ კანონიერი იქნება ისეთი ცნებების მიმართ, როგორიცაა მიზანი, გაგება, შემეცნება, შეგნებული მოქმედება და სხვა. რომელთა ობიექტურ დეფინიციაზეც მსჯელობს ტოლმენი. მიზანი მომავლის ცნობიერების (მიზანდასახვის) გარეშე კარგავს იმ ნიშანს, რის გამოც მას მიზანი უნდა ვუწოდოთ, რადგანაც ამ შემთხვევაში არაფრით განსხვავდება ისეთი ობიექტურისაგან, რომელსაც მიზნის ნიშანი არ მიეწე-

რება. ასევე ითქმის გაგების, აზროვნების, შეგნების და თვითონ მოთხოვნილების შესახებაც. ეშბიმ, რომელმაც მართვის ცნებით გამოიკვლია მთელი სინამდვილე, სტაბილობის ნიშნით დაახასიათა როგორც არაორგანული, ისე ცოცხალი და ფსიქიკისმქონე დახშული სისტემები. თუ მოთხოვნილებას ობიექტურ მოქმედებად ჩავთვლით და ცნობიერების ნიშანს ჩამოვაცილებთ, მაშინ იგი წონასწორობისაკენ სწრაფვად უნდა გავიგოთ, მაგრამ ასეთი სტაბილობა ერთნაირად ახასიათებს როგორც ადამიანს ,ისე ანორგანული ბუნების საგნებს, რომელნიც კი რაიმე ასპექტით უცვლელობას ინარჩუნებენ.

ცნობიერების გარეშე ობიექტური პროცესები კარგავენ ფსიქიკურ საზრისს. ამიტომ უოტსონიც და, მით უმეტეს, ტოლმენიც, ისევე როგორც ყოველი ბიჰევიორისტი, ფსიქიკური საზრისის მქონე ობიექტური მოვლენებისა და თვისებების შესწავლას მხოლოდ იმის გამო ახერხებენ, რომ ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მხედველობაში იღებენ ცნობიერებისა და თვითდაკვირვების საფუძველს. თავის თეორიაში კი ისინი ამას უარყოფენ. რაც უფრო მეტადაა ფაქტიურად გათვალისწინებული ეს საფუძველი (მაგ. ტოლმენთან, უოტსონის საპირისპიროდ), მით უფრო ნაყოფიერია კვლევა. რადიკალური ბიჰევიორიზმის დაძლევა, ფსიქიკური საზრისის მხედველობაში მიღება, პროგრესს წარმოადგენდა, საშუალებას იძლეოდა უფრო ნაყოფიერი კვლევისათვის. მაგრამ ბიჰევიორიზმის თეორია უარყოფს ფსიქიკური საზრისის შემეცნების მეთოდოლოგიურ გზას და ამაშია მისი შეცდომა. ბიჰევიორიზმის ამ თეორიულ პრინციპს ვერ ასაბუთებს ოპერაციონისტული მეთოდოლოგიური თვალსაზრისი, რომელსაც ეყრდნობიან ტოლმენი და სხვა ბიჰევიორისტები. ობიექტური ოპერაციებით მხოლოდ ობიექტური მოვლენების გამომჟღავნებაა შესაძლებელი.

ობიექტურად შესრულებადი ოპერაციის ცნება არსებითადაა დაკავშირებული ოპერაციონიზმთან. ცნობიერება თავისთავად შეუძლებელია ოპერაციად იქნეს გაგებული. ამიტომ ოპერაციონიზმს შეუძლია მხოლოდ ობიექტური დეფინიციები ჰქონდეს ყველაფრისათვის და შინაგანი წინააღმდეგობა იქნებოდა ისეთი ოპერაციონიზმის დაშვება, რომელიც ფსიქიკურის როგორც არაობიექტურის, ცნობიერის ოპერაციებზე ილაპარაკებდა. მაგრამ ამავე დროს ოპერაციონიზმის „შუამდებარე ცვლადი" ისეთი კონსტრუქციაა, რომელიც მხოლოდ რადიკალური ბიჰევიორიზმის საწინააღმდეგოდ იქნა შემოტანილი, რათა მოეცვა ცნობიერი საზრისის მქონე მოვლენები. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ოპერაციონისტული ბიჰევიორიზმი შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. საინტერესოა, რომ ამაზევე მიუთითებენ ე. წ. სუბიექტური ბიჰევიორისტებიც. ისინი ცნობენ ხატს როგორც ცნობიერ ასახვას, რომელიც შედის მათ მიერ შემოტანილი თავისებური ცნების — „გეგმის"

შინაარსშიც. მიუთითებენ რა, რომ „უამისოდ შეუძლებელია ქცევის აზრის გაგება", ისინი ოპერაციონისტული ინტერპრეტაციის ცდის ამაოებასაც აჩვენებენ: „ჩვენ შეგვეძლო ჩვენი გეგმები აღვვენიშნა ოპერაციონიზმისათვის მისაღები ტერმინით, როგორიცაა „შუამდებარე ცვლადი", და, ამგვარად, გვეფიქრა, რომ სინამდვილეში ჩვენ ფარული ქცევის შესახებ ვლაპარაკობთ (და არა ცნობიერების შესახებ. ო. ტ.), მაგრამ რას მივაღწევდით ამით?", სულერთია. როგორც კი ბიპევიორისტი ინტროსპექციას როგორმე დაუშვებს, იგი უკვე სუბიექტური ბიჰევიორისტი ხდებაო[80].

ოპერაციონისტული შემეცნების თეორია, მიუხედავად რაციონალური მომენტის ერთგვარი გათვალისწინებისა, მაინც ინსტრუმენტალისტური თეორიაა. ამიტომ ინსტრუმენტალიზმის შესახებ ზემოთ მოყვანილი კრიტიკა მის მიმართაც ძალაშია. იგი შემეცნებაში მოქმედების მნიშვნელობას აბსოლუტურ ხასიათს ანიჭებს, მიმართავს ცნობიერების რედუქციას, რის გამოც ვერ ასაბუთებს ფსიქიკურის შემეცნების შესაძლებლობას. დისკრიმინაციის ობიექტურად დაკვირვებადი ოპერაციით შეუძლებელია შემეცნების დაფუძნება, რადგანაც შეუძლებელია თვითონ ამ ოპერაციის გამოყოფა, თუ მის ცნობიერ საზრისს არ მივმართავთ. ოპერაციონიზმი პირველ რიგში ზიანს აყენებს მეცნიერებას, რომელიც ცნობიერების ცნებასთანაა დაკავშირებული. იგი ფსიქოლოგიას ბიჰევიორიზმად აქცევს, მაგრამ ვერ ასაბუთებს ამის შესაძლებლობას.

თავი მეექვსე

ქცევისმეცნიერების შესაძლებლობა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ბიჰევიორიზმმა ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა. იგი მიმართული იყო ისეთი ინტროსპექციული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ქცევის ობიექტური გამოკვლევის საქმეს აბრკოლებდა. ფსიქოფიზიკური მთლიანიდან ცნობიერების აბსტრაქცია თავისთავად შესაძლებელია და აუცილებელი. ამ გზით მიიღწევა ცნობიერების მოვლენათა დესკრიფციული დახასიათება და ამ მოვლენათა დამოუკიდებელი მნიშვნელობის შემეცნება. მაგრამ ეს საკმარისი არაა ფსიქოფიზიკური სინამდვილის როგორც მთლიანის წვდომისათვის. ამიტომ, სადაც კი ძველი ფსიქოლოგია ცდილობდა, ცნობიერების მოვლენების კვლევით შეეცვალა ფსიქოფიზიკური მთლიანის კვლევა, იგი ამით აბრკოლებდა თვითონ ამ მთლია-

---

[80] Дж. Миллер, Ю. Галантер и К. Прибрам, Планы и структура поведения, М., 1965, стр. 235.

ნის შემეცნებას. ეს კი მთლიანში შემავალ ობიექტურ პროცესთა ცალკე შესწავლასაც ეწინააღმდეგებოდა. საქმეს ვერ შველიდა არაცნობიერი ფსიქიკურის ცნების შემოტანა იმ მიზნით, რომ ცნობიერების მოვლენების ნაკადის ფრაგმეიტულობა შევსებულიყო და ეს მოვლენებიც ფიზიკურისათვის დამახასიათებელი უწყვეტობით წარმოედგინათ. უწყვეტობის მოთხოვნა არ შეიძლება წავუყენოთ არა მარტო ცნობიერ ფსიქიკურ მოვლენებს, არამედ არცერთ მთლიანს, არც ბიოლოგიურ პროცესებს და არც თვითონ ფიზიკურ გეშტალტებსაც. ქცევის შესწავლას ვერ აღწევდა ვერც დაულისტურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობილი ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევები, რამდენადაც ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის კავშირის გაწყვეტა მხოლოდ იმას უზრუნველყოფდა, რომ ცალცალკე განვითარებულიყო ცნობიერების შემეცნება და ფიზიოლოგიურის წმინდა ობიექტური (ფიზიკური) შესწავლა. ამას. ცხადია, მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქოლოგიზმისაგან თავისუფალი ფიზიოლოგიის შექმნისათვის და ცნობიერების ფენომენთა აღწერისათვის. მაგრამ ამ გზით შეუძლებელი იყო თვითონ ქცევის როგორც მთლიანის შესწავლა.

ასეთ პირობებში დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა ბუნებისმეტყველური თვალსაზრისის შემოტანას ფსიქოლოგიაში, თუ კი იგი ფსიქიკური საზრისის მქონე ობიექტურ პროცესებს — ქცევას მიაკვლევდა.

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური გამოკვლევები ასეთი ცდა იყო. ბიჰევიორიზმის ფსიქოლოგიური თეორია და მისი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური პრინციპები, როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, აუქმებდა ფსიქიკურ ცნობიერ საზრისს და ამით კარგავდა ქცევასთან როგორც სპეციფიკურ ობიექტურთან მისასვლელ გზას. მაგრამ ბიჰევიორიზმი ქცევის შესწავლას სახავდა ამოცანად და არაცნობიერად მაინც სარგებლობდა ქცევის ფსიქიკური საზრისის ცნებით. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ, რაც დრო გადიოდა, ბიჰევიორიზმი მით უფრო იძულებული ხდებოდა მხედველობაში მიეღო ქცევის ფსიქიკური საზრისი და თავის თეორიაში სათანადო ცვლილებები შეეტანა[81]. ბიჰევიორისტული გამოკვლევების წარმატება ამ გარემოებით იყო გამოწვეული.

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური თეორიებისა და მათი ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკული განხილვის შედეგად ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ბიჰევიორიზმი ვერ წვდება ფსიქიკურს და ქცევას როგორც სპეციფიკურ ობიექტურს, რომ ამისათვის მას აკლია ფსიქიკური საზრისის ცნება. თავისთავად ქცევისმეცნიერების არსებობა ფაქტია და

---

81 ასეთ დასკვნამდე მიდის ანციფეროვაც: Современная психология в капиталистических странах (ред. Е. Шорохова), М., 1963, стр. 88—89.

გულისხმობს ქცევის ფსიქიკური საზრისის იდეას. მაგრამ ქცევისმეცნიერების თეორიული დასაბუთებისათვის ეს მსჯელობები საკმარისი არაა.

საჭიროა განისაზღვროს ქცევის ობიექტური პროცესის ადგილი სხვა მოვლენათა გვერდით. რა დამოკიდებულებაშია ქცევა წმინდა ფიზიკურთან, ბიოლოგიურთან, ცნობიერების მოვლენებთან, ფსიქოფიზიკურ მთელთან, ფსიქიკურის იმ საფეხურთან, რომელსაც პრედიკატად მიეწერება გონითობა (სოციალური ცნობიერების ფორმები)? საკითხი ეხება სინამდვილის ამ თავისებური მხარეების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრას და, ამის შესაბამისად, მათი შემსწავლელი მეცნიერებების საზღვრების დადგენას.

ამ საკითხების გადაჭრისათვის საფუძველს ქმნის მთლიანობის ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტა. როგორია მთლიანის ბუნება, როგორ უნდა გვესმოდეს ამ მთლიანში შემავალი მხარეების ურთიერთდამოკიდებულება? ამ საკითხის ონტოლოგიური და შემეცნებითეორიული გადაწყვეტა ნათელს ფენს საკითხთა წრეს, რომელიც ქცევისმეცნიერების შესაძლებლობასა და სხვა მეცნიერებათა შორის მის ადგილს შეეხება.

ქცევისმეცნიერების შესაძლებლობისა და ადგილის განსაზღვრისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრა. ამ პრობლემას უკავშირდება მთლიანობითი ფსიქოლოგიის დაფუძნების საკითხიც. ბიჰევიორიზმთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაც ამაზეა დამოკიდებული.

ფსიქოფიზიკური პრობლემის ონტოლოგიური ასპექტი უკიდურესმა ემპირისტულმა, პოზიტივისტურმა თეორიებმა მცდარ, მეტაფიზიკურ პრობლემათა რიგს მიაკუთვნეს, მაგრამ ისინი ამ პრობლემის გნოსეოლოგიურ ასპექტს გვერდს ვერ უვლიან. სწორი არაა, თითქოს ეს თეორიები უკანონო საკითხად მიიჩნევენ მთელ ფსიქოფიზიკურ პრობლემას. პრაგმატიზმის, ნეოპოზიტივიზმის და ოპერაციონიზმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ფსიქოფიზიკურის გნოსეოლოგიური პრობლემის გადაჭრა მეცნიერების მეთოდოლოგიური დაფუძნების მიზნით. როგორც ნაჩვენები იყო, ისინი ობიექტურზე ცნობიერების რედუქციის გზით მიდიან და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის თეორიის პრინციპებს ქმნიან. ცნობიერების უარყოფა ამ ფილოსოფიურ მიმდინარეობებში შემეცნების წყაროს არასწორ გაგებას ემყარება. შემეცნების წყაროდ ჩათვლილია ცდა, მაგრამ არა ყოველი ცდა, მაგალითად, არა ისეთი ცდა, სადაც ცნობიერებაც არის წარმოდგენილი, არამედ ელემენტარული ცდა, რომელიც ცნობიერების ობიექტურ შინაარსზე დაიყვანება (წმინდა ცდა ჯემსთან, პროტოკოლი ლოგიკურ პოზიტივიზმში, ელემენტარული ობიექტური დისკრიმინაციის ოპერაცია ოპერაციონიზმში).

ცხადია, ცდის ასეთი გაგება იმთავითვე გამორიცხავს ცნობიერებას და ობიექტურზე დაიყვანს მთელი შემეცნების შინაარსს.

ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრას, როგორც ცნობილია, ვერ ახერხებენ დუალისტური თეორიებიც (ფსიქოფიზიკური პარალელიზმის და ურთიერთზემოქმედების თეორიები).

დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან ამ პრობლემის გადაჭრის ცდები დაკავშირებულია მთლიანობითი ფსიქოლოგიური თეორიების შექმნასთან. ასეთი საინტერესო ცდა ეკუთვნის ს. ლ. რუბინშტეინს. დ. უზნაძემ შექმნა ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც სწორედ ფსიქოფიზიკურ მთლიანს — განწყობას მიიჩნევს ფსიქოლოგიის საგნად, მაგრამ ჩვენ აქ ეს პრობლემა სხვა ასპექტით გვაინტერესებს.

დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს სულის, ცნობიერების სუბსტანციალურ ხასიათს. მაგრამ, მექანიციზმისაგან განსხვავებით, ფსიქიკურს რეალობას არ ართმევს. ფსიქიკა, ამბობს ლენინი, უმაღლესად ორგანიზებული მატერიის (ტვინის) თვისებაა. ისტორიული მატერიალიზმი ცნობიერებას ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად თვლის სოციალურ-ისტორიული განვითარების პროცესში. როგორ უნდა გვესმოდეს ცნობიერების (ფსიქიკურის) და ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთდამოკიდებულება? ასეთია ფსიქოფიზიკური საკითხის დაყენება, რომელიც დეკარტიდან მომდინარეობს. მექანიციზმი უარყოფს ცნობიერების რეალობას, დაყავს იგი ფიზიოლოგიურ პროცესებამდე. პარალელიზმი ცნობიერებისა და ფიზიოლოგიური პროცესების გაუგებარ ჰარმონიულ პარალელურად მდინარებაზე ლაპარაკობს. ურთიერთგავლენის თეორია ორი დამოუკიდებელი სუბსტანციის ურთიერთშეჭრად წარმოიდგენს ამ ურთიერთობას. დიალექტიკური მატერიალიზმისათვის მიუღებელია ყველა ეს თეორია, მაგრამ როგორაა შესაძლებელი ფსიქიკურის რეალობაც ვცნოთ და მისი დამოუკიდებელი სუბსტანციალობაც უარვყოთ? სხვანაირად, როგორ უნდა გვესმოდეს თვისებისა (ცნობიერების) და მისი მატარებლის (ტვინის) ურთიერთობა? რუბინშტეინი ფიქრობს, რომ ფიზიკურს (ფიზიოლოგიურს) და ფსიქიკურს (ცნობიერს) შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ბიოლოგიაში ფუნქციასა და მორფოლოგიურს შორის. ამით თითქოს მიღწეულია ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის გასაგები სურათი. მაგრამ მორფოლოგიურისა და ფუნქციონალურის ურთიერთობას რუბინშტეინი ისევ ურთიერთგავლენის სახით წარმოგვიდგენს: ფუნქცია განსაზღვრულია მორფოლოგიურით; მაგრამ თავის მხრივ ფუნქციონალური მოქმედება გავლენას ახდენს მორფოლოგიურზე[82]. ეს შეხედულება კი ურთიერთზეგავლენის თავისებური თეორიაა. ადრე

---

[82] С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 20, 91.

რუბინშტეინი იცავდა აზრს, რომ უნდა ვილაპარაკოთ არა ცნობიერებისა და ფიზიკურის ურთიერთგავლენის, არამედ ფიზიკურისა და ფსიქოფიზიკურის ურთიერთგავლენის შესახებ[83]. ამ მსჯელობაში სწორადაა მითითებული, რომ ფსიქოფიზიკური ურთიერთობა არ შეიძლება გავიგოთ როგორც ურთიერთგავლენა ან ურთიერთპარალელური მდინარეობა. მაგრამ არაა გარკვეული, რა სახისაა ეს ურთიერთობა.

რადგანაც ფსიქიკა, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ტვინის თვისებაა, თავისთავად უნდა მოიხსნას საკითხის დეკარტისეული დაყენება. ეს არაერთხელაა მითითებული საბჭოთა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. საინტერესოა ამ მხრივ შ. ჩხარტიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრობლემის ტრადიციული დაყენება საფუძველშივე იყო მცდარი. დეკარტმა სინამდვილე ორად გაჰყო. ამ გაყოფის შედეგად ფიზიკურს განფენილობის ატრიბუტთან თან გაჰყვა ენერგეტიკული ბუნებაც და ივიარ დარჩა ცნობიერებას. ამიტომ უაზროდ იქცევა საკითხის დაყენებაც კი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან ფიზიკური და ცნობიერება (ფსიქიკური) გავლენის თვალსაზრისით[84]. მსგავსი მსჯელობები სწორია და პრობლემის ნეგატივურ მხარეს არკვევენ. მაგრამ აუცილებელია ფსიქოფიზიკურ ურთიერთობის შემდგომი, დადებითი დახასიათება. ურთიერთგავლენის პრობლემის უარყოფა არ უნდა ნიშნავდეს საერთოდ რეალური ურთიერთობის პრობლემის უარყოფასაც. აქ კვლავ უნდა დავაყენოთ რეალური ურთიერთობის საკითხი, გავარკვიოთ რა სპეციფიკურ რეალურ ურთიერთობაშია ერთმანეთთან ფიზიკური და ფსიქიკური.

თუ ფსიქოფიზიკურ პრობლემას რეალური ურთიერთობის პრობლემად არ ვცნობთ, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ან ცნობიერების რეალობაზე გვითქვამს უარი, ან ფიზიკურისა. არსებობს ფსიქოფიზიკური პრობლემის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ცნობიერებას რეალობის ნიშანს ართმევს და მხოლოდ იდეალურის ნიშანს მიაწერს. იდეალური თავისთავად, ამ შეხედულების მიხედვით, მხოლოდ მნიშვნელობაა და არსებობის ნიშანს მოკლებულია. ამიტომ სწორი არაა საკითხის დაყენება იდეალურისა და რეალურის რაიმე ურთიერთგავლენის შესახებ. ცნობიერებისა და ფიზიკურის ურთიერთობის ასეთი გაგება სწორი არაა, რადგანაც ცნობიერება აღებულია ერთ პლანში, ფიზიკური კი მეორეში, მაშინ როცა ორივე მათგანი ერთსადაიმავე პლანში უნდა ყოფილიყო აღებული. იდეალურად ფიზიკურის აღებაც შეიძლება (მაგალითად, ფიზიკური გეშტალტი როგორც იდეალური.

---

[83] С. Л. Рубинштейн, Осн. общей психол., 1940, стр. 14 и д.

[84] შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოფიზიკური პრობლემისათვის, ქუთაისის პედინსტ. შრომები, 1941, 2.

როგორც მხოლოდ მნიშვნელობა); ხოლო ცნობიერება უნდა მისი რეალობის პლანში იქნას განხილული, როცა რეალურ ფიზიკურთან მისი ურთიერთობას ვიკვლევთ. ფსიქოფიზიკური პრობლემა რეალური ურთიერთობის პრობლემაა და არა მნიშვნელობისა (ან მნიშვნელობისა და რეალობისა).

ფსიქოფიზიკური საკითხი, ჩვენი აზრით, მხოლოდ იმ მხრივ არ იყო დაყენებული სწორად, რომ იგი ისეთი ორის ურთიერთობას გულისხმობდა, რომლებიც ერთი და იგივე რიგისანი არიან და როგორც ორი თანაბარღირებული ისე უკავშირდებიან ერთმანეთს. ანალიზი აღმოაჩენს, რომ ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის რეალური ურთიერთობაა, მაგრამ ესაა სპეციფიკური ურთიერთკავშირი და არა პარალელური მდინარება ან ურთიერთგავლენა. ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

მაგრამ საკითხი ჯერაც არაა დასმული სწორად, რადგანაც იგი თავის ადგილზე არაა დასმული. პრობლემა, რომელიც აქ უნდა გადაწყდეს, სპეციფიკური არაა ფსიქიკურისა და ფიზიკურის მიმართებისათვის. იგი უფრო ზოგადი პრობლემაა და ზოგადი სახითვე უნდა იყოს დაყენებული. ასეთივე საკითხი დაისმის გონითი და არაგონითი ფსიქიკურის ურთიერთობის მიმართაც, ფსიქიკისა და სიცოცხლის, სიცოცხლისა და ანორგანულის ურთიერთობათა მიმართაც, მეტიც, წმინდა ფიზიკური მთლიანობების (მარტივი ფიზიკური გეშტალტი, მანქანები) და მათი შემადგენელი ელემენტების ურთიერთობის მიმართაც. ესაა მთლიანისა და მისი შემადგენელი მხარეების ურთიერთობის პრობლემა. ფსიქოფიზიკური მთლიანი წმინდა ფიზიკური მთლიანისაგან იმით განსხვავდება, რომ შეიცავს რაღაც „მეტს", ვიდრე ეს უკანასკნელი. ეს მეტი, ეს ახალი თვისობრიობა არ არსებობს წმინდა ფიზიკურისაგან დამოუკიდებულად, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. საკითხი ეხება იმას, თუ როგორ წარმოვიდგინოთ მთლიანისა და ამ მთლიანში შემავალი მხარეების ურთიერთობა. მათ შორის რეალური ურთიერთობა არსებობს, მაგრამ ეს არაა ურთიერთზეგავლენა. როგორია ეს ურთიერთობა? მთლიანის ახალი თვისობრიობის პრობლემა მოიცავს ფსიქოფიზიკურ პრობლემას, მაგრამ იგი ზოგადია და ასევე ეხება სხვა მთლიანობებსაც, რომლებზეც ზემოთ მიეუთითებდით. ფსიქოფიზიკური პრობლემის ეს განზოგადება არის მასში უფრო ზოგადი პრობლემის აღმოჩენა, რომლის გადაწყვეტაც ნათელს მოჰფენს თვითონ ფსიქოფიზიკურ პრობლემასაც. ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრას, ჩვენი აზრით, სწორედ ის აძნელებდა, რომ დანახული არ იყო ზოგადი პრობლემა მთლიანის შესახებ და მის ნაცვლად კერძო შემთხვევის შესახებ იყო დასმული საკითხი. თუ ზოგადის შესახებ კითხვა კერძოს მიმართაა დაყენებული, ისე რომ ამ ზოგადის წვდომა მიღწეული არაა, კერძოს სპეციფიკური ნიშნები

გვთავაზობენ თავისთავს როგორც არსებითს პრობლემის გადაჭრისა-ოვის და შეუძლებელს ხდიან ასეთ გადაჭრას; სანამ კერძო ნიშნებისაგან აბსტრაქცია არ მომხდარა და ზოგადი არ დაგვინახავს, ლოგიკურად შეუძლებელია ზოგადის შესახებ პრობლემის გადაწყვეტა. ეს შეუძლებელია ემპირიულადაც. რადგანაც ზოგადი პრობლემის გადაჭრა უკვე ნიშნავს იმ ზოგადის დანახვასაც, რომელსაც პრობლემა ეხებოდა.

მთლიანობის პრობლემის გადაჭრის საფუძველზე წყდება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მეცნიერებათა ურთიერთობას ეხება. შესაძლებელი ხდება ვაჩვენოთ მთლიანობითი ფსიქოლოგიისა და ქცევისმეცნიერების ადგილი, დავადგინოთ ურთიერთობა მეცნიერებათა სისტემის წევრთა შორის.

როგორია სინამდვილის მთლიანობითი სტრუქტურა და რა გზითაა შესაძლებელი მისი შემეცნება? ამ ძირითადი ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური საკითხების გადაწყვეტაა აუცილებელი მეცნიერებათა საზღვრების დადგენისათვის.

ცდა, რომელიც სინამდვილის შემეცნების წყაროა, ადასტურებს, რომ სინამდვილე გარკვეული რთული სტრუქტურის შემცველია. ერთი გარკვეული თვისების მქონე საგანთა და მოვლენათა რიგი უბრალო რაოდენობრივი ცვლილების გარდა გვიჩვენებს ისეთ შეერთებას. ისეთ ორგანიზაციას, ისეთ ახალ სტრუქტურას, რაც ახალ თვისებას ფლობს. ესაა მთლიანობა, რომელიც შედგება ახალი თვისობრიობისაგან და შეიცავს ძველს, აგებულია ძველის საფუძველზე. ასეთი მთლიანობები გვხვდება ფიზიკურ სამყაროში (უმარტივესი ფიზიკური გეშტალტები და სხვ.). ფიზიკურ სფეროშივე ახალი თვისობრიობის მქონე მთლიანთა ორგანიზაცია კვლავ ახალ, უფრო „მაღალი რანგის" მთლიანობებს ქმნის, სადაც ძველი მთლიანობები შემადგენელ მხარეს, „საშენ მასალას" წარმოადგენს (მარტივ ფიზიკურ მთლიანთაგან შედგენილი ახალი თვისობრიობაა ენერგეტიკული მანქანა). ასეთივე ახალი თვისობრიობაა სიცოცხლე, ცხოველური დონის ფსიქიკა. ადამიანური (გონითი, სოციალური) ფსიქიკა. ადამიანი არის მაღალი მთლიანი, სადაც შემადგენელ მხარეებს წარმოადგენს ფსიქიკური, ბიოლოგიური, ფიზიკური მანქანური ორგანიზაცია, მარტივი ფიზიკური გეშტალტები. დიალექტიკის კანონია რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლა, იგი გულისხმობს ასეთ მთლიანობათა წარმოქმნას. ახალი თვისობრიობა იმას ნიშნავს, რომ, მართალია, ეს მთელი აიგება შემადგენელი ელემენტებისაგან, მაგრამ მათზე არ დაიყვანება, მათგან განსხვავებულ თვისებას ფლობს[85]. ასეთი მთლიანობები შეადგენენ მეცნიერებათა შესწავლის საგანს. მეცნიერებები (ან

---

[85] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, თავი XII)

მათი დარგები) პირველ რიგში იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ განსხვავებულ მთლიანობებს (თუ მათ შემადგენელ მხარეებს) სწავლობენ. საგანთა და მოვლენათა ყოველი თავყრილობა ვერ ქმნის მთლიანობას, ახალ თვისობრიობას. მაგრამ იგი მხოლოდ გარკვეული ასპექტით შეიძლება არ იყოს მთლიანი, სხვა ასპექტით კი მთლიანს წარმოადგენდეს—ძნელიცაა მოვიაზროთ საგნები და მოვლენები, რომლებიც გარკვეული მიმართებით მთლიანობას არ ქმნიდნენ. ახალ თვისობრიობათა, მთლიანობათა მრავალსახეობის ფაქტი უდავო მონაცემია, რომელსაც ფილოსოფიისა და მეცნიერებათა მთელი ისტორია ადასტურებს. მთლიანის სტრუქტურა ერთგვარ იერარქიულ შიგადანაწევრებას შეიცავს: მთლიანი შეიცავს გარკვეულ შემადგენელ მხარეს, რომელიც თავის მხრივ მთლიანია და ასევე შეიცავს თავის შემადგენელ მხარეს და ა. შ. ადამიანი ისეთი მთლიანია, რომლის თავისებურებას, ახალ თვისობრიობას, შეადგენს (ფსიქოლოგიის თვალსაზრისიდან თუ ამოვალთ) გონითი ანუ სოციალური ფსიქიკა. მაგრამ ეს მთლიანი შეიცავს არასოციალურ (ცხოველებისათვისაც დამახასიათებელ) ფსიქიკას როგორც შემადგენელ მხარეს, ეს უკანასკნელი ბიოლოგიურ მხარეს ემყარება, ბიოლოგიური — ფიზიკურს.

დიალექტიკური მატერიალიზმის ონტოლოგია სამყაროს მოლეკულარულ სურათს კი არ გვაძლევს, არამედ ცნობს მთლიანსა და მის ახალ თვისობრიობას, რომელიც შემადგენელი ელემენტების თუ მხარეების თვისებისაგან განსხვავებულია.

რა აზრისაა დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია სამყაროს ამ სტრუქტურის შემეცნების შესახებ, როგორ მიიღწევა ეს შემეცნება? იგი ამტკიცებს, რომ შეგრძნებებში მოცემული ელემენტარული ცდა წარმოადგენს ამ სამყაროს შემეცნების წყაროს, მაგრამ იგი არაა სენსუალისტური ანალიტიკური (ატომისტური) შემეცნების თეორია. რაკი ახალი თვისობრიობა ონტოლოგიურად არ დაიყვანება შემადგენელ ელემენტებამდე, მისი შემეცნებაც არ ამოიწურება და არ აიგება მხოლოდ ელემენტარული მხარეებიდან მიღებული შეგრძნებებით. დიალექტიკა ცნობს ახალი თვისობრიობის დამოუკიდებელ შემეცნებას. ახალი თვისობრიობა ნახტომია და შემეცნებაშიც თავისი სახით უნდა იქნას წარმოდგენილი, ასახული. ამ აზრით უნდა გვესმოდეს ენგელსის ზემოთ მითითებული მსჯელობები ახალი თვისობრიობის შესახებ. საგულისხმოა, რომ ენგელსი მათ გამოთქვამს შემეცნების, დიალექტიკის როგორც მეთოდის, საკითხის განხილვის კონტექსტში. მარქსმა მოგვცა ასეთი შემეცნების ბრწყინვალე ნიმუში პოლიტიკური ეკონომიის ცნებათა განხილვისა, ასეთი განხილვის აუცილებლობაზე მარქსი თვითონვე მიუთითებს „პოლიტიკური ეკონომი-

ის კრიტიკის“ შესავალში[86]. მთლიანი. მართალია, შემადგენელ მხარეებად გულისხმობს სხვა საგნებსა და მოვლენებს და, ამდენად, მისი შემეცნებისათვის ამ საგნებისა და მოვლენების თვისებების შემეცნებაა საჭირო, მაგრამ მას საკუთარი თვისება აქვს, რაც შემადგენელი მხარეების თვისებებისაგან განსხვავებულია და, მაშასადამე, მათი მეშვეობით ვერ გაიგება. იგი თვითონ უნდა იქნას ასახული შემეცნების მიერ. ამ აზრით უნდა ვთქვათ, რომ მთლიანიც იმავე უფლებითაა „გამღიზიანებელი“, როგორითაც ელემენტები[87]. ატომისტური, ანალიტიკური შემეცნების თეორიისათვის გაუგებარია ისეთი კატეგორიები, როგორიცაა მოძრაობა, უწყვეტობა და ა. შ. ძენონის აპორიები (და შემდეგში შემოტანილი ანტინომიებიც) აშკარად მიუთითებენ ატომისტური შემეცნების თეორიის უძლურებაზე. აპორიების პარადოქსული მტკიცება, მაგალითად, იმას ემყარება, რომ უძრაობითა და წყვეტილით მოძრაობისა და უწყვეტის გაგება შეუძლებელია. მოძრაობა ახალი თვისობრიობაა და იგი ვერ გაიგება მანძილის დისკრეტულ ერთეულებზე დაყრდნობით (ანალოგიურად ითქმის შეგრძნების ზღურბლის ფაქტზე დამყარებულ აპორიებზე). ახალი თვისობრიობის ფაქტისა და მისი დამოუკიდებელი შემეცნების დაფუძნების გარეშე გაუგებარი ხდება ყოველი მთლიანობა, ვერ გადაიჭრება ფსიქოფიზიკური პრობლემა, ვერ დადგინდება საზღვრები ცალკეულ მეცნიერებათა შორის და შეუძლებელი იქნება ქცევისმეცნიერების შესაძლებლობისა და მისი ადგილის ჩვენება მეცნიერებათა სისტემაში.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ნახტომის, ახალი თვისობრიობის დამოუკიდებელ შემეცნებაზე ლაპარაკი შემეცნებაზე ხელის აღებას. ახსნის, გაგების ამოცანისაგან განდგომას? მართლაც, ეს დებულება შესაძლებელია ასეთი არამეცნიერული აქციის თევშესაფარად იქნას გამოყენებული, თუ ბოლომდე არ იქნა გარკვეული აუცილებელი მომენტები მთლიანობის პრობლემისა. განვიხილოთ ეს მომენტები.

ნათელია, რომ მთლიანში მოცემულ ახალ თვისობრიობასა და მთლიანის შემადგენელ მხარეს („საშენ მასალას“) შორის არ შეიძლება ისეთი ურთიერთობა იყოს, როგორც ორი ერთნაირი თვისობრიობის საგანს შორის. ამრიგად, გამორიცხულია მათი ამგვარი ურთიერთგაგების საკითხიც. ავიღოთ მარტივი მაგალითი ფიზიკური მთლიანობისა. (მარტივი მაგალითი უკეთესად ცხადჰყოფს საქმის ვითარებას.

---

86 კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 280—293.

87 ამ თვალსაზრისით ჩვენ ვცადეთ სივრცის აღქმის ფსიქოლოგიის საკითხების გადაჭრა: ო. ტ ა ბ ი ძ ე, შეგრძნებების ურთიერთობის პრობლემისათვის ფსიქოლოგიაში, თბ., 1961, გვ. 183—189.

რადგანაც შეიცავს არააუცილებელ, ხელისშემშლელ, ნიშანთა მხოლოდ მინიმუმს. ამიტომ ჩვენ ქვემოთაც ამ გზას გავყვებით). განვიხილოთ ისეთი მარტივი ფიზიკური ორგანიზაცია, როგორიცაა ისარი. ესაა მთლიანი, რომელიც მყარი ფიზიკური ნაწილაკებისაგან შედგება და ფლობს გარკვეულ სივრცითს თვისებას. ნათელია, რომ უაზრობაა ნსჯელობა ისრის შემადგენელი მასალისა და ფორმის ერთმანეთზე რაიმე ენერგეტიკული (მიზეზობრივი) გავლენის შესახებ, ან მათი ენერგეტიკული პროცესების ურთიერთ პარალელურად მდინარების შესახებ. საერთოდ რაიმე ისეთი ურთიერთობაც კი შეუძლებელია, სადაც მასალა და მისი სივრცითი მთლიანობითი ორგანიზაცია ერთი რიგის მოვლენებად იქნებოდნენ წარმოდგენილი. მაგრამ ისარი როგორც მთლიანი მთლიანობის ნიშნით არ განსხვავდება დანარჩენი მთლიანებისაგან, საიდანაც გამომდინარეობს, რომ არც ფსიქოფიზიკური პრობლემის მსგავსი დაყენება იყო სწორი და არც გონისა და სხეულ-სულის ურთიერთობის პრობლემის ასეთივე გაგება. ასევე უაზროა ფსიქიკისა და ბიოლოგიურის, ბიოლოგიურისა და ფიზიკურის ურთიერთობების საკითხის ამ პლანში დაყენებაც.

არსებობის თვალსაზრისით მათ შორის ურთიერთობა ასეთ სურათს გვაძლევს: შემადგენელ მხარეს შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, მთლიანს და მის ახალ თვისებას კი შემადგენელი მხარისაგან დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათ. მასალა, რომლისაგანაც ისარია გაკეთებული, უამისოდაც იარსებებდა, ისარი კი შეუძლებელია არსებობდეს შემადგენელი მასალის გარეშე (ცხადია, საკითხი არ ეხება მასალის კონკრეტულ სახეს. ისარი შეიძლება რკინისა იყოს ან ხისა, მაგრამ გარკვეული შეჭიდულობის მყარი მასალა ორივე შემთხვევაშია მოცემული).

აქედან ნათელია ცნობიერების ნაკადის უწყვეტობის მოთხოვნის (და ამით არაცნობიერი ფსიქიკურის დაშვების დასაბუთების) უაზრობა. ცნობიერება არაა მუდმივი, იგი, როგორც ყოველი მთლიანი, ისპობა და იქმნება. ერთადერთი მარადიული შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიის არამთლიანობითი თვისება (რას მიიჩნევს დღევანდელი ფიზიკა ასეთად, ეს აქ საინტერესო არაა). ასევე უკანონო იყო მოთხოვნა ცნობიერების მოვლენების უწყვეტობისა ცოცხალ ორგანიზმში. სიცოცხლე ფსიქოფიზიკური მთლიანის შემადგენელი მხარეა, რის გამოც ცნობიერებას როგორც ახალ თვისობრიობას მის გარეშე არსებობა არ შეუძლია, მაგრამ სიცოცხლე შესანიშნავად იგრძნობდა თავს ცნობიერების გარეშეც. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფსიქიკური (ცნობიერი) საზრისის მქონე ქცევის წმინდა ფიზიკური პროცესების დამოუკიდებელი არსებობაც (თვითრეგულირებადი მანქანები) ამის გამოა

შესაძლებელი, რაც ქცევისმეცნიერებას და ფსიქიკურის მართვის თეორიას აფუძნებს.

რა მიმართებაა მთელის ახალ თვისობრიობასა და შემადგენელ მხარეს შორის საზრისის მიხედვით? მთელის ახალი თვისობრიობა საზრისს აძლევს შემადგენელ მხარეს (ცხადია, ამ მთელში და არა მის გარეთ ყოფნისას). ისრის მასალა ისეა მოწესრიგებული, მას ისეთი მნიშვნელობა ენიჭება ისარში, რომ უზრუნველყოფს ისრის სივრცი-ორგანიზაციას. ან: მანქანის ნაწილები ისეთ ნიშანს იპოვებენ, რომელიც მანქანის როგორც მთლიანის მოქმედებას შეესატყვისება. ანალოგიურადვე, სიცოცხლის საშენი მასალა, ცოცხალ ორგანიზმში მონაწილე წმინდა ფიზიკური პროცესები ამ მთლიანში სიცოცხლისათვის საჭირო ფუნქციებს ახორციელებენ. ასეთივეა ფსიქოფიზიკურ მთლიანში ბიოლოგიური პროცესების საზრისიც. ხოლო ადამიანში (სოციალურისა და სხეულ-სულის მთლიანობაში) ფსიქოფიზიკურ მხარეს საზრისს სოციალური (ეთიკური და სხვ.) აძლევს. მთლიანში ახალი თვისობრიობისა და მისი შემადგენელი მხარეების იერარქიულ დასაფეხურებაში საზრისის მინიჭების ეს თვისებაც იერარქიულადვეა განაწილებული: ბიოლოგიურს ფსიქოფიზიკური მთლიანის საზრისი ენიჭება, ფიზიკურს — ბიოლოგიური. ყოველი შემადგენელი ფენა თავის მხრივ საზრისს ანიჭებს თავის შემადგენელ მხარეს და ასე ბოლომდე, სანამდე ისეთ მხარემდე არ მივალთ, რომელიც მთლიანს არ წარმოადგენს. რედუქციონისტული თეორიები (ბიოლოგიზმი, მექანიციზმი) არ ცნობენ ახალ თვისობრიობას და, მაშასადამე, არც მისი საზრისით შემადგენელი მხარის შესწავლას. საპირისპირო შეხედულებას კი წარმოადგენს ისეთი იდეალისტური თეორიები, რომლებიც ახალი თვისობრიობის გააბსოლუტებას ახდენენ და მათთვის დაბალი ფენების (შემადგენელი მხარეების) როლს სრულიად უარყოფენ. ასეთი აბსოლუტიზაცია მცდარია და შემადგენელ მხარეთა მნიშვნელობის დაუსაბუთებელ უარყოფას ეყრდნობა. შელერის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური თეორია, მართალია, ებრძვის შემადგენელი მხარის როლის ხელაღებით უარყოფის თეორიებს, მაგრამ ამ როლს დაბალი ფენის მიერ მაღალისთვის ენერგიის მინიჭებაში (სუბლიმაცია) ხედავს (რაც სწორი არაა), ხოლო შემადგენელი მხარის (დაბალი ფენის) რაიმე ა რ ს ო ბ რ ი ვ ი მნიშვნელობა სრულიად უარყოფილია[88]. განვიხილოთ საკითხი შემადგენელი მხარის მნიშვნელობის შესახებ ნიელში საზრისის მხრივ. ცხადია, აზრსმოკლებული იქნება იმის მტკიცება, რომ იგი რაიმე საზრისს აძლევს მთელის ახალ თვისობრი-

---

[88] M. Scheler. Die Stellung des Menschen im Kosmos, Bonn u. München, 1962 (I გამოცემა—1928 წ.).

ობას. ბიოლოგიურს არაფერი დანიშნულება არა აქვს ფიზიკურისათვის, წმინდა ფიზიკურისაგან იგი საზრისს ვერ მიიღებს. ვერც ფიზიკური მთელი (მაგ. მანქანა) მიიღებს საზრისს მისი შემადგენელი ფიზიკური მხარისაგან, ასევე, ბიოლოგიური ვერ მიანიჭებს საზრისს ადამიანს როგორც სოციალური ახალი თვისობრიობის მქონე არსებას. ასეთი შეხედულება მხოლოდ ბიოლოგიური რედუქციონისტური თვალსაზრისისათვის იქნებოდა დამახასიათებელი, რომელიც სოციალურის თვისობრიობას უარყოფს. გაუგებრობას ემყარება შეხედულება, რომელიც თვლის, რომ საზრისის მინიჭება თვალსაზრისზეა დამოკიდებული და მისი შეცვლის მიხედვით იცვლება, რომ, მაგალითად, ბიოლოგიური თვალსაზრისით საზოგადოებაც ბიოლოგიური ფუნქციის მატარებელია, ხოლო სოციოლოგიური თვალსაზრისით ბიოლოგიურს სოციალური აძლევს საზრისს. ეს შეხედულება მცდარია, რადგანაც სოციალურ სინამდვილეში (საერთოდ, ახალი თვისობრიობის მქონე მთელში) მისი შემადგენელი მხარის (ამ შემთხვევაში — ბიოლოგიურის) საზრისი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ამ მხარის მოვლენას და არა ახალ თვისობრიობას, სოციალური ბუნების მთლიანი (ადამიანი) შეიცავს ბიოლოგიურ მხარეს და მისი ბიოლოგიური საზრისის მითითებაც ამ მხრივაა შესაძლებელი, ხოლო ის, რაც თვითონ სოციალურ ახალ თვისობრიობას წარმოადგენს, ამაში არ უნდა ავრიოთ. ასეთ გაუგებრობამდე მივყავართ დარვინის ბიოლოგიური მოძღვრების წარმატებით აღძრული სპენსერისეული ბიოლოგისტური შეხედულების გამოძახილს ჩვენს ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებშიც კი ფართოდაა დამკვიდრებული როგორც უდავო დებულება, რომ ფსიქიკა, ცნობიერება ბიოლოგიური განვითარების სამსახურში იმყოფებოდა. თავისთავად ეს ბიოლოგისტური შეცდომაა, თუ ერთი არსებითი ხასიათის განმარტება თან არ დაერთო. თუ ბიოლოგიური ნიშნავს სიცოცხლის ცნობიერებამდელ საფეხურს (ე. ი. ფსიქიკის გარეშე სიცოცხლეს), მაშინ უდავოა, რომ შეგრძნებები, აღქმები, ცნობიერების მოვლენები ახალი მთლიანის (ცნობიერი ცოცხალი არსების) დამახასიათებელი თვისებაა და შეუძლებელია მას საზრისს აძლევდეს მისივე შემადგენელი მხარე (მცენარეული ბიოლოგიური). ხოლო თუ სიტყვა „ბიოლოგიური" ფსიქიკის მქონე ცხოველის აღსანიშნავად იხმარება, მაშინ იგი ფსიქიკურის ცნებაშია აღრეული.

შეუძლებელია შემადგენელი მხარე საზრისს აძლევდეს ახალ თვისობრიობის მთლიანს. მაგრამ აქვს თუ არა მას რაიმე მნიშვნელობა ამ მთლიანის აზრისათვის, მისი გაგებისათვის? ასეთი მნიშვნელობა რას უდავოდ აქვს და სწორედ ამას ემყარება მისი. როგორც ამ ახალი თვისობრიობის საფუძვლის, გამოკვლევის ღირებულება. ბიოლოგიუ-

რი საფუძველია ფსიქიკურისათვის, მატერიალური კი საფუძველია ყველა მთლიანობებისათვის არა მარტო იმ მნიშვნელობით, რომ მის გარეშე შეუძლებელია ამ უკანასკნელთა არსებობა, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ იგი გასაგებს ხდის მათს სრულიად გარკვეულ ასპექტს საზრისის მხრივაც. მთელის ახალი თვისობრიობა ანიშნებს საზრისს შემადგენელ მხარეს, მაგრამ ეს შემადგენელი მხარე ისეთი უნდა იყოს, რომ ამ საზრისს ეგუებოდეს. ამ საზრისის მიღება შეეძლოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შემადგენელი მხარის თვისებაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათისა იქნება მისგან აშენებული მთელი. აქ მანქანის მაგალითი უფრო მიზანშეწონილი იქნება. მანქანის ნაწილები (და მაინ შემადგენელი მასალა) თვითონ ფლობენ ისეთ თვისებებს, რომლებიც მანქანის მთელში მათ მიერ საზრისის მიღებას უზრუნველყოფს. ასე რომ, შეკვიძლია ვთქვათ: მთელს აქვს უნარი საზრისი მიანიჭოს შემადგენელ მხარეს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ამ უკანასკნელს აქვს უნარი მიიღოს ასეთი საზრისი თავისი თვისების გამო. შემადგენელი მხარის თვისებებს, ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალი თვისობრიობის განხორციელებისათვის. ახალი თვისობრიობა, ამ ზუსტად გარკვეული აზრით, დამოკიდებულია შემადგენელ ელემენტთა თვისობრიობაზე. ელემენტების, შემადგენელი მხარის თვისებები იძლევა საშუალებას ახალი თვისობრიობის წარმოქმნისა. მთლიანისათვის სულერთი როდია რა თვისებების მასალისაგანაა აგებული. რაც ითქვა მანქანაზე როგორც მთლიანზე, სავსებით შეეხება ყოველგვარ მთლიანს; იმისათვის, რომ სიცოცხლე განხორციელდეს, არსებითი მნიშვნელობა აქვს მის „საშენ-ფიზიკურ მასალას. ფსიქოფიზიკური მთლიანის განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფიზიკურ მხარეს, რომელიც მის მატერიალურ საფუძველს შეადგენს.

აქ ერთი გაუგებრობა უნდა ავიცილოთ, საკითხი აქ შეეხება მთლიანს და არა მისგან აბსტრაჰირებულ ახალ თვისობრიობას როგორც იდეალურს. ამ თვისობრიობის თვალსაზრისით სულერთია, რა მასალისაგან იქნება იგი აგებული, ან განხორციელებული იქნება თუ არა საერთოდ. მაგალითად, ფერის შეგრძნებისათვის, თუ მას ცალკე განვიხილავთ, სულერთია რა ფიზიოლოგიური მექანიზმით მიიღება იგი. რომ აღმოჩნდეს და ფერის წარმოქმნისათვის დღეს ცნობილი ფიზიოლოგიური ოპტიკური მექანიზმის ნაცვლად სულ სხვა მექანიზმს ჰქონდეს მნიშვნელობა, ამით თვითონ ფერის შეგრძნებას არც არაფერი მოაკლდება და არც მიემატება. ეს შესაძლებელს ხდის ფერის შეგრძნების (საერთოდ, ცნობიერების მოვლენების) და ყოველი აბსტრაჰირებული ახალი თვისობრიობის აღწერას მისი წარმოშობის მექანიზმების გა-

მოკვლევამდე და, ამით, ასეთი გამოკვლევისათვის გზის მაჩვენებელის მოპოვებასაც.

მთლიანის დამახასიათებელი ახალი თვისობრიობა რეალურად არსებობს და დამოუკიდებლად შეიმეცნება როგორც ნახტომი. ეს საშუალებას გვაძლევს შევიმეცნოთ ის მთლიანი, რომლის თვისებაც იგია. ეს შემეცნება მდგომარეობს იმ როლის გამომჟღავნებაშიც, რომელიც შემადგენელ ელემენტებს ეკუთვნით მთლიანში. თუ ვიცით ელემენტების (შემადგენელი მხარეების) თვისებები და მათი ეს ფუნქცია, თუ ვიცით ახალი თვისება, რომელსაც ეს მთელი ფლობს, და ვიცით არსებითი კავშირი შემადგენელ მხარეებსა და ახალ თვისებას შორის. მაშინ მთლიანობის შემეცნების ამოცანა შესრულებულად უნდა ჩავთვალოთ და ნახტომი სრულიად გასაგები ხდება. მთლიანის შესახებ ასეთი ცოდნა ლოგიკურ ევიდენტურობას ფლობს. ამ მხრივ მეტის ცოდნა შეუძლებელია და არც მოითხოვება. მართლაც, თუ მანქანის კოსტრუქციის ამოცნობის პროცესში ჩვენ გავიგეთ მანქანის სპეციფიკური ფუნქცია, შემადგენელი ნაწილების ბუნება და როლი მანქანის მთლიანის აგებისათვის, ამით მანქანის გაგება სრულადაა მიღწეული და მსგავსი მანქანის კონსტრუირებასაც სრულყოფილად მოვახერხებდით. როდესაც ჩვენ აქ მთლიანობის შემეცნების სისრულეზე ვლაპარაკობთ, ამან გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს: საკითხი ეხება მთლიანის გაგებას და არა იმას, შესაძლებელია თუ არა ემპირიულად ასეთი გაგება აბსოლუტურად იქნეს მიღწეული; სულ სხვაა საკითხიც, თუ რა შემდგომ კანონზომიერებებს გვიჩვენებს მთლიანი და როგორ უნდა შეიცვალოს მთლიანის გაგება ამ კანონზომიერებათა გათვალისწინების საფუძველზე.

მანქანის მაგალითი კარგია აზრის ნათელსაყოფად, მაგრამ შეიძლება კრიტიკას იწვევდეს. საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ მანქანა მაინც ორგანული მთლიანი არაა, მაინც აგრეგატია, მისი მთელი და ელემენტები მაინც ერთი (ფიზიკური) ბუნებისაა. სულ სხვაა ორგანული მთლიანის საკითხი, მაგალითად, ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობა სუბიექტში როგორც ორგანულ მთლიანში. ეს კრიტიკა საფუძველს მოკლებულია. მანქანის ახალი თვისება ისევე „მეტია", როგორც ცნობიერება მისი განხორციელების ფიზიოლოგიურ პირობებთან შედარებით. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არაა. თუ ცნობიერების მოვლენა (მაგალითად, შეგრძნება) სრულად იქნა აღწერილი და მისი განხორციელების ფიზიკური (და, რა თქმა უნდა, ბიოლოგიური) პირობებიც სრულად შევიმეცნეთ, ფსიქოფიზიკური მთლიანის გაგებისათვის მეტის გაკეთება შეუძლებელია და არც მოითხოვება, როგორც ეს მანქანის შემთხვევაში იყო. ფიზიკური მთლი-

ანის შესახებ ჩვენი მსჯელობა ყოველგვარ მთლიანზე ვრცელდება. საწინააღმდეგო აზრს კი სინამდვილეში სხვა მოტივი ამოძრავებს. მარტივი მთლიანის გაგება ნაკლებ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მანქანის როგორც მთლიანის გაგება ადვილია, რადგანაც შედარებით ადვილია მისი თვისობრივობისა და შემადგენელი ელემენტების სრული დახასიათება. შემადგენელი მხარეების (ნაწილების, ელემენტების) შესახებ ცოდნა აქ იმდენად სრულია, რომ ისეთი აზრიც კი შეიძლება გაგვიჩნდეს, რომ მხოლოდ ეს ცოდნა ჩავთვალოთ საკმარისად მანქანის როგორც მთლიანის შემეცნებისათვის; ეს აზრი სწორი არაა, მაგრამ მისი წარმოქმნა იმაზე მიუთითებს, რომ აქ შემადგენელი მხარეების შესახებ ცოდნა სრულია და საკმარისი. ბიოლოგიური, ფსიქოფიზიკური და სოციალურ-ფსიქოფიზიკური მთლიანობების შემადგენელ მხარეთა შემეცნება, ამის საწინააღმდეგოდ, მრავალ სიძნელეებს აწყდება და უკმარისია. ამ მთლიანობების შემადგენელ მხარეთა შესახებ ცოდნა მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე შედარებით ჩამორჩენილია და, ამის გამო, თვითონ მთლიანის შემეცნებაც ნაკლებადაა მიღწეული. ამ მთლიანთა შემსწავლელი მეცნიერებების მუშაობაც ახალი თვისობრივი საფეხურის შემადგენელი მხარეების (მაგალითად, ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძვლების) გამოკვლევისკენაა მიმართული, რომ შეესებულ იქნას ხარვეზი ცოდნაში. ამიტომ, თუ მანქანის მაგალითი დამარწმუნებელია, ფსიქოფიზიკური მთლიანის შესახებ ეს არ ითქმის, მაგრამ ეს არ ეხება მთლიანის ზოგად ბუნებას, რომელიც ჩვენ გვაინტერესებდა. ყველა მთლიანი გაიგება ახალი თვისებისა და მისი განხორციელების პირობების შემეცნებით. თუ ეს შემეცნება მიღწეულია, მთლიანის შემეცნებაც მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

მთლიანის შემადგენელი მხარეების შემეცნების პროცესი შეიძლება მიუახლოვდეს იმ ზღვარს, როცა მეტის მოთხოვნა შეცდომაა და განუხორციელებელია — ახალი თვისობრივობის საკუთარი ბუნება აწესებს ამ ზღვარს. ახალი თვისობრივობის წარმოშობის, ნახტომის შესახებ დებულება დაგვაზღვევს ასეთი შეცდომისაგან, რომელიც რედუქციონიზმისათვისაა დამახასიათებელი. მანქანის ფიზიკურ ორგანიზაციას თვითონ ამ ორგანიზაციის წვდომა სჭირდება და მას ვერასოდეს გავიგებთ ნაწილების კერძო თვისებებით. თვითონ ცნობიერება თავისი მოცემულობის ფაქტიდან უნდა გავიგოთ. მის შესახებ ვერაფერს გვეტყვის მისი ბიოლოგიური და ფიზიკური პირობების შესწავლა. მწვანე ფერის შეგრძნება, ცნობიერი მიზანი, სიყვარულის განცდა, ცნობიერების მოვლენები საერთოდ, მათი უშუალო მოცემულობით ხდებიან გასაგები. ცნობიერების გარეთ მდებარე პირობების შემეცნე-

ბა მათ თვისობრიობაზე ვერაფერს გვეტყვის. იგი მხოლოდ იმ მთელის შემეცნებისათვისაა საჭირო, რომელშიც ეს ახალი თვისობრიობა იჩენს თავს, ეს კი გასაგებს ხდის არა თვითონ ამ თვისობრიობას, არამედ მის კავშირს მთელის შემადგენელ მხარეებთან.

მოლიანობის პრობლემიდან გამოიყოფა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. დავსვათ კითხვა, რა როლი ეკუთვნით მთლიანის ახალ თვისობრიობასა და შემადგენელ მხარეებს მთლიანის რეალურ ურთიერთობაში სხვა საგნებთან თუ მოვლენებთან? მთლიანი განიცდის ზემოქმედებას და თვითონ ახდენს ზემოქმედებას. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილი თეორიები სხვადასხვაგვარად წარმოიდგენენ საქმის ვითარებას. ერთმანეთისაგან თიშავენ საზრისსა და ენერგეტიკულ მხარეს, ამ გზით პრობლემის გადაწყვეტის შემდეგი უმთავრესი სახეებია ცნობილი: 1. დაბალი ფენა (შემადგენელი მხარე) უძლურია და უსაზრისო. ენერგიასაც და საზრისსაც იგი მაღალი ფენიდან იღებს; 2. დაბალი ფენა საზრისს იღებს მაღალი ფენისაგან, მაგრამ ენერგიას მხოლოდ იგი ფლობს; 3. დაბალი ფენის ენერგიის მეტი არაფერი არსებობს; არ არსებობს მაღალი ფენა როგორც ენერგიის მქონე ან საზრისის მიმნიჭებელი (მექანიციზმი); 4. ენერგეტიკული მხარე დაბალის კუთვნილებაა, საზრისიანობა მაღალის; 5. დაბალი უსაზრისოა და ენერგიის მფლობელი, მაღალი უძლურია და საზრისის მიმნიჭებელი, იგი საზრისს ანიჭებს დაბალს, თვითონ კი მისი ენერგიით მარაგდება (შელერის სუბლიმაციის თეორია). არსებულ შეხედულებათა გადმოცემა აქ შორს წაგვიყვანდა[89], რის გამოც აქ მხოლოდ იმის მითითებით დავკმაყოფილდებით, რომ არცერთი სხვა ცნობილი შეხედულება არ შეიცავს საკითხის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმისათვისაა დამახასიათებელი. თუ ამ უკანასკნელის მართებულობას ვაჩვენებთ, ეს სხვა თეორიების მცდარობას დაამტკიცებდა.

სხვა საგნებსა და მოვლენებთან მთლიანის რეალური ურთიერთობისას მთლიანის ახალი თვისობრიობისა და შემადგენელი მხარეების ურთიერთობა, როგორც მითითებული იყო, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც ერთი და იმავე რიგის ორი მოვლენის ურთიერთობა. არც ის შეხედულება შეიძლება გავიზიაროთ, რომელიც მაღალ ფენას ხოლოდ მნიშვნელობად (საზრისის მიმცემად) აქცევს და მის რეალურობას უარყოფს.

უწინარეს ყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ ახალი თვისობრიობა

---

89 ამ საკითხზე იხ. ჩვენი ნაშრომი „ადამიანის მთლიანობის პრობლემა ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში" (იბეჭდება წიგნში „ფილოსოფიური ანთროპოლოგია". ნაწ. I.).

შეუძლებელია არსებობდეს მთლიანის გარეშე, ე. ი. შემადგენელი მხარეების გარეშეც, რის გამო მას დამოუკიდებელი რეალური ურთიერთობის დამყარება არ შეუძლია. მაგრამ მთლიანის რეალური ურთიერთობის ფაქტში მისი რეალური როლის მიკვლევა მაინც შესაძლებელია აბსტრაქციის გზით, რის შესაძლებლობასაც ქმნის შემადგენელი მხარის დამოუკიდებლად არსებობის უნარი. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ მთლიანის ზემოქმედება (თუ მის მიერ გავლენის განცდა) და ის ზემოქმედება, რაც ცალკე აღებული შემადგენელი მხარისათვის იყო დამახასიათებელი. ეფექტებში განსხვავება მიუთითებს იმ რეალურ გავლენაზე, რაც მთლიანს ახასიათებს როგორც მთლიანს. მაგრამ, რადგანაც მთლიანის სპეციფიკას ახალი ფენა, ახალი თვისობრიობა ქმნის, ეს გავლენა ამ ფენის კუთვნილებად უნდა ვცნოთ. ამას ემყარება მთლიანში მოცემული ახალი თვისობრიობის შესახებ აბსტრაქტული მეცნიერების შესაძლებლობა. ისრის სივრცითს ორგანიზაციას თავისთავად (როგორც ფორმას), ცნობიერებას და არცერთ მსგავს ახალ თვისებას არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა და, მაშასადამე, რეალურ ურთიერთობაში ყოფნა სხვა მოვლენებთან, თუ კი ისინი არ შეიცვლნენ, არ განხორციელდნენ მათი „საშენი მასალის" მეშვეობით. ისარი, რომელიც მყარი ფიზიკური სხეულისაგან არ იქნებოდა აშენებული, ვერაფერს გაჭრიდა და არც გაისროლებოდა. ცნობიერება ფიზიკური (ფიზიოლოგიური) მხარის გარეშე ვერავითარ რეალურ გავლენას ვერ მოახდენდა. მათი რეალური გავლენა მხოლოდ მთლიანში იჩენს თავს. მაგრამ ამ მთლიანში მონაწილე შემადგენელი მხარეები არსებითად განსხვავდებიან ამ მთლიანის გარეთ მოცემული თავისი რიგის საგნებისა და მოვლენებისაგან. განსხვავება იმაშია, რომ ეს მხარეები მთლიანში ახალი თვისების საზრისითაა მოცემული.

შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოო ინსტანციაში, გარემოსთან ურთიერთობაშია არა მთლიანის რომელიმე ცალკეული მომენტი, არა შემადგენელი მხარე ან ახალი თვისობრივი მომენტი, არამედ თვითონ მთლიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა მთლიანის სპეციფიკური ურთიერთობები სხვა მთლიანებთან. საილუსტრაციოდ ავიღოთ ერთი შემთხვევა. მთლიანი რეალურ ურთიერთობაშია თავისივე თუ სხვა (მაღალი, ან დაბალი) რანგის მთლიანებთან. განვიხილოთ მთლიანის ზემოქმედება დაბალი რანგის მთლიანზე. იგი გასაგები ხდება მთლიანის და არა მისი რომელიმე მომენტის მოქმედებიდან. ადამიანს შეუძლია, გავლენა მოახდინოს არაორგანულ ბუნებაზე, გარკვეული მიმართულებით შეცვალოს ფიზიკური საგნები და მოვლენები. ეს გავლენა სპეციფიკურია, არსებითად განსხვავდება წმინდა ფიზიკურის გავლენისაგან ფიზიკურზე. ჯერ ერთი, ეს გავლენა შერჩე-

ვითია, ადამიანი თავისი მიზნების შესაბამის საგნებზე მოქმედებს ფიზიკურ სამყაროში. მეორე მხრივ კი ეს გავლენა ადამიანის ცნობიერი მიზნის საზრისის მქონედ აქცევს ფიზიკურ საგნებს (მატერიალური კულტურის შექმნის ფაქტი). როგორაა ეს შესაძლებელი? თუ ამას ადამიანის ცნობიერი მიზნის ზემოქმედებად ჩავთვლიდით, გაუგებარი იქნებოდა როგორ შეძლო ცნობიერებამ ფიზიკური პროცესების გამოწვევა. ხოლო თუ ადამიანის ფიზიკური მხარის გავლენად მივიჩნევდით, გაუგებარი იქნებოდა გამოწვეული ცვლილების ხასიათი (მატერიალური კულტურის საგნის შექმნა). ფსიქოფიზიკური მთლიანის მოქმედება ამ ფაქტს გასაგებს ხდის. ფიზიკურის გარდაქმნა ადამიანს იმიტომ შეუძლია, რომ იგი თავის შემადგენლობაში ფიზიკურ მხარეს შეიცავს. მიზნის შესატყვისი კი ეს გარდაქმნა იმიტომ იყო, რომ ადამიანის მთელს წარმართავდა ცნობიერი მიზანი, რომლის სამსახურშიც იმყოფება ადამიანის ფიზიკური მხარე თავისი სპეციფიკური (ამ მიზნის შესატყვისი) ორგანიზაციის გამო. ეს ორგანიზაცია ცნობიერების საზრისით გაიგება, არა აქვთ საგნებს და არსებებს, რომელნიც ცნობიერებას მოკლებული არიან (ფიზიკური სამყარო). მაგრამ თვითონ ფიზიკურს აქვს ისეთი თვისება, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ეს ორგანიზაცია.

რადგანაც ფსიქოფიზიკური პრობლემა ჩვენ მთლიანობის ზოგადი პრობლემის მოცულობაში შევიყვანეთ, მთლიანობის შესახებ მსჯელობები მის მიმართაც ძალაშია, ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ურთიერთობა რეალური ურთიერთობაა. მაგრამ გამორიცხავს ურთიერთგავლენის თუ პარალელური მდინარების შესახებ საკითხის დაყენებასაც. ადამიანში როგორც ფსიქოფიზიკურ მთლიანში მოცემულია ფსიქიკური და ფიზიოლოგიური მომენტები. ფიზიოლოგიური ამ მთლიანის შემადგენელ მხარეს, „დაბალ ფენას", „საშენ მასალას" წარმოადგენს. ფსიქიკური კი არის მთლიანის ახალი თვისობრივი მომენტი. ფსიქოფიზიკური მთლიანის თვისობრივი სპეციფიკა მისი ფსიქიკურობაა, რაც თავისი საზრისით გამსჭვალავს მთლიანის შემადგენელ მხარეს — ფიზიკურს (ფიზიოლოგიურს), გასაგებს ხდის მის ორგანიზაციას. ფსიქიკური საზრისისაგან დაცლილი ფიზიოლოგიური უკვე აღარ შეიძლება ისეთი ორგანიზაცია იყოს, რომელიც არაფსიქიკურ ბიოლოგიურს (მცენარისეულ ვეგეტატიურს) ზევით ამაღლებოდა. ისევე როგორც ბიოლოგიური საზრისისაგან განთავისუფლებული ფიზიოლოგიური პროცესები მექანიკურ ფიზიკურად იქცევა.

მეორე მხრივ კი თვითონ ფიზიკურს აქვს ისეთი თვისებები, რომელთა გამოც ხდება შესაძლებელი მის მიერ ფსიქიკური საზრისის მიღება, ფიზიკურისაგან ფსიქოფიზიკური მთლიანის წარმოშობა და ფსი-

ქიკური საზრისის მქონე ფიზიკურის მოდელირება (ინფორმაციული მანქანები). ფიზიკურისაგან წარმოიქმნება ფიზიკური გეშტალტები, რომელთა გარკვეული ორგანიზაცია ბიოლოგიური მთლიანის (ცოცხალი არსების) შემადგენელ მხარეს ქმნის. ბიოლოგიური მთლიანი კი ფსიქოფიზიკური მთლიანის შემადგენელ მხარედ ხდება და, ამდენად, ფიზიკურისა და ფსიქოლოგიურის დაკავშირების გამამეშვეებელია. ფსიქოფიზიკური მთლიანის გაგება ამოიწურება ფსიქიკის თვისობრიობისა და ფსიქოფიზიკური მთლიანის შემადგენელი მხარეების (სპეციფიკური ბიოლოგიურისა და ფიზიკურის) ცოდნით. ეს ცოდნა არის საკმარისი და ერთადერთი შესაძლებელი. მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ბევრი რამაა ამ მხრივ მიღწეული, მაგრამ, რასაკვირველია, საკმარისი ცოდნა მოცემული არაა. ასეთი ცოდნისაკენ მარადიული სწრაფვა წარმოადგენს მეცნიერებათა მიზანს. ცნობიერების საკუთარი თვისობრიობის, როგორც ყოველი ახალი თვისობრიობის, წვდომა შეუძლებელია ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესებით. ცნობიერების ეს თვისება თვითონ ცნობიერების ფაქტშია მოცემული. ბიოლოგიისა და ფიზიკის როლი ფსიქოფიზიკური მთლიანის შემეცნებაში სრულიად გარკვეულად წარმოგვიდგება, ისინი დაადგენენ ფსიქიკურის საზრისის მქონე ბიოლოგიური და ფიზიკური ორგანიზაციის ბუნებას, ფსიქიკის წარმოშობის პირობებს.

მიზანდასახული ქცევის კერძო საკითხი კარგი მაგალითია ამ მტკიცებათა საილუსტრაციოდ. ამავე დროს იგი დაკავშირებულია ქცევისმეცნიერების მუშაობის ერთ მთავარ წარმატებასთან. ადამიანს მიზანდასახული ქცევა ახასიათებს. ცნობიერებაში მოცემულია მიზანი. ადამიანი მისი განხორციელებისაკენ ისწრაფვის და ამ პროცესში გვიჩვენებს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც სრულიად უცხოა არა მარტო წმინდა ფიზიკური საგნებისათვის, არამედ მიზნის ცნობიერებას მოკლებული ბიოლოგიური არსებებისათვისაც. ასეთია, მაგალითად, რაიმე მიზნის მიღწევისათვის მეცნიერული კვლევის განხორციელება. ჩვენ აქ არ ვეხებით საკითხს, თუ რა განსაზღვრავს თვითონ მიზნის ცნობიერებას. მიზანდასახული ქცევა ადამიანის როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანის დამახასიათებელია. მისი სპეციფიკური, ბიოლოგიურისაგან და ფიზიკურისაგან განსხვავებული, თვისება მიზნის ცნობიერებაშია. ესაა, რაც თავისი საზრისით გამსჭვალავს მთელ ქცევას და სხვა მოქმედებებთან შეუდარებადს ხდის მას. მიზანი აუცილებლად გულისხმობს მომავლის იდეას, შესაძლებელი ქცევის წარმოდგენას (თუ მოაზრებას). მიზნობრივს არამიზნობრივისაგან ამ ნიშნის გარეშე ვერ განვასხვავებდით. როცა ცნობიერების გარეშე მიზანზე ლაპარაკობენ, მაშინ ან გულუბრყვილო ანთროპომორფისტულ შეცდომას უშვებენ,

ან ამ ცნების ფაიბინგერისეული ფიქციონალისტური გამოყენება აქვთ მხედველობაში. ან ტერმინს სულ სხვა მნიშვნელობით მოიხმარენ. ერთერთი ასეთი გავრცელებული მოხმარება „მიზანში" გულისხმობს იმ მექანიზმის მოქმედებას, რომელიც მიზნობრივი ქცევის მხოლოდ ობიექტურ მხარეს განეკუთვნება (ბიჰევიორისტული გაგება). ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ ცნებასთან ცნობიერი მიზნის ცნების დამოკიდებულების საკითხის გარკვევასაც ვისახავთ მიზნად, ამიტომ მიზნისა და მისი ობიექტური მექანიზმის გაიგივების მცდარობა ქვემოთ თავისთავად იქნება ნაჩვენები. თავი დავანებოთ ტერმინოლოგიურ დავას და შევთანხმდეთ. რომ ტერმინი „მიზანი". აღნიშნავდეს ცნობიერ სწრაფვას რაიმესაკენ. ასეთი ცნობიერი სწრაფვა არსებითად განსხვავდება სხვაგვარი მოქმედებისაგან, თვითონ სწრაფვის მოქმედებისაგან, თუ სწრაფვაში ცნობიერების ნიშანს არ ვიგულისხმებთ.

მიზანდასახული ქცევა ფსიქოფიზიკური მთლიანი მოქმედებაა. მისი სპეციფიკური თვისებაა ის შინაარსი, რაც მიზნის დასახვის ცნობიერების ფაქტში შეიძლება ვიხილოთ, მიზანდასახული ქცევის როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანის შემეცნება ამ შინაარსის წვდომით იწყება. ამის შემდეგ დგება საკითხი, რა ობიექტური ფიზიკური და ბიოლოგიური მექანიზმი უდევს საფუძვლად ცნობიერი მიზანდასახული მოქმედების აქტს.

თუ ცნობიერებისა და მისი საზრისის მქონე ობიექტური მექანიზმის მომენტების შემეცნება განხორციელდება, მიზანდასახული ქცევა როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანი ამით უკვე შემეცნებული იქნება. მიზანდასახული ქცევის ობიექტური მექანიზმის ცდისა და შეცდომის მოდელით გაგება სცადა თორნდაიკმა. ბიჰევიორისტულმა ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა ეს ცნება აიღეს და დაცალეს იგი ფსიქიკური ცნობიერი შინაარსის ნარჩენისაგან, არსებითად ამავე მოდელს დაეყრდნო შემდეგში თეორია თვითრეგულირებადი სისტემების შესახებ. ის ფუნქცია, რაც ადრე მიზნის მიღწევის ცნობიერებას ეკისრებოდა, ახლა ინფორმაციის ცნებას დაევალა (ინფორმაცია ობიექტური, არაცნობიერებისეული ცნებაა, იგი გულისხმობს მხოლოდ იდეალურს. მნიშვნელობას. რომელიც თვითრეგულირებადს სისტემაში ობიექტური ფიზიკური გადაცემის არხებით მიედინება). თორნდაიკის „დასჯისა" და „დაჯილდოების" ცნებები გადაგდებულ იქნა, მაგრამ შენარჩუნებულ იქნა და დამუშავდა უკუკავშირის ცნება, რომელიც არსებითად თორნდაიკის მეთოდშიც იყო მოცემული. ამრიგად, აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი ობიექტური მექანიზმი, რომელიც, გ. კლაუსის აზრით, გასაგებს ხდის მიზნობრივ მოქმედებას. ასევე ფიქრობენ, რომ მართვის თეორია მოიცავს აღქმის, მეხსიერების, აზროვნების პრო-

ცესებს. ამ შეხედულებაში უდავოდ სწორია ის აზრი, რომ მ-კვლეველია მიზნობრივი და სხვა ცნობიერი საზოგისის მქონე მოქმედებების ობიექტური განხორციელების მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომლის დაუფასებლობა სრულიად შეუძლებელია. მაგრამ, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, იგნორირებულია ფსიქოლოგიისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მომენტი — ცნობიერება, რომელიც ინფორმაციული მანქანის შესავალთანაც იგულისხმება და გამოსავალთანაც. თუ ამ მომენტის იგნორირებას არ მივმართავთ, მიზანდასახული ქცევის როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანის შემეცნების ახალ წარმატებასთან გვექნება საქმე. ეშბიმ ისიც აჩვენა, რომ ის თვისება, რაც თვითრეგულირებად მანქანებს ახასიათებს (სტაბილობა), ფიზიკური სამყაროს საგნების საერთო თვისებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკური საზრისის მიღებას ფიზიკური თავისი საკუთარი თვისების გამო ხდის შესაძლებელს, თვითონ ფიზიკურშია მოცემული ფსიქიკურის შესაძლებლობა.

მიზნობრივი ქცევის ობიექტური მექანიზმების კვლევის შედეგები, რომლებიც მართვის თეორიაში იქნა მოპოვებული, შეუძლებელია გაიგოთ ცნობიერი ფსიქიკური საზრისის მომენტის გარეშე. ამ გარემოებით იყო გამოწვეული თვითონ ბიჰევიორიზმის ბანაკში ახალი მიმართულების ჩასახვა, რომელიც თავისთავს „სუბიექტურ ბიჰევიორიზმს" უწოდებს. მილერის, გალანტერის და პრიბრამის შეხედულებით[90], ქცევა მიზნობრივი ხასიათისაა და, მართალია, აგებულია უკუკავშირის ნიადაგზე (მართვის სქემით, მაგრამ, მართვის წმინდა ფიზიკური სისტემისაგან განსხვავებით, თავის საფუძველში ცნობიერებას გულისხმობს. საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული რეფლექსის მექანიკური თეორია და ნაჩვენებია ქცევის ცნობიერი ფსიქიკური საზრისის ცნების აუცილებლობა (ეს თეორია ბიჰევიორიზმისაგან ამ გადამწყვეტ პუნქტში განსხვავდება, სხვა მხრივ კი ბიჰევიორისტული გაგება შენარჩუნებულია: აღებულია ქცევის ბიჰევიორისტული პრაგმატისტული მოდელი, რის გამოც ცნობიერების ერთადერთი ფუნქცია მიზნობრივი ქცევის მიღწევაში გამოიხატება). ქცევა, ამ შეხედულების მიხედვით, გარკვეულ იერარქიულ სისტემად წარმოგვიდგება: მოლეკულარული ოპერაციები (ქცევის ტაქტიკა) განსაზღვრულ თანამიმდევრობას გვიჩვენებენ და ქმნიან მოლარულ სტრუქტურას (ქცევის სტრატეგიას). ქცევა გეგმას გულისხმობს. გეგმა არის ორგანიზმში მიმდინარე იერარქიული პროცესი, რომელიც მართავს მომავალი ოპერაციების თანამიმდევრობას (ორგანიზმის გეგმას შეესაბამება პროგრამა

---

[90] Д. Миллер, Ю. Галантер, К. Прибрам, Планы и структура поведения. М., 1965.

გამომთვლელ მანქანაში). ქცევის გაგებისათვის აუცილებელია ცნობიერი ხატების გათვალისწინება. ხატში იგულისხმება არა მხოლოდ სურათი (აღქმა, წარმოდგენა), არამედ ორგანიზმის მიერ დაგროვილი მთელი სისტემატური ცოდნაც თავისთავის და გარემოს შესახებ. ხატი აუცილებელი ერთეულია ქცევის გასაგებად, მაგრამ იგი თავისთავად მოკლებულია მოქმედების უნარს. შემეცნების აღიარება ვერ უზრუნველყოფს ქცევის გაგებას, რადგანაც გაუგებარია, როგორ გადადის ცოდნა მოქმედებაში (ამიტომ სწორი იყო გაზრი, რომელმაც მიუთითა, რომ ტოლმენის ვირთაგვები უმოქმედონი და მხოლოდ ფიქრში ჩაფლულნი შეიძლება იყონო). როგორ ხერხდება შემეცნებასა და მოქმედებას შორის ხიდის გადება? ამ მიზანს ვერ აღწევს უ. ჯემსის იდეომოტორული აქტის ცნება, რომლის მიხედვითაც მოძრაობის იდეაზე კონცენტრირება თავისთავად იწვევს ამ მოძრაობას. ვერ კ. ლევინის ვალენტობის ცნება ახსნის ამ კავშირს. ცოდნასა და მოქმედებას შორის უფსკრულის ამოვსება შესაძლებელია, ფიქრობენ მილერი და მისი თანაავტორები, გეგმასთან ცოდნის კავშირის ჩვენებით. გეგმა რეგულაციაა, იგი მხოლოდ იერარქიული თანამიმდევრობაა შესასრულებელი ოპერაციებისა და უნდა განვასხვაოთ ენერგიის და ინფორმაციის გადაცემისაგან. რეგულაცია უკუკავშირის ნიადაგზე მართვის სქემით მიმდინარეობს ყველგან („კიბერნეტიკული ჰიპოთეზი"). მაგრამ ორგანიზმში, გამომთვლელი მანქანისაგან განსხვავებით, ეს სქემა გულისხმობს ხატს და მის ნიადაგზე შემოწმებას. არსებული მოვლენის ხატის შედარება ქცევის სასურველ შედეგთან გვიჩვენებს მათ შეუსატყვისობას, რის გამოც სრულდება ოპერაცია ამ შედეგის მიღწევისათვის, ამ ოპერაციის შედეგი კვლავ უნდა შეუდარდეს ქცევის მიზნად დასახულ შედეგს და, თუ კვლავ შეუსატყვისობა დადასტურდა, ისევ ახალ ოპერაციას უნდა მივმართოთ. ეს აქტი წყდება, როგორც კი სასურველ შედეგთან შესატყვისობა მიღწეულ იქნება. ქცევის ასეთ მიმდინარეობას გამოხატავს ზოგადი სქემა: T—O—T—E (შემოწმება — ოპერაცია — შემოწმება — შედეგი). თუ შემოწმებაში ხატი არ ვიგულისხმეთ, რეფლექსის მექანიკურ ცნებას ვერ გავცდებით. ქცევის მთელი მრავალფეროვანება აუხსნელი დაგვრჩება. გეგმა აუ-ლებლად გულისხმობს ხატს. ახალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ცვ ხატს, ეს უკანასკნელი კი, შესაბამისად, გეგმას. თავის მხრივ, გეგმა. კი ის დასწავლილ იქნა, ხატად იქცევა. ასეთია, არსებითად, გე. ხატის კავშირი. გეგმას თავისთავად შეუძლია მხოლოდ მოქმედე. მ ა რ თ უ ლ ე ბ ა განსაზღვროს, ხოლო თვით მოქმედებას სიცვ. იწვევს.

როგორ უნდა იქნას შეფასებული სუბიექტური ბიჰევიო.

ეს თეორია? იგი შეიცავს რეფლექსის მექანიკური თეორიის სწორ კრიტიკას და სწორად მიუთითებს ცნობიერების მნიშვნელობაზე ქცევაში (თუმცა ცნობიერების ფუნქცია ვიწროდაა წარმოდგენილი). ეს თეორია მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ხატის (ცნობიერი ფსიქიკურის) გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ქცევა, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა ქცევის მრავალფეროვანების წვდომა. მაგრამ ამავე საფუძვლით მას უნდა ეთქვა, რომ შეუძლებელია თვითრეგულირებადი მანქანის საზრისის გაგებაც, თუ მას არ განვიხილავდით სისტემაში „ადამიანი—მანქანა—ადამიანი" და არ გავიგვალისწინებდით ცნობიერ საზრისს, რომელსაც ეს სისტემა ადამიანისაგან იღებს. გარდა ამისა, ამ თეორიაში ნაჩვენებია ფსიქიკური საზრისისა და ობიექტური მოქმედების ერთგვარი კავშირი, მაგრამ ნაკადიც არაა ამ კავშირის შესაძლებლობის დასაბუთება.

საფუძვლიანია მთლიანობითი ფსიქოფიზიკური თეორიების მტკიცება, რომ ქცევა როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანი უშუალოდ გვეძლევა. თავის დაქნევა პირდაპირ აღქმება როგორც ასეთი მთლიანი, იგი უსაზრისო მექანიკური მოძრაობა კი არაა, არამედ ისეთი მოძრაობაა, რომელიც, ვთქვათ, მოსაუბრის თანხმობას ნიშნავს ჩვენს აზრებთან. ასეთი მთლიანობითი აღქმა უდავო ფაქტია. მისი იგნორირება [illegible]ოდ იმის გამოც არ შეიძლება, რომ ადამიანები ადამიანური [illegible]ოგადოების ფარმოშობის დღიდანვე მას ეყრდნობიან ერთმანეთის ქცევების შეფასებისას და მისით ხელმძღვანელობენ მოქმედებაში. რაც უნდა შორს წავიდეს ფსიქიკური და ფიზიკური მომენტების იზოლირებული შესწავლა, იგი ვერასოდეს შეცვლის ქცევის მთლიანობითი აღქმის ფუნქციას ადამიანთა მოქმედებაში. მაგრამ ფსიქოფიზიკური მთლიანი ქცევის უშუალო აღქმა მაინც უშუალო აღქმაა და თეორიული რეფლექსიის გარეშე მეცნიერების კუთვნილებად ვერ იქცევა. ამ მიზნით საჭირო იყო ფსიქოფიზიკური მთლიანობის ცნების შემოტანა, მისი შესაძლებლობისა და შემეცნებითი მნიშვნელობის დასაბუთება.

ამ ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად მთლიანობითი ფსიქოლოგიური თეორიები. ასეთი მნიშვნელოვანი ცდა იყო ს. რუბინშტეინის თეორია „მოქმედიანობის" შესახებ. ეს თეორია, რომელსაც ავტორი ავითარებდა თავის „ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლებში" (1946 წ.), და წიგნში „ყოფიერება და ცნობიერება" (1957 წ.), ბევრ საგულისხმო მომენტს შეიცავს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, ვერ წყვეტს ფსიქოფიზიკურ პრობლემას, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ვერ აფუძნებს ფსიქოფიზიკური მთლიანობის თვალსაზრისს. დ. უზნაძემ შექმნა მთლიანობითი ფსიქოლოგიური თეორია. განწყო-

ბის ცნება ასახავს იმ თავისებურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექ-ტის მთლიანობითი მოქმედების საფუძველს წარმოადგენს. დ. უზნაძი-სათვის განწყობა არ არის მხოლოდ ისეთი კონსტრუქცია, რომელიც მთლიანობის მხოლოდ ცარიელ იდეას შეიცავდეს, განწყობა მრავალ-მხრივ პოზიტიურ დახასიათებას იღებს, რომელსაც ეყრდნობა დ. უზ-ნაძის ლაბორატორიაში შესრულებული მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა ფსიქოლოგიის ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე. განწყობის თეორიის ძირითად ასპექტს- -მიზანშეწონილი ქცევის ახს-ნის პრობლემას (განწყობის ანტიციპაციურ ბუნებას) — ჩვენ აქ უშუ-ალოდ არ ვეხებით. ჩვენი ამოცანა იყო, გაგვერკვია მთლიანის სპეცი-ფიკური ახალი თვისობრიობისა და შემადგენელი მხარეების „სუბორ-დინაციული", „იერარქიული" ურთიერთობის პრობლემა და ამით ლაგვეფუძნებინა ფსიქოფიზიკური მთლიანობის ისეთი ცნებაც, სადაც გასაგები აზრით იქნებოდა განსაზღვრული ფსიქიკურისა და ფიზიკუ-რის ადგილი, მათი ურთიერთმიმართება. ბიჰევიორიზმის პრობლემას-თან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ პრობლემას ენიჭება. რასაკვირველია, მთლიანობის პრობლემა შეიცავს მთლიანის შემად-გენელ მხარეთა ისეთი ურთიერთობის საკითხსაც, სადაც ეს მხარეები არასუბორდინაციულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან, თანაბარღი-რებულ კომპონენტებს წარმოადგენენ. ეს მიმართება შეიძლება იყოს ერთი რიგის მოვლენათა (მაგალითად, ფიზიკურისა ფიზიკურთან) მიმართება, ან სხვადასხვა რიგის მოვლენათა არასუბორდინაციული მიმართება (როგორიცაა სიტუაციისა და მოთხოვნილების ურთიერთო-ბა განწყობის მთლიანში). უშუალოდ ეს საკითხი წიმამდებარე ნაშრო-მში განხილული არაა. ასევე არაა გამოკვლეული ცალკეულ მთლიანობა-თა ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი შედგენილობის საკითხები. მაგრამ ყოველი მთლიანობითი ფსიქოლოგიური თეორია შეიცავს იმ არსებით მომენტს, რომელსაც ეხება ჩვენს მიერ განხილული პრობლემა მთლიანობის შე-სახებ. მთლიანის გაგება, რომელიც ზემოთ იყო განვითარებული, ჩვენი აზრით, ეთანხმება განწყობის ფსიქოლოგიურ კონცეფციას. განწყობაში რ ო გ ო რ ც ფ ს ი ქ ო ფ ი ზ ი კ უ რ მ თ ლ ი ა ნ შ ი ფიზიკურისა და ფსიქიკურის დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ შეიძლება წაშლილად წარმოვიდგინოთ. ფსიქოფიზიკური მთლიანობა საერთოდ შეუძლებე-ლია ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობის ნიშნით დავახასიათოთ, რადგა-ნაც ამ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა ფიზიკურსაც და ფსიქიკურსაც და, ამის გამო, თვითონ მთლიანიც აღარ იქნებოდა ფსიქოფიზიკური მთლიანი. ფსიქოფიზიკურ მთლიანში ორივე ამ მომენტის ადგილი და ურთიერთკავშირი ისეთი გასაგები აზრით უნდა იყოს განსაზღვრული, რომ შენარჩუნებული იყოს თვით ამ მომენტების საკუთარი ნიშნებიც-

ფსიქოფიზიკური პრობლემების მოცემულ გადაჭრას ნების თავისუფლების პრობლემისათვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მხედველობაში გვაქვს არა პრობლემის ისეთი დაყენება, რომელიც აფექტებით დეტერმინირებულობისაგან ნების თავისუფლებას შეეხება, ან საერთოდ ყოველგვარი დეტერმინირებულობისაგან თავისუფლებას (როგორც ექსისტენციალიზმი აყენებს ამ საკითხს), არამედ ფიზიკური დეტერმინირებულობისაგან ნების თავისუფლების პრობლემა.

ნების თავისუფლება ადამიანის ცნობიერ თვითაქტივობას გულისხმობს. ადამიანი, მექანიკური ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით, ცნობიერ მიზნებს ისახავს, შეარჩევს თავისი მოქმედების ორიენტირს — მიზანს და მისი განხორციელებისათვის ასევე არჩევითს მოქმედებას მიმართავს. იგი, ამ აზრით, თვითონაა მოქმედი და არაა შებოჭილი ფიზიკური (ფიზიოლოგიური) პროცესებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი ფიზიკური ორგანიზაციაა, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მიზეზობრივადაა დეტერმინირებული, მისთვის უცხოა არჩევანი, რომელიც თავისუფალი ნების არსებითი პრედიკატია. გამოდის, რომ ადამიანი თავისუფალიცაა და არცაა თავისუფალი. როგორ უნდა გადავჭრათ ეს ანტინომია?

ფსიქოფიზიკური მთლიანობის მოცემული გაგება საფუძველს ქმნის საკითხის გადაჭრისათვის. თუ თავისუფლებას ცნობიერებას მივაწერდით, პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რეალური მოქმედება მიეწერება ფსიქოფიზიკურ მთლიანს და არა მის რომელიმე ცალკეულ იზოლირებულ მომენტს. ამიტომ აზრს მოკლებულია თავისუფლების პრობლემის ისეთი გაგება, რომელიც ცნობიერებისა და მისი ფიზიკური საფუძვლის კანონების დაპირისპირებას გულისხმობს. თავისუფლება ფსიქოფიზიკური მთლიანის კუთვნილებაა. საკითხი ამ მთლიანის მიმართ დაისმის და ასეთ ფორმულირებას იღებს: რა დამოკიდებულებაა ფსიქოფიზიკურ მთლიანსა და ფიზიკურს შორის? ანტინომია აქაც იჩენს თავს. ფიზიკური დეტერმინირებულია მიზეზობრივად, ფსიქოფიზიკური მთლიანი კი ამისაგან განსხვავებულ თვითაქტივობას გვიჩვენებს, ახდენს მოქმედების მიზნის არჩევას და არჩევითს მოქმედებას მიმართავს მისი განხორციელების გზაზე. როგორაა შესაძლებელი ამ წინააღმდეგობის მოხსნა? ეს შეიძლებოდა თვითონ ამ წინააღმდეგობის გაუქმებით, მაგრამ ეს პრობლემის გადაჭრა კი არ იქნებოდა, არამედ გაუქმება, ფსიქოფიზიკური მთლიანისა და ფიზიკურის განსხვავების უკანონო იგნორირება. რაც წაშლიდა ყოველგვარ საზღვარს ფსიქოლოგიასა და ფიზიკურ მეცნიერებებს შორის. ადამიანი როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანი არ

არღვევს ფიზიკის კანონებს, იგი შეუძლებელია ფიზიკური კანონებით არ იყოს დეტერმინირებული. მაგრამ იგი არაა დეტერმინირებული მხოლოდ იმ ფიზიკურის კანონებით, რომელიც ფსიქოფიზიკური მთელის გარეთ იმყოფება. ფიზიკური ორგანიზაცია, რომელსაც ადამიანი შეიცავს და რომლის კანონებსაც იგი ემორჩილება, ახალ სპეციფიკურ თვისებას ფლობს, რომელიც ამ ორგანიზაციის გარეთ მყოფ ფიზიკურს არ ახასიათებს. იგი ფსიქიკური საზრისის მქონე ორგანიზაციაა, მიზნის არჩევითი მოქმედების განხორციელების ობიექტური ფიზიკური მექანიზმია. ფსიქოფიზიკური მთლიანი ამ ახალი ფიზიკური ორგანიზაციის, ფსიქიკური საზრისის მქონე ფიზიკურის კანონებითაა დეტერმინირებული, მაგრამ ეს დეტერმინირებულობა არ ეწინააღმდეგება თვითრეგულაციის, თვითაქტიობის, არჩევითი მოქმედების შესაძლებლობას. პირიქით, იგი მათი შესაძლებლობის ფიზიკურ პირობას წარმოადგენს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა თითქოს შეიცავს ერთ შეკდომას, სახელდობრ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგობა მოხსნილი „ი არაა, არამედ გადატანილია ერთი ადგ.ილიდან მეორეზე, რომ ახლა წინააღმდეგობა მთლიანში შემავალ ფიზიკურსა და მის სპეციფიკურ ორგანიზაციას შორის იჩენს თავს. მაგრამ ეს არგუმენტი მაშინვე მოიხსნება, როგორც კი იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ორგანიზაციის პირობა მოცემულია თვითონ ამ ორგანიზაციის გარეთ მყოფ ფიზიკურში. ეს ფიზიკური ფლობს ისეთ თვისებებს, რომლებიც მისი ახალი ორგანიზაციის საშუალებას იძლევა. ეს ნაჩვენები იყო მიზანდასახული მოქმედების ფიზიკური მექანიზმის მაგალითზე.

როგორ წარმოგვიდგება ფსიქოფიზიკური პრობლემისა და მთლიანობის ზოგადი პრობლემის შესახებ ზემოთ მოყვანილი მტკიცებების შემდეგ მეცნიერებათა სისტემა და ამ სისტემაში ფსიქოლოგიისა და ობიექტური ქცევის შესახებ მეცნიერების შესაძლებლობა და ადგილი?

მეცნიერებათა სისტემასაც და ცალკეული მეცნიერებებისა და მათი ცალკეული დარგების შესწავლის საგანს დაადგენს და მათი შესწავლის მეთოდს განსაზღვრავს ცდაში მოცემული, სინამდვილე, რომელიც მთლიანობებისა და მათი გარკვეული იერარქიული სტრუქტურისაგან შედგება. ახალი მთლიანობები ახალ თვისობრიობებს ფლობენ. მთლიანის განხილვა ამ თვისობრიობის თვალსაზრისით წარმოადგენს ყოველი მეცნიერების ამოცანას და განსაზღვრავს ამ მეცნიერებების მეთოდთა თავისებურებებს. ამავე დროს მკაფიოდაა მოცემული არა მარტო ამ მეცნიერებათა საზღვრები, არამედ მათი მნიშვნელობაც ერომანეთისათვის. ახალი თვისობრიობის შესახებ მეცნიერება შემადგენელი მხარეებისაგან აბსტრაქციით შეისწავლის თვითონ ამ თვი-

სობრიობას და, იყენებს რა ამ მთლიანში შემავალი „ფენების“ შესახებ სხვა მეცნიერებათა მონაცემებს, იკვლევს საკითხს. როგორაა გამთლიანებული ეს შემადგენელი მხარეები ახალი თვისობრიობის საზრისით. შემადგენელი მხარეების სპეციფიკური ორგანიზაციის კვლევა შეუძლებელია ახალი თვისობრიობის საზრისის გარეშე, მაგრამ ამ მუშაობაში ამ საზრისისაგან გარკვეული აბსტრაქციაა შესაძლებელი, რაც აფუძნებს ასეთი გამოკვლევის ერთგვარ დამოუკიდებლობას. ამრიგად, მთლიანის შესახებ ერთი მეცნიერება იქმნება, რომელიც თავისთავში გულისხმობს აბსტრაქტიული კვლევის ორ სახესაც — მთლიანის ახალი თვისობრიობის დამოუკიდებელ გამოკვლევას და შემადგენელი ფენების ორგანიზაციის გამოკვლევას. ეს მეცნიერება იყენებს შემადგენელი მხარეების შესახებ მეცნიერებათა მონაპოვარს და თავის მხრივ იძლევა ცოდნას, რომელიც გამოიყენება მეორე მეცნიერების მიერ, რომელიც ისეთ ახალ მთლიანს სწავლობს, სადაც პირველის შესწავლის ობიექტი მხოლოდ შემადგენელ მხარეს წარმოადგენს.

ამის შესაბამისად დგინდება ფსიქოლოგიისა და ქცევათმეცნიერების ადგილი და დამოკიდებულება ერთმანეთთან და სხვა მეცნიერებებთან. აქ ჩვენი უშუალო მიზანია განვიხილოთ სინამდვილის ის სფერო, რომელიც ფსიქოლოგიის ასპარეზია, და გამოვყოთ ფსიქოლოგიაში ქცევის ობიექტური მხარის კვლევის ადგილი. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ სინამდვილის შემსწავლელ მეცნიერებათა სისტემის სტრუქტურა, სადაც ფსიქოლოგიას გარკვეული ადგილი უკავია.

სინამდვილე, სამყაროს განვითარების უწყვეტი პროცესი, გარკვეულ სტრუქტურას გვიჩვენებს. წარმოიშობიან, იცვლებიან და ვითარდებიან ახალი მთლიანობები, ახალი თვისობრიობები. განვითარების ერთი საფეხური ამზადებს მეორეს, რომელიც თავის მხრივ კვლავ ახალი საფეხურის წარმოქმნის პირობებს ქმნის. განვითარება, როგორც ახალი თვისობრიობის წარმოშობა, ადამიანთა საზოგადოებაში ღირებულების თვალსაზრისით დგინდება, უკეთესისაკენ სვლის პროცესია და ამ აზრით თვითონ მექანიკური ფიზიკურის განვითარებაზეც ლაპარაკობენ. რამდენადაც იგი ქმნის პირობებს სიცოცხლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოშობა-განვითარებისათვის. მაგრამ ახალი მთლიანობების წარმოქმნა და მათ შორის არსებული იერარქიული დამოკიდებულება შეიძლება არა ღირებულების თვალსაზრისითაც იქნეს გამოყოფილი: დაბალი საფეხური მაღლისაგან დამოუკიდებლადაც არსებობს. მაგრამ მაღალი საფეხურის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ეს ნიშანი ადგენს მათ განსხვავებას.

ფიზიკური სამყაროს განვითარების შედეგად წარმოიშვა ბიოლო-

გიური არსება როგორც სპეციფიკური მთლიანი. ამ მთლიანს და მის სპეციფიკურ თვისებას — სიცოცხლეს იკვლევს ბიოლოგია. ანორგანული ბუნების საგნებისაგან განსხვავებით ცოცხალი არსება ხასიათდება განსაკუთრებული ორგანიზაციით, სიცოცხლის აზრის მქონე მოქმედებით. ძირითადი ცნება, რომელიც სიცოცხლის სპეციფიკას ასახავს, არის მოთხოვნილების ცნება. სიცოცხლის სპეციფიკის გამოკვლევა ბიოლოგიის ამოცანაა, ჩვენ კი აქ იმის მითითებით დავკმაყოფილდებით, რომ სიცოცხლე არ დაიყვანება ანორგანულ ფიზიკურზე.

მეორე მხრივ კი, სიცოცხლის არსში არ შედის ცნობიერება. ცნობიერება განვითარების შემდგომ საფეხურზე წარმოიშობა. ზოგიერთ ბიოლოგიურ არსებას ცნობიერებაც ახასიათებს, ადამიანს კი — სოციალური ცნობიერების ფორმებიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცნობიერება ბიოლოგიური საფეხურის თვისებაა. ასევე არ მიეკუთვნება სიცოცხლე ანორგანულის საფეხურს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახასიათებს ზოგიერთ ანორგანულ ფიზიკურ საგანს. დაბალი საფეხური მაღლის შემადგენლობაში ყოველთვის შედის, მაგრამ ამ უკანასკნელის სპეციფიკა მას არ მიეწერება.

ბიოლოგიური პროცესების განვითარება საფუძვლად დაედო ახალი მთლიანის — ადამიანის წარმოშობას. ადამიანის სპეციფიკური მთლიანობა ბიოლოგიის შესწავლის საგანი არაა, მას იკვლევენ სოციალური მეცნიერებები. ფსიქოლოგია განიხილავს ამ მთლიანის გარკვეულ სპეციფიკურ თვისებას და შედგენილობას. რა შეადგენს ადამიანის სპეციფიკას? ბიოლოგიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, საარსებო საშუალებათა მოპოვების პროცესში წარმოიშობა მოქმედების ახალი სახე — შრომა. შრომა არის მოქმედება, რომელიც პროდუქტის შექმნისაკენაა მიმართული, პროდუქტი კი ისეთი მოხმარების საგანია, რომელიც არა უშუალო მოხმარებისათვის, არამედ მომავლისთვისაა გამიზნული და გულისხმობს შრომის პროცესში მონაწილე ადამიანთა სპეციფიკურ ურთიერთობას წარმოების პროცესში. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ შრომის პროცესი თავისი არსით გულისხმობს და წარმოშობს „დისტანტურ“ ცნობიერებას, ცნობიერებას, რომელიც აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილებით კი არაა შებოჭილი, არამედ სცილდება მას და საგანთა და მოვლენათა ისეთ მხარეებს და მიმართებებს ასახავს, სადაც ობიექტური ვითარებაა წარმოდგენილი (ლოგიკური, ეთიკური, ესთეტიკური). ამრიგად, შრომის პროცესში იქმნება სპეციფიკურ ადამიანური ცნობიერება — სოციალური ცნობიერების ფორმები. ადამიანის როგორც სპეციფიკური მთლიანის მოქმედებას განსაზღვრავს სოციალური სინამდვილე და მასთან არსებითად დაკავშირებული სოციალური ცნობიერების ფორმები. ასეთი არსების აღსანიშნავად იხმა-

რება ტერმინი „პიროვნება“ (ეს ტერმინი ზოგჯერ ვიწრო მნიშვნელობითაცაა მოხმარებული — ეოიკური არსების აღსანიშნავად, — ზოგჯერაც სულ სხვა შინაარსს გამოხატავს, რასაც ჩვენ აქ არ ვეხებით). პიროვნება არის მთლიანობა, რომლის სპეციფიკასაც სოციალური ცნობიერების ფორმები და ამის შესაბამისი სოციალური საზრისის მქონე მოქმედება შეადგენს. პიროვნებას შეისწავლის ფილოსოფია და მისი დარგები (სოციოლოგია, გონისმეცხიერებები, ფილოსოფიური ანთროპოლოგია). პიროვნებას სწავლობს ფსიქოლოგიაც. ფსიქოლოგიის ამოცანაა პიროვნების ემპირიული, ბუნებისმეტყველური გამოკვლევა, იმ კანონზომიერების აღმოჩენა, რომელსაც პიროვნება გვიჩვენებს როგორც რეალურად მოქმედი მთლიანი არსება. პიროვნებები ერთიანდებიან ახალ მთლიანობებში, ესაა სოციალური კოლექტივი, ჯგუფი, ფენა, კლასი. ამ მთლიანობებს თავისი თვალსაზრისით იკვლევს ფსიქოლოგიაც (სოციალური ფსიქოლოგია).

ფილოსოფიისა და მისი დარგების კვლევა ადამიანის მთლიანსაც გადასწვდება. ფილოსოფია სწავლობს ერთიან სამყაროს, რომლის სტრუქტურაშიც შედის ყველაფერი და, მაშასადამე ადამიანიც. ფილოსოფია ისწრაფვის მთლიანი სამყაროს სურათის დადგენისაკენ (ონტოლოგია) და მისი შემეცნების პრინციპულ საკითხებს იკვლევს (შემეცნების თეორია). ადამიანის მთლიანი, როგორც სამყაროს სურათის ნაწილი, შეადგენს ფილოსოფიის სპეციალური დარგის — ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგანს. ადამიანის ფილოსოფიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა მარქსისა და ენგელსის ნაშრომებმა (ამის საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიული ფილოსოფიური თეორიები ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხებს ანთროპოცენტრისტულად ჭრის, რითაც ფაქტიურად აუქმებს ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას როგორც ფილოსოფიის დ ა რ გ ს). როგორ უნდა გვესმოდეს ფილოსოფიისა და მისი ამ დარგის დამოკიდებულება ადამიანის შემსწავლელ სპეციალურ მეცნიერებებთან? ფილოსოფია მთლიანს სწავლობს, მაგრამ მთლიანობებს იკვლევენ კერძო მეცნიერებებიც, ამის გამო ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფილოსოფია და მისი დარგები მხოლოდ ზოგადობის ხარისხით განსხვავდებიან კერძო მეცნიერებათაგან? კერძო მეცნიერებებში გამოყენებული ცნებების სრული აზრი, რასაც ამ ცნებების მომცველი ზოგადი ცნებები ადგენენ, თვითონ კერძო მეცნიერების შიგნით ვერ მიიღწევა. ამ აზრს ადგენს უფრო ზოგადი მეცნიერება, რომელიც სხვადასხვა კერძო მეცნიერებათაგან საერთო შინაარსზე მიმართავს კვლევას. ასეთი განზოგადება სულ მაღლა და მაღლა მიემართება, ვიდრე კატეგორიებამდე არ მიაღწევს. ამ აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ კერძო მეცნიერებათა ცნებები თავის სა-

ფუძველს პოულობენ, სრულ ევიდენტურობას აღწევენ, უფრო ზოგად ცნებებში. მაგრამ კატეგორიის შემთხვევაში სპეციფიკური ვითარება იქმნება, აქ უკვე საბოლოო საფუძველთან გვაქვს საქმე, შეუძლებელია შემდგომი ზევით სვლა. ფილოსოფიამ თავისი ცნებებისა და მსჯელობების ევიდენტურობას თავისსავე ფარგლებში უნდა მიაღწიოს. ეს ქმნის ფილოსოფიისა და მისი დარგების თავისებურებას, რომლითაც ისინი არსებითად განსხვავდებიან სპეციალურ მეცნიერებათაგან.

სანამ ფიზიკასა და ბიოლოგიასთან ფსიქოლოგიის დამოკიდებულების საკითხს განვიხილავდეთ და ქცევის ობიექტური პირობების კვლევის სპეციფიკაზე დავიწყებდეთ მსჯელობას, აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ფსიქიკური განვითარების ორი საფეხური. ბიოლოგიურიდან სოციალური ცნობიერების საფეხურზე გადასვლა გაუგებარი იქნებოდა, მათ შუა მდებარე საფეხურს თუ არ გავითვალისწინებდით. ცოცხალი არსება წმინდა ბიოლოგიურ საფეხურს მანამდე გასცდა, სანამ პიროვნება წარმოიშობოდა. ბიოლოგიური განვითარების საფუძველზე წარმოიშვა ფსიქიკურის დაბალი პლანი, ფსიქიკური ცხოვრების არასოციალური დონე, რომლისთვისაც დამახასიათებელია შეგრძნების. აღქმის და საერთოდ პირველადი, ურეფლექსიო ცნობიერების უნარი. ამ საფეხურზე ცოცხალი არსება უკვე შეიგრძნებს გამღიზიანებლის ზემოქმედებას, აღიქვამს საგნებს, ემოციური დამოკიდებულება აქვს მათთან. მაგრამ ჯერ კიდევ არაა მიღწეული დისტანციის, ობიექტივაციის საფეხური, თვითცნობიერება, ცნობიერების სოციალური ფორმები, რომლებიც პირველად შრომის პროცესში წარმოიშობიან. ფსიქოლოგია სწავლობს არა მარტო პიროვნების ფსიქიკას, არამედ ფსიქიკის ამ დაბალ საფეხურსაც. ფსიქიკურის პირველი დონე ახალი თვისობრივობაა ბიოლოგიურთან შედარებით, მაგრამ მოკლებულია იმ სპეციფიკურ თვისებას, რომელიც ადამიანის ფსიქიკის კუთვნილებაა. სპეციფიკურ ადამიანური ფსიქიკა ფსიქიკის განვითარების ამ პირველი საფეხურის განვითარების საფუძველზე წარმოიქმნება და თავის შემადგენელ მხარედ ყოველთვის მას შეიცავს. შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების არსებობა, რომ იგი ამავე დროს არ იყოს პირველადი დონის ცნობიერებაც. მაგრამ ფსიქიკის ახალი დონის სპეციფიკა თვითონ მასშივეა მოცემული და შეუძლებელია ამ შემადგენელი მხარის საშუალებით იქნეს გაგებული. ადამიანის ფსიქიკა როგორც მთლიანი იწვდომება იმ საზრისით, რომელიც ამ მთლიანის სპეციფიკას შეადგენს და რომელსაც იპოვებს ადამიანის შემადგენელი მხარე—ფსიქიკურის დაბალი ფენა ამ მთლიანში. პიროვნების ფსიქიკის შესწავლა გულისხმობს ცოდნას, რომელიც ფსიქიკის პირველ პლანს შეეხება, მაგრამ ეს ცოდნა თავისთავად საკ-

მარისი არაა ამ პლანის იმ თავისებურების გაგებისათვის, რომელიც მეორე პლანის ფსიქიკის წარმოშობის უშუალო პირობას წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა ამ თვალსაზრისით სპეციალურად იქნეს გამოკვლეული პირველი პლანის ფსიქიკის ორგანიზაცია, როგორც ადამიანური ფსიქიკის საზრისის მქონე. ადამიანის ფსიქიკის საფეხური, როგორც მთლიანი, თავის შემადგენელ მხარედ შეიცავს ფსიქიკის პირველ საფეხურს, ამ უკანასკნელში კი ასეთ მხარედ ბიოლოგიური გვეველინება.

ადამიანურ ფსიქიკამდე მიმავალი გზა, როგორც ვნახეთ, საფეხურებრივი თანამიმდევრობით ასე წარმოგვიდგება: ანორგანული ფიზიკური და მისი ბიოლოგიური საზრისის მქონე ორგანიზაცია, ბიოლოგიური და მისი ისეთი დონე, რომელიც შემდგომ საფეხურზე გადასვლას განსაზღვრავს, ფსიქიკის პირველი დონე და მისი დონე, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანური ფსიქიკის წარმოქმნას, და ბოლოს, სპეციფიკური ადამიანური ფსიქიკა. ბიოლოგიურის ახალი თვისობრივი მომენტია სიცოცხლე, ფსიქიკურის პირველი საფეხურისა — პირველადი ცნობიერება, ადამიანური ფსიქიკისა კი — სპეციფიკურ-ადამიანური, დისტანტური, ობიექტური ცნობიერება, სოციალური ცნობიერების ფორმები. განვითარების დაბალი საფეხური შედის მომდევნო საფეხურში როგორც ახალი სპეციფიკური მთლიანის შემადგენელი მხარე, მომდევნო საფეხური კი, თავის მხრივ, ასეთსავე ადგილს იკავებს სხვა ახალი მთლიანის შემადგენლობაში. მაღალი საფეხურის მთლიანში ყველა ქვედა საფეხურია წარმოდგენილი, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ გარკვეული „იერარქიული“ თანამიმდევრობით: ფსიქიკურის საფეხურზე ფიზიკური ბიოლოგიურის მეშვეობითაა წარმოდგენილი (ფიზიკური ზედა ბიოლოგიურის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ფსიქიკურში), პიროვნების ფსიქიკა უშუალოდ ეყრდნობა ფსიქიკის პირველ პლანს, მისი მეშვეობით კი ბიოლოგიურს და, ბოლოს, ანორგანულ ფიზიკურს.

ამის მიხედვით უნდა დაზუსტდეს ფსიქოფიზიკური პრობლემის ფორმულირება. ფსიქოფიზიკურ პრობლემაში ყოველთვის იგულისხმებოდა ფიზიკურისა და მისგან მაქსიმალურად დაცილებული საფეხურის — გონითი ფსიქიკურის — ურთიერთობა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს ურთიერთობა შეიცავს ფიზიკურისა და გონითის შუა მდებარე მიმართებებსაც, რის გამოც ფსიქოფიზიკური პრობლემა საკითხთა ასეთი სისტემის სახით წარმოგვიდგება: ფიზიკურისა და ბიოლოგიურის ურთიერთობის პრობლემა, ბიოლოგიურისა და ფსიქიკის პირველი საფეხურის ურთიერთობის საკითხი, ფსიქიკის პირველი და მეორე საფეხურების ურთიერთობის პრობლემა. რასაკვირველია, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს არ არსებობს ფსიქოფიზიკურის

ერთიანი პრობლემა. მაგრამ ამ ერთიანი პრობლემის ზუსტი შინაარსის ღადგენა (რაც აუცილებელი პირობაა პრობლემის გადაჭრისათვისაც) მხოლოდ ამ დაზუსტების ნიადაგზეა შესაძლებელი. ანორგანული ფიზიკურიდან ადამიანურ ცნობიერებამდე რამდენიმე ახალი თვისობრიობაა მოცემული, რომლებიც უცხოა ანორგანული საფეხურისათვის. მაგრამ ადამიანური ცნობიერების საფეხურის უშუალო კუთვნილება კი არაა, არამედ შემადგენელი დაბალი საფეხურების სპეციფიკაა. როდესაც ჩვენ ვწყვეტთ საკითხებს, თუ როგორაა შესაძლებელი ბიოლოგიურში ანორგანულისა და სიცოცხლის ატრიბუტების არაწინააღმდეგობრივი თანაარსებობა, როგორაა შესაძლებელი სიცოცხლისა და პირველადი ცნობიერების ატრიბუტების თანხმობა პირველი პლანის ფსიქიკის მთლიანში და როგორ შეიძლება წინააღმდეგობის გარეშე მოვისაზროთ პიროვნება როგორც პირველადი ცნობიერებისა და გონითი (სოციალური) ცნობიერების ერთიანობა, — მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს ის პრობლემა, რომელიც ფსიქოფიზიკური პრობლემის სახელით იყო ცნობილი, ოღონდ ზუსტი ფორმულირებით არ იყო მოცემული.

ფსიქიკურის პირველი დონე ბიოლოგიურის განვითარების შედეგია და მას შეიცავს შემადგენელ მხარედ. პრიმარული ცნობიერების ის ახალი თვისობრიობა, რომელიც ამ მთლიანის სპეციფიკას შეადგენს. ფსიქიკის პირველი დონის გაგებისათვის საჭიროა [illegible] კიფიკა გავარკვიოთ და შევისწავლოთ ბიოლოგიურის ის სპეციფიკური „ორგანიზაცია“, რომელიც ამ ახალი თვისობრიობის წარმოშობას განაპირობებდა. როცა ფსიქოლოგია ფსიქიკის ამ საფეხურს იკვლევს, იგი ეყრდნობა ბიოლოგიის მონაცემებს და, ამის მეშვეობით, ფიზიკის მონაცემებსაც. მაგრამ ამ მეცნიერებებიდან აღებული ცოდნა თავისთავად საკმარისი არაა, რადგანაც ბიოლოგიური მასში წარმოდგენილი არაა ცნობიერების საზრისით. ამიტომ ფსიქოლოგიამ თვითონ უნდა განახორციელოს ბიოლოგიურის ისეთი ორგანიზაციის კვლევა, სადაც ეს საზრისი იქნება მოცემული. ამგვარ კვლევას ფსიქოლოგია დიდი ხანია მიმართავს და ამ მხრივ გარკვეული წარმატებებიც აქვს მიღწეული, მითითებულია ბიოლოგიურის იმ ორგანიზაციის ზოგიერი ბუნება, სადაც ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელია შეგრძნების როგორც ცნობიერი მოვლენის სიგნალური ფუნქცია და სხვ.

ესაა ქცევის სპეციფიკური ბიოლოგიური პირობების კვლევა. ბიჰევიორიზმის ბიოლოგისტურ რედუქციონისტურ სახეობას მთელი ფსიქოლოგიის ამოცანა აქამდე დაჰყავდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თეორიაში არ ცნობდა ცნობიერების საზრისის მნიშვნელობას ასეთი კვლევისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს კვლევა არაფრით

განსხვავდება წმინდა ბიოლოგიური კვლევისაგან, ბიოლოგიის საკუთარი საქმეა და აუქმებს ფსიქოლოგიას. შეგრძნების სპეციფიკური ბიოლოგიური პირობების კვლევა, მაგალითად, შეუძლებელია შეგრძნების როგორც ცნობიერების მოვლენის საზრისის გარეშე, შეუძლებელია შეგრძნების გაგება როგორც მხოლოდ ბიოლოგიური ფუნქციის მქონე ობიექტური დისკრიმინაციისა, რადგანაც, როგორც არაერთხელ ყოფილა ნათქვამი ბიჰევიორიზმის წინააღმდეგ, ამ გზით შეუძლებელი იქნებოდა თვითონ გრძნობის ორგანოს ანატომიური გამოყოფაც კი. თვალი იმიტომაა გამოყოფილი როგორც გრძნობის ორგანო, რომ მას შეგრძნების (ფერების ხედვის) ფუნქცია აქვს. ცნობიერი საზრისის გარეშე რომ ორგანიზმის სხეულის აგებულებასა და მოქმედებაზე დაკვირვება საკმარისი იყოს, იმდენი საოცრად უაზრო „გრძნობის ორგანოები" გამოიყოფოდა, რამდენსაც გეომეტრიული ან. უკეთეს შემთხვევაში, ბიოლოგიური თვალსაზრისი გახდიდა შესაძლებელს. შეგრძნება, როგორც პირველადი ცნობიერების ფაქტი, წარმოადგენს აუცილებელ ინდიკატორს, საზრისის მიმცემს მისი ობიექტური ბიოლოგიური პირობების კვლევისათვის. ანალოგიურია ქცევის ანორგანული ფიზიკური კვლევის შესაძლებლობაც. უკიდურესი მექანიცისტური რედუქციონისტური ბიჰევიორიზმისათვის, რომელიც ქცევის ცნობიერ საზრისზე უარს ამბობს, ასეთი კვლევა მიუღწეველია.

ფსიქოლოგიის ამოცანაა ფსიქიკური მთლიანის კვლევა, იმ კანონზომიერების აღმოჩენა, რომელსაც ეს მთლიანი გეიჩენებს რეალური ურთიერთმოქმედების პროცესში. მაგრამ ამ მთლიანის გაგებისათვის ფსიქოლოგია მიმართავს მთლიანისაგან აბსტრაქციის ორ სახეს: 1. ცნობიერების მოვლენათა როგორც ახალი თვისობრიობის კვლევას, მათ არსებით აღწერას და არსებითი მიმართებებისა და კავშირების გამოკვლევას; 2. ქცევის ობიექტური პირობების კვლევას. ქცევის ობიექტური ბიოლოგიური და ფიზიკური პირობების ყვლევა ფსიქოლოგიის გარკვეული დამოუკიდებელი მომენტია. იგი შეეხება როგორც პირველი, ისე მეორე პლანის ფსიქიკური მთლიანის ობიექტურ პირობებს. ობიექტური ქცევისმეცნიერება ადგენს ბიოლოგიურ და ფიზიკურ პირობებს, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ ფსიქიკურის წარმოშობას, აქ აღმოჩენილი მექანიზმები სისრულის გარკვეული ხარისხით თავს იჩენენ მაშინაც, როდესაც ცნობიერება მოცემული არა გვაქვს — ცნობიერებამდე და ცნობიერების შემდეგაც. მეორის მაგალითია ცნობიერყოფილი, მაგრამ შემდეგში ავტომატიზირებული მოქმედება (ჩვევა), პირველისა კი—არაცნობიერი აზრიანი მოქმედების ისეთი ფაქტები, როგორიცაა ფსიქიკური საზრისის მქონე; ბიოლოგიური

ავტომატიზმები, არაცნობიერი „დასკვნის“ მოვლენა და მანქანური „აზროვნება“. რა აზრით შეიძლება ამ მოვლენათა მიკუთვნება ფსიქიკურისადმი? მხოლოდ იმ ზუსტად გარკვეული აზრით, რომ ისინი ფსიქიკურის სპეციფიკური ობიექტური პირობებია და თუ მათ დაემატება გარკვეული მომენტი—თუ ისინი საკმარის ობიექტურ პირობებად იქცევიან და ფსიქიკურის საზრისს მიიღებენ, ფსიქიკურის წარმოშობას განაპირობებენ. დანარჩენ ობიექტურ მოვლენებისაგან მათ განასხვავებს ფსიქიკურთან ეს სიახლოვე, ფსიქიკური საზრისის მიღებისათვის მზადყოფნა. ცნობიერი ფსიქიკური მოვლენები უწყვეტი მდინარებით ხასიათდებიან (ასეა ყოველი მთლიანი), ისინი წარმოიშობიან და ისპობიან, მაგრამ მათი წარმოშობის წინ და შეწყვეტის შემდეგაც გრძელდება ობიექტური პროცესები, რომლებიც მათს მომავალ მდინარებაზე ახდენენ გავლენას. ცნობიერი მოვლენების მდინარების უწყვეტობა არაცნობიერი ფსიქიკურით კი არ უნდა შეივსოს, არამედ ფსიქიკის ობიექტური პირობების მექანიზმთა მოქმედებით.

ამას ეყრდნობა ფსიქიკურის მოდელირების შესაძლებლობაც ფიზიკურ სისტემაში. ანორგანულ ფიზიკურს უნივერსალური, უწყვეტი არსებობა აქვს, იგი შედის ყოველი რეალური მთლიანის შემადგენლობაში, ამიტომ შესაძლებელია ფიზიკურ ენაზე ყველაფერის ხატვა, რისკენაც ისწრაფოდა კარნაპი. მაგრამ ეს შესაძლებელია ლოდ მაშინ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სპეციფიკური მ ნის საკუთარ საზრისს, რისი მოდელირებაც უნდა მოხდეს. ფიზიკურს თავისთავად საზრისი არა აქვს, იგი მხოლოდ გვიჩვენებს უნარს, მიიღოს ეს საზრისი. ფიზიკურ სისტემაში შესაძლებელია არაფიზიკური სპეციფიკური მოვლენების კოდირება. ასეთი სპეციფიკური მოვლენები შეიძლება იყოს ბიოლოგიური, პირველი პლანის ფსიქიკური და თვით გონითი ფსიქიკური მოვლენებიც. კოდირების, დაშიფრვის აზრი, ცხადია არა თვითონ ფიზიკურში იმყოფება, არამედ იმაში, რაც დაშიფრულ იქნა და რაც გაშიფრვის დროს გამომჟღავნდება. ფსიქიკურის მანქანური მოდელირების აზრი ცნობიერი ფსიქიკური მომენტის გარეშე ვერ გაიგება. ცნობიერების შინაარსებს, რომლებიც ფსიქიკურის ნიშნით ხასიათდებიან, ცნობიერობის ატრიბუტი აქვთ, ისინი გაუგებარი იქნებოდნენ ცნობიერობის გარეშე, შეგრძნება არ იქნებოდა შეგრძნება, თუ იგი გრძნობადი ქვალიტეტის განცდა არ იქნებოდა. შეგრძნების პროცესს, როგორც გარკვეულ რეაქციას, ახასიათებს ფიზიკურის ნიშანიც—იგი ობიექტური დისკრიმინაციის მოვლენაცაა. ამიტომ შესაძლებელია მისი მოდელირება ფიზიკურ სისტემაშიც: ობიექტური დისკრიმინაციის ფიზიკური განხორციელება. მაგრამ ეს შეგრძნების მოდელად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც მასში

ღაშფრულია შეგრძნების, როგორც ცნობიერების მოვლენის, ფაქტი. ასევე უნდა გავიგოთ ყოველი ფსიქიკურის მოდელირების აზრი. ეს ... ერთ ნათგანზე — მიზნობრივი ქცევის მოდელირებაზე — ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ქცევის ობიექტური პირობების გამოკვლევა ფსიქოლოგიის სპეციფიკური ამოცანაა. იგი შეუძლებელია გადაიჭრას ფსიქიკური საზრისის მხედველობაში მიუღებლად. ფსიქიკურის მთლიანში გასაგები აზრით შეიძლება წარმოვიდგინოთ ცნობიერებისა და ობიექტური პირობების თანაარსებობის ფაქტი. ასეთი დასკვნებამდე მივყავართ იმ პრობლემის კვლევას, რომელიც ვერ გადაჭრა ბიჰევიორიზმმა და ფილოსოფიურმა თეორიებმა, საიდანაც ბიჰევიორიზმის მეთოდოლოგიური დებულებები იღებს სათავეს.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია და მისი სახესხვაობანი 5

თავი მეორე

მექანიციზმი, რედუქციონიზმი და ბიჰევიორიზმი 15

თავი მესამე

პრაგმატიზმი როგორც ბიჰევიორიზმის ფილოსოფიური საფუძველი 26

თავი მეოთხე

ბიჰევიორიზმის დასაბუთება ლოგიკურ პოზიტივიზმში 41

თავი მეხუთე

ბიჰევიორიზმის ოპერაციონისტული დასაბუთება . 62

თავი მეექვსე

ქცევისმეცნიერების შესაძლებლობა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში 77

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ა. ბოკორიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ც. თავაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი ლ. გაგოშიძე

გადაეცა წარმოებას 31.5.68; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.1968;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ნაბეჭდი თაბახი 7.13; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 6.33; უე 01418; ტირაჟი 600; შეკვეთა № 1595;
ფასი 44 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა. თბილისი. 60. კუტუზოვის ქ.. 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова. 15